



ლიბეჩანი

№ 47 / 11 - 17 ოქტომბერი / 2010

გავუშვანთ თუ არა შვილები საზღვარგარეთ? **გვ. 08**

რატომ გვჭირდება 1000 რუსი **გვ. 16**

ამერიკა უკუპულისტურმა მოქრობამ მოიცილა **გვ. 17**

უგულავას ჩრდილქვეშ **გვ. 25**

ქურნალისტური გამოძიება: წყალში გადაყრილი ფული **გვ. 27**

თანამედროვე მელანქოლიის ანატომია **გვ. 36**

„იბედის“ საღამოები გიორგი არველაძესთან ერთად **გვ. 39**

ფერუგო სოლარი - მარადიული არლეკინი **გვ. 43**

„აფხაზეთი“ - ჩვენი ტკივილი? **გვ. 48**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

სამხედრო სპეცხელა ანანი საფხოსობა

გვ. 10



FM
სენობი
98.0





დედა ანასტასია, თბილისის ფერიცვალების მონასტრის სასწრაფო სახლი, ოქტომბერი 2010

ფოტო: თინათინ ბაქრაძე

ნომერში:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 **ორი აზრი**
მამა დავით ციციშვილი VS
ნინო ყვანია
- 10 **მთავარი თემა**
სამტრედიის სპეცსკოლა –
ახალი საფრთხობელა
- 16 **თვალსაზრისი**
რატომ გვჭირდება ათასი
რუსის ჩამოყვანა
მარკ მალენი
- მსოფლიო**
- 17 ამერიკა მემარჯვენე
პოპულისტურმა მოძრაობამ
მოიცვა
აშშ და ირანი
- 19 ირანის ფაქტორი
საპრეზიდენტო არჩევნები

ბელარუსში

- 21 ბელარუსი არჩევანის
ზღვარზე
ეკონომიკა
- 23 ამერიკული მილიარდის
ნაკვალევზე
პოლიტიკა
- 25 უგულავას ჩრდილქვეშ
ჟურნალისტური გამოძიება
- 27 წყალში გადაყრილი ფული
საზოგადოება
- 29 სიკვდილი ტკივილის გარეშე
გარეგავაჭრობის აკრძალვა
- 32 ქუჩის ვაჭრობის
მიკროეკონომიკა
ბავშვთა სახლები
- 34 უფრთხილდით
სრულწლოვანებს!
ჯანდაცვა
- 36 თანამედროვე მელანქოლის
ანატომია

მედიაკრიტიკა

- 39 „იმედის“ საღამოები გიორგი
არველაძესთან ერთად
თვალსაზრისი
- 41 წიგნებო, წინ!
კულტურა
- 43 ფერუზო სოლერი -
მარადიული არლექინი
- 44 სხეულები და
ექსპერიმენტები
არტისტერიუმები 2010
- 45 ციფრული ეპოქის
მომავალი – დრო-სივრცის
წაშლილი ბარიერები
ხელოვნებაში
სპორტი
- 47 ისევ ისინი
გიო ახვლედიანი
**ქალაქში მოხეტიალე
კაცის ჩანაწერები**
- 48 „აფხაზეთი“ – ჩვენი ტკივილი?

ბარეკანზე:

სამტრედიის სპეცსკოლა –
ახალი საფრთხობელა
ფოტო: მარიაკა ქონიაშვილი



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ
„ლია საზოგადოება - საქართველოს“
მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო
მასალაში გამოთქმული მოსაზრება
არ გამოხატავს ფონდის „ლია
საზოგადოება-საქართველოს“
პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed
by the authors and those providing comments
are theirs only and do not necessarily reflect the
position of Open Society Georgia Foundation.
Therefore, the Open Society Georgia Foundation
is not responsible for the content of the
information material.

რატომ ვეკარობთ?

„თუ ვინმესთან კონტრაქტს უნდა მოახერხო ხელი და მეორე მხარე უმიზეზოდ ჩქარობს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააფორმო ეს კონტრაქტი“ – საერთოდ, მგონია, ამ ცვლილებების მონიტორინგს ოპოზიცია და არასამთავრობოები უნდა ახორციელებდნენ, მაგრამ აქ, საქართველოში, ყველა ერთ თამაშს თამაშობს (უმრავლესობა მაინც), ხალხს კი სად აქვს ამაზე ფიქრისა და წუხილის თავი, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხვალინდელი ლუკმა-პურის შოვნის გარდა აღარაფერზე და ვეღარაფერზე ფიქრობს ჩვენი საზოგადოება.

ეკა გოგოლაძე, 6 ოქტომბერი
www.liberali.ge

ახალი სატელევიზიო საჟონი – „მას, კალინინ მოვინებართ“

მე იმ „ჩარეცხილ“ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ასწავლიდნენ, რომ ხელოვნება და მისი კრიტიკაც საზოგადოების გაზრდის სამსახურში უნდა ყოფილიყო. დღეს ყველაფერი საზოგადოების, თუ ასეთი არსებობს, მოთხოვნილებაზე დადის. აღარ ვიცი რომელი ჯობდა, მაგრამ ფაქტია, რომ უნინ ამდენი მდებრი და პრიმიტივი არ ბოგინობდა საჯაროდ. ვეჭვობ, ნინიას მსგავსმა ცალკეულმა საღად მოაზროვნემ რაიმეს შეცვლა შეძლოს, როდესაც საზოგადოების გეგმაზომიერი ტოტალური დებილიზაცია მიდის.

სტუმარი, 2 ოქტომბერი
www.liberali.ge

„უშუალობა ძალიან დაუკონკრეტებელი ცნებაა და ყველასათვის განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს. ამას

სულ ახლახან მივხვდი“, – მეც ნანუკას ამ ამპლუაში გამოჩენის შემდეგ მივხვდი ამას. (წარსულის ამპლუა ნეტავ არ არსებობდეს, უფრო თამამად შევძლებდი ამ გადაცემის ყურებას,) მართალი გითხრათ, ნანუკას შოუს თემატიკასთან არ მაქვს არსებითი პრეტენზია, მხოლოდ ამდენი ხელოვნურობა, ამდენი თამაში გულუბრყვილო, კეთილი გოგოს როლისა, მაპატიეთ და გულს მირეგს, თითქოს არ ვიცოდეთ, ვინ იყო და რას აკეთებდა, თითქოს ყველას დაგვაგინყდა... მაიას ფამილარობაზე



აღარც არაფერს ვიტყვი... ძალიან მინდა, მალე წავიკითხო ამ შოუების ანალიზი ფსიქოლოგიურ ჩრდილში, გმადლობ...

ეკა გოგოლაძე, 1 ოქტომბერი
www.liberali.ge

ეჭვი მეპარება მხოლოდ ნინია კაკაბაძემ და რამდენიმე ნიჭიერმა ადამიანმა შეძლოს ამ დებილიზაციის პროცესის შეჩერება. საშინელებაა მაია ასათიანი, მაგრამ არ აქვს პრეტენზია იყოს ნანუკასავით სვეტსკი. იცის, რომ გოიმურ გადაცემებს აკეთებს, მაგრამ მაინც რისკავს გოგო :))))))))) სვეტსკი ნანუკა

კი ძალიან მალიზიანებს, მშვიერი საქართველოს გასაგონად ვილაცას 2 ვარსკვლავიან სასტუმროში სიარულს უწუნებს, „ნანუკას შოუ“ – ესაა გადაცემა ნანუკაზე და ნანუკასთვის, მდიდარი ქმარი ჰყავს, ბევრი ფული აქვს, დროც ბევრი აქვს, რა ქნას, არ გაერთოს?! თან ამ სვეტსკი პონტებში გაძრობით როგორ აღიზიანებს, თუნდაც, ვაგზლის მეტროსთან დილიდან საღამომდე ლიმონებით მოვაჭრე გასაცოდავებულ ხალხს, ამაზე, ალბათ, არც უფიქრია. ასეთივე საშინელებაა „Tbilisi live“ და „იმედის“ და „რუსთავის 2“-ის თითქმის ყველა გადაცემა, მე საქართველოს ფარგლებს გარეთ ვცხოვრობ, ამდენი სისხლი, ამდენი აგრესია, ამდენი ბოროტება მართლა არ მინახავს სხვა ქვეყნების ტელევიზიებში.

სტუმარი, 3 ოქტომბერი
www.liberali.ge

ტელიავანა – რეპატი უფლის სახელით

ალბათ რომი იესო ქრისტეს ქანდაკება არ გინახავთ ან ანდელი ქრისტეს ქანდაკება არგენტინის და ჩილეს საზღვარზე, თორემ რელიგიური სიმბოლოები არ გაგაკვირვებდათ. ან არ გხმენიათ, რომ ამერიკაშიც კი ბევრია ესეთი ჯვრები გზების გასწვრივ. ეს კი არა ორგანიზაციაც კი არის რომელიც გზების გასწვრივ ჯვრების დადგმით არის დაკავებული... (http://christiancrosses.org) ალბათ, ისიც არ იცით, თუ რა ღირს სხვადასხვა რელიგიური საიდუმლოებების შესრულება სხვადასხვა რელიგიებში.. სხვათაშორის ბევრად უფრო მეტი ვიდრე საქართველოში.

გიო, 3 ოქტომბერი
www.liberali.ge

რედაქციის მითითებით: მთავარი რედაქტორი **სორენა შვერდაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭავჭავაძე** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუჯია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯავია** / შპრენაღის მითითებით: **მაია ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდანი ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმიკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი** / **ქონტრაქტები**: **მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, კახა კობახიძე, ლევან იზორია, ბაკურ სულაკაური, ნანა საჯავია, რატი ამალბოგლი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა** / **რედაქციის**: **ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე** / ვრცელყოფილი დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ლონდაძე** / **გამომცემლობა**: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბიტიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / **დისტრიბუტორი ზვიად შენგელაია** / **გამომცემლობა**: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge / **სსპა გამომცემლობა**: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. **ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბეჭდვა**: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge / **გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.**

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის
ფარგლებში აცხადებს კონკურსს
სოციალურ მეცნიერებებში**

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა-სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:

www.boell.ge



ნიკა გილაურის და ჰილარი კლინტონის შეხვედრა

ხინსონის მხაღაჭეხა სუაჰიტუეოს

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რუსეთის ოკუპაციის შეწყვეტისკენ და 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების შესრულებისკენ მოუწოდა. ეს განცხადება კლინტონმა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი და საქართველოს დელეგაცია ესწრებოდა. „საქართველო რჩება ამერიკის პარტნიორად, ჩვენ მხარს ვუჭერთ მის ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფო სუვერენიტეტს. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება და გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან“, – განაცხადა კლინტონმა. სიტყვით გამოსვლისას კლინტონმა რუსეთის ჯარების ყოფნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ოკუპაცია უწოდა:

„უენევის მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველომ კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგა გამონეგების მოსაგვარებლად. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და მზად ვართ, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების გატარებაში დაგეხმაროთ“.

სახელმწიფო მდივანმა ასევე ისაუბრა საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე და თქვა, რომ

ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს სურვილს, განევირინდეს ალიანსში. მისი თქმით, ობამას ადმინისტრაცია არ აპირებს გადახედოს საქართველოსთან ურთიერთობებს რუსეთთან თანამშრომლობის გამო.

კლინტონის განცხადებით, თავისუფალი არჩევნები, სანდო ინსტიტუტები და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება გრძელვადიანი სტაბილურობისა და ნებისმიერი მთავრობის ლეგიტიმურობის საწინდარია.

„ბოლო შვიდი წლის განმავლობაში დემოკრატია საქართველოში დიდი ნაბიჯები გადადგა. მუნიციპალურმა არჩევნებმა ხელშესახები პროგრესი აჩვენა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა – პოლიტიკური კონკურენციის, ანგარიშვალდებულების, მათ შორის, მათის არჩევნებში ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის საფუძვლიანი გამოძიების მიმართულებებით“, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

სახელმწიფო მდივნის თქმით, 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველომ უნდა აჩვენოს, რომ არათუ აკმაყოფილებს, არამედ აჭარბებს კიდევც საერთაშორისო სტანდარტებს. მისივე შეფასებით, ეს მნიშვნელოვანი იქნება ქართველი ხალხისთვისა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც.

სუაჰიტუეოს ჰიხობა ხუხეთს

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ვაშინგტონში, ატლანტიკურ საბჭოში გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვირინებას, თუ მოსკოვი „გამჭვირვალე“ გახდის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთის განევირინებას მსო-ში, მხოლოდ ერთი პირობით, რომ შესრულდეს მსო-ს ყველა წესი და ამ წესების ნაწილია, რომ ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო-გამშვები პუნქტები გამჭვირვალე უნდა იყოს. სამუხებროდ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამო, ეს ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი არ არის გამჭვირვალე“.

რუსეთის მსო-ში განევირინებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დასრულება ოქტომბრის დასაწყისში სატელეფონო საუბრისას დაადასტურეს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა.

რუსეთი მსო-ში განევირინებას 1993 წლიდან ცდილობს.

ხისხუეები

27 დეკემბერს აკადემიური საბჭო აირჩიეს თსუ-ს ახალ რექტორს.

9.8% შეადგინა საქართველოს წლიურმა ინფლაციამ სექტემბერში.

ბაოჩაბაბუნი ფანი იბივა სუჩისისთვის

თბილისში პარკირების წლიური საფასური 1 ოქტომბრიდან ისე გაორმაგდა, რომ მძღოლებისთვის ეს ამბავი არავის შეუტყობინებია, არც „სითი პარკს“ და არც ქალაქის მერიას. საფასურის გაზრდის აუცილებლობა „სითი პარკმა“ მერიას იმით დაუსაბუთა, რომ ახალი საპარკინგე ადგილების მოწყობის ხარჯები გაიზარდა. თუმცა გაუგებარია, რატომ გაორმაგდა ახლა კომპანიის ხარჯი, როცა მათი საქმიანობა, მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ საპარკინგე ადგილებს ხაზავენ და ნიშნებს აყენებენ. ეს ადგილები კი ან ტროტუარებზეა ან გზის სავალ ნაწილზე ან ისეთ უბნებში, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა ფასიანი ავტოსადგომი. მიუხედავად გაორმაგებული საფასურისა და პარკინგის ადგილების მატებისა (33 859), მძღოლებისთვის მაინც არაფერი იცვლება. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ავტომობილის გაჩერება მაინც რთულია და ხშირ შემთხვევაში – შეუძლებელი. ამავე დროს, მერია სადგომის მეთვალყურეების ინსტიტუტსაც კვლავ ტოვებს, თანაც მძღოლების „კეთილი ნების“ იმედად.



ფოტო: გარეკა - ქორეაპოლი

ფიონსანი საჩითხელოში

საქართველოში მედია კლუბი Frontline Georgia გაიხსნა. ქართული კლუბი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და Frontline Club London-ის ერთობლივი პროექტია. კლუბის მიზანია ჟურნალისტიკისთვის, საჯარო მოხელეებისთვის და სტუდენტებისთვის პოლიტიკურად ნეიტრალური ადგილის შექმნა, სადაც საუბრები, ფილმების ჩვენებები, გამოფენები და მასტერ-კლასები მოეწყობა. Frontline Club ლონდონში 2003 წელს ვოგან სმიტმა დააარსა იმ კოლეგების სახსოვრად, რომლებიც პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ. კლუბი მხარს უჭერს გამოხატვის თავისუფლებას და ჟურნალისტიკებს, რომლებიც საქმის ერთგულებისთვის თავს რისკავენ. Frontline Georgia-ს წლიური საწევრო 140 ლარი ეღირება, Frontline Georgia და Frontline Club-ის ერთდროული VIP წევრობა კი 175 ფუნტი სტერლინგი.

198 000 მანქანა ამოიღო გაყიდვებიდან BMW-მ, სავარაუდო მიზეზად სამუხრუჭე პრობლემები სახელდება.

სიტუბები



„ქართული სკოლა საბჭოთა სკოლიდან გამოსვლისა და არსად მისვლის ეტაპზეა.“
კახა ბენდუქიძე განათლების სისტემაზე საუბრისას

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი [საკითხია]; არ ვიცი რომელიმე მედია საშუალება, რომელსაც შესაძლოა, ეს პრობლემა ჰქონდეს.“
პრემიერი გილაური მედია საშუალებების მფლობელების გამჭვირვალობის შესახებ.

„სამხრეთ კავკასიაში ახალი რეალიების შეცვლას ვერავინ შეძლებს“
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ჟენევის დისკუსიების წინ

„თუ საზოგადოების ყველაზე კარგ წევრებს პოლიციელობა უნდათ, ტარდება დიდი კონკურსი, 1000 კაციდან ერთს იღებენ და შემდეგ ის თავად ქრთამს არ იღებს – თუ ამას ჩავთვლით პოლიციურ სახელმწიფოდ, მაშინ ვამაყობთ, რომ ასეთი სახელმწიფო გვაქვს.“

ვანო მერაბიშვილი „რია ნოვოსტისთან“ ქართულ პოლიციაზე საუბრისას

61 მილიარდ დოლარიანი ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი დაამტკიცა იაპონიის მთავრობამ.

ხეხეხის ბეხეხ ნაბეხის შეხენა იხეხეხეხ

ნინო გოგუა



1 იანვრიდან წნევის, კუჭ-ნაწლავის და სხვა დაავადებებისთვის საჭირო მედიკამენტის საყიდლად ექიმის რეცეპტი აუცილებელი გახდება.

რეცეპტისთვის აუცილებლად პოლიკლინიკას უნდა მიაკითხოთ. პროცედურა ასეთია: ოჯახის ექიმი გაგსინჯავთ, თუ საჭიროა, ანალიზს ჩაგიტარებთ, დაგისვამთ დიაგნოზს. შემდეგ რეცეპტის ოფიციალურ ბლანკზე დაგიწერთ საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალს და ოდენობას; რეცეპტს დაამოწმებს საავადმყოფოს, ან პირადი შტამპით.

აუთიაქში ფარმაცევტი საჭირო ნამალს მხოლოდ რეცეპტის გადამოწმების და მისი ასლის გადაღების შემდეგ მოგყიდით, თანაც მხოლოდ იმ დოზას, რაც ექიმმა გამოგიწერათ.

ეს ინიციატივა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალმა მინისტრმა სანდრო ურუშაძემ 10 ოქტომბერს დააყენა.

„მოქალაქე ხშირად ოფიციალური დოკუმენტის გარეშე ყიდულობდა ნამალს, რომელიც შესაძლოა, ფალსიფიცირებულიც ყოფილიყო.“ – განაცხადა ურუშაძემ 10 ოქტომბერს.

სამედიცინო სფეროს სპეციალისტები ამ ინიციატივის დადებით და შესაძლო უარყოფით მხარეებზე საუბრობენ.

„წნევის დამწვევი მედიკამენტი შეიძლება,

მოქალაქემ მაღალი წნევის დროს თვითნებურად მიიღოს. არავის შეუსწავლია, რამდენია ასეთი შემთხვევა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ხდება რეკლამის მსხვერპლი. თვითმკურნალობა განსაკუთრებით საშიში მოხუცებისთვისაა,“ – ამბობს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის გენერალური დირექტორი თენგიზ ჭიქაბერიძე.

უკუწვევება შეიძლება, ერთი შეხედვით, უწყინარ ნამლებსაც ჰქონდეს, თუ პაციენტს მის რომელიმე შემადგენელ ნივთიერებაზე ალერგია აქვს. თუმცა, სპეციალისტები ამბობენ, რომ მოსახლეობას ეს „უსაფრთხოება“ ძვირი დაუჯდება.

ექიმთან ვიზიტი რეცეპტის მისაღებად აუცილებელია, კონსულტაცია კი სხვადასხვა საავადმყოფოში 10-დან 20 ლარამდე ღირს.

„თუ ექიმი არაკეთილსინდისიერია, შეიძლება, მეტი შემოსავლის მიღების მიზნით, დამატებითი, არასაჭირო ანალიზები დაუნიშნოს პაციენტს, როცა იცის, რომ მოქალაქეს მისი ხელმოწერილი რეცეპტი აუცილებლად სჭირდება,“ – ამბობს თენგიზ ჭიქაბერიძე.

მკურნალობის გაზრდილ ხარჯებს მოსახლეობამ გვერდი მხოლოდ ორი გზით შეიძლება, აუაროს: პირველი – კონსულტაცია ახლობელ ექიმთან უფასოდ გაიაროს და მეორე – დაეზღვიოს.

თვეში საშუალოდ 10-იდან 45 ლარამდე

ღირებულების პაკეტის სანაცვლოდ სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა ექიმთან ვიზიტს და პირველადი ანალიზების ხარჯებს ანაზღაურებს. ჯანმრთელობის დაზღვევა წელიწადში დაახლოებით 180 ლარიდან 540 ლარი ჯდება. ამიტომ, ისინი, ვისაც მედიკამენტები და ექიმთან კონსულტაცია რეგულარულად არ სჭირდებოდა, დაზღვევის ხარჯს გადამეტებულად მიიჩნევენ.

„ფაქტობრივად, თვეში 30 ლარი უნდა გადაიყარა,“ – ამბობს მასწავლებელი თამარ ასათიანი. „ათასში ერთხელ თუ რამე წამალი დამჭირდებოდა, იმას ხომ ჩემი ფულითაც ვიყიდდი – ასე უფრო იაფი გამომიდოდა.“

სიახლემ, რომ 1 იანვრის შემდეგ, ექიმთან ვიზიტი ხშირი დაავადებებისთვის საჭირო მედიკამენტების რეცეპტებისთვისაც მოუწევს, თამარ ასათიანი დაზღვევის პაკეტის შექმნაზე დააფიქრა. კლიენტების რაოდენობის გაზრდას ვარაუდობენ სადაზღვევო კომპანიებშიც.

„ეს გარკვეულ ბიძგს მისცემს, რომ საზოგადოებაში დაზღვევის კულტურა ამაღლდეს,“ – ამბობს „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თინა სტამბოლიშვილი.

მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა ფარმაცევტულ ბაზარს საეჭვო სამედიცინო პრეპარატებისგანაც განმუნდს:

„არავის შეუსწავლია, რეალურად რა ეფექტი აქვს იმ ვიტამინოზურ და სხვა ნამლებს, რომლითაც მოსახლეობის ნაწილი თვითმკურნალობას იტარებს. ეს ინიციატივა ასეთი ნამლების მოხმარებას მკვეთრად შეამცირებს. ჩვენ მხოლოდ იმ ნამლებს ავანაზღაურებთ, რომელიც კვალიფიციური ექიმის მიერ რეცეპტით და საჭიროების შესაბამისად იქნება გამოწერილი.“

აქამდე რეცეპტზე ექიმის ხელმოწერას მხოლოდ სპეციალური პროფილის აფთიაქები ითხოვდნენ ფსიქოტროპულ და სანარკოზებულ ნამლებზე.

სამინისტრომ ზუსტი და ამომწურავი სია უნდა შეადგინოს, თუ რა დასახელების და რა კატეგორიის ნამლებზე გავრცელდება რეცეპტის მოთხოვნა 1 იანვრიდან. **□**

საიას დასახვანა ჯონსტონიასი

იურისტთა ასოციაცია კანონპროექტის დამტკიცებას ნაადრევად მიიჩნევს

ნანა საჯაია

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ კონსტიტუციური კანონპროექტთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა.

პირველი უარყოფითი შენიშვნა საია-ს კონსტიტუციის მიღების დაჩქარებულ ტემპთან დაკავშირებით აქვს. ამან, ასოციაციის თქმით, პროექტის ირგვლივ დისკუსიის სივრცე შეზღუდა. მსჯელობის მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ძალაუფლების გადანაწილება საკანონმდებლო ხელისუფლების შიგნით, ადამიანის უფლებათა თავში არსებული პრობლემები, ქვეყნის ფაქტობრივ იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიის მოწყობა და სხვა.

კონსტიტუციის შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, სრულიად იცვლება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და მისი დამოკიდებულება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან. აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი სიმძიმე გადადის პრემიერ-მინისტრზე, ხოლო პარლამენტს მთავრობის ფორმირება ევალება.

მთავრობა და პრემიერ-მინისტრი

კონსტიტუციური კანონპროექტის მიხედვით, პრემიერ-მინისტრს შეუძლია, გაათავისუფლოს ნდობაგამოცხადებული მთავრობის არა მარტო რომელიმე ინდივიდუალური წევრი, არამედ მთელი კაბინეტი, ისე, რომ ამისათვის პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება. პარლამენტს ერთადერთი ბერკეტი, რაც პრემიერის თვითნებობის აღსაკვეთად რჩება, უნდობლობის გამოცხადებაა.

შეფასება: პრემიერ-მინისტრს ეძ-

ლევა სრული კარტ-ბლანში მინისტრთა კაბინეტის საკადრო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რაც გაუმართლებლად აკნინებს პარლამენტის როლს მთავრობის თითოეული წევრის დანიშვნისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.

უნდობლობის გამოცხადება

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ, პარლამენტი პრეზიდენტს წარუდგენს ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. პრეზიდენტს უფლება აქვს, წამოაყენოს პარლამენტის მიერ დასახელებული კანდიდატურა ან ვეტო დააღოს მას. პარლამენტს პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად სიითი შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერა სჭირდება. ვეტოს დაძლევის შემდეგ, პრეზიდენტი ვალდებულია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პარლამენტის კანდიდატურა წააყენოს. თუკი პრეზიდენტის ვეტო ვერ იქნება დაძლეული, პრეზიდენტი დაითხოვს საქართველოს პარლამენტს.

შეფასება: უნდობლობის გამოცხადების პროცედურა პოლიტიკური კრიზისის საფრთხის შემცველია. ახალი მთავრობის ფორმირების პერიოდში ქვეყანა აღმასრულებელი შტოს გარეშე რჩება. დიდია პარლამენტის დათხოვნის რისკიც.

პრეზიდენტი

პროექტის მიხედვით, პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობისა და ერთნაირი დამოუკიდებლობის გარანტი. ის წყვეტს კონფლიქტს მთავრობასა და პარლამენტს შორის; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს; არის შეიარაღებული ძალების უმაღ-

ლესი მთავარსარდალი, სამოქალაქო პირი, რომელსაც ევალება განახორციელოს სამოქალაქო კონტროლი სამხედროების მიმართ. პრეზიდენტი არის ნეიტრალური არბიტრი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიმართ.

შეფასება: პრეზიდენტის უფლებამოსილება, დაითხოვოს პარლამენტი, არ შეესაბამება უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმს და ამოსაღებია. პრეზიდენტის ამგვარი ვეტო უპრეცედენტოა კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში, თუ არ გავითვალისწინებთ შერეული მოდელისათვის დამახასიათებელ სახესხვაობას.

დასკვნა

„საბოლოოდ შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტიტუციური კანონის წარმოდგენილი ვარიანტი არ შეესაბამება საქართველოში მმართველობის სფეროში არსებულ გამოწვევებს, იგი ვერ გვთავაზობს ადამიანის უფლებების დაცვის დამატებით და არსებით გარანტიებს, ზოგ შემთხვევაში კი ამცირებს მათ მნიშვნელობას.

ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის თვალსაზრისით, პარლამენტის როლი არასაკმარისად არის გაძლიერებული, ხოლო მთავრობა, კერძოდ კი, პრემიერ-მინისტრი ძალაუფლების მატარებელ მონსტრად გვევლინება, რომელიც ჩრდილავს ხელისუფლების ყველა სხვა უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას“, – ნათქვამია ანგარიშში.

პარლამენტმა კონსტიტუციის ცვლილებების პროექტი ორი მოსმენით უკვე მიიღო, მესამე და საბოლოო მოსმენა ამ კვირაში გეგმება. **■**



იდელის მომბრე
მამა დავით ციციქიშვილი

ახლა ბევრი ახალგაზრდა მიდის სასწავლებლად საზღვარგარეთ და ეს გარკვეული საფრთხის შემცველი ტენდენციაა. როცა მოუმნიფებელი ადამიანი უცხოეთში ჩადის, გადაიღებს ხოლმე იმ მავნე ჩვევებს, რომლებიც იქ გავრცელებულია და მიუღებელია ქართული ცნობიერებისთვის, დადგენილი წესებისთვის.

არიან ახალგაზრდები, ვინც უკეთ უძღებენ სტრესულ სიტუაციებს, არ იზნევიან და არ ექვემდებარებიან მავნე ზეგავლენას. თუმცა, უცხოეთში გამგზავრება მაინც სარისკოა. 16-19 წლის მოზარდი, რომელიც იმ ასაკშია, როდესაც მეტად მგრძნობიარეა გარესამყაროს მიმართ, ჯერ კიდევ მოუზადებელია. ამიტომ, საშიშია მისი უცხო გარემოში მოხვედრა. ყოფილა ფსიქიკური აშლილობების შემთხვევებიც. ახალგაზრდის ფსიქიკა ვერ უძლებს სტრესს და ის სამშობლოში ბრუნდება გართულებებით.

პატრიარქი, ალბათ, იმიტომ შეეხო ამ თემას, რომ ქართველების საზღვარგარეთ გადინებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საგანგაშო, მახინჯ მოვლენად იქცა. საქართველოდან მიემგზავრებიან არამარტო სასწავლებლად, არამედ იმიტომ, რომ მოუწყობელი ქვეყანაა. ახალგაზრდებს იდეა-ფიქსად ექცათ, რომ ნებისმიერ ფასად გაასწრონ საქართველოდან.

სინამდვილეში, თუ ადამიანი მოინდომებს, ყველგან შესაძლებელია მაღალი დონის განათლება მიიღოს. ადამიანი, ძირითადად, თავისით სწავლობს – თუ ის ამას მიზნად დაისახავს. სჯობს, ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ საქართველოში. აქაც ჩამოყალიბდება სპეციალისტი.

თითქოს საზღვარგარეთ წასვლა პრესტიჟულია, ჩვენი ცოდნის გაღრმავებას უწყობს ხელს და ამით ადვილად გაიკეთებ კარიერას, მაგრამ იმდენად არ წვიმს, რამდენადაც ქუხს. არ მიმაჩნია, რომ უცხოეთიდან ჩამოსული ნასწავლი ხალხი უკეთესი სპეციალისტები არიან, ვიდრე – აქ გაზრდილები. პირიქით – უმრავლესობა, ვინც ჩამოდის, ცოდნით დიდად გამორჩეული არ არის.

უნდა შეკავდეს მახინჯი ტენდენცია – რომ, რაც შეიძლება – მალე, უნდა განერიდო სამშობლოს. ღმერთმა საქართველოში გაგაჩინა, ამიტომ საქართველოში უნდა იცხოვრო და არ უნდა შეუშინდე ყოფით სიძნელებებს.

გამოსავალი არის, ეს უფალთან დაახლოება. როდესაც ადამიანი იწყებს უფლისკენ სვლას და ცხოვრობს ეკლესიურად, იგი, ყველაფერთან ერთად, პოულობს საკუთარ ადგილს ცხოვრებაში და ვითარდება პროფესიული კუთხითაც. ამ შემთხვევაში, შესაბამისი ანაზღაურებაც მოდის. ■



"უნდა ვეხილოთ, რომ ახალგაზრდები სწავლობდნენ საქართველოში. ეს, მოუხანს ზიანს", - სპეციალისტი

■ თუ ადამიანი მოინდომებს, ყველგან შესაძლებელია მაღალი დონის განათლება მიიღოს. ადამიანი, ძირითადად, თავისით სწავლობს – თუ ის ამას მიზნად დაისახავს. სჯობს, ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ საქართველოში.



საქართველოს პატრიარქი ილია მეორე

ფოტო: ილია პატრიარქი



იდეის მონინალმდევე

ნინო ჟვანია

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის მიზნით ან ემიგრაციის მიზეზით უცხოეთში ჩასულ და იქ მცხოვრებ მოზარდებს სოციოლოგები, ფსიქოლოგები და განათლების მკვლევარები ცალკე სოციალურ ჯგუფად მიიჩნევენ და მათ „მესამე კულტურის მატარებლებად“ განიხილავენ. ჯგუფის განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულია მისი უნარი, გაითავისოს გარშემო არსებული კულტურის ელემენტები და, მშობლიურ კულტურასთან მისი შერწყმის გზით, შექმნას თავისი, ახალი კულტურა. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი სოციალური და კულტურული ადაპტაცია ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე, მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მის წარმატებას ზრდასრულ ასაკში.

მესამე კულტურის მატარებელი მოზარდებისა და ზრდასრულთა შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ უცხო გარემოში ხანგრძლივი ცხოვრება ფორმირების ასაკში მყოფ მოზარდს უყალიბებს კულტურული მრავალფეროვნების აღიარების უნარს. ამასთან, ის მოზარდს უვითარებს კრიტიკული აზროვნების და დამოუკიდებლად მოქმედების/გადანყვეტილების მიღების უნარს.

განათლების და პროფესიული კარიერის თვალსაზრისით, მესამე კულტურის მატარებელი მოზარდები და ზრდასრულ ასაკში მყოფი ახალგაზრდები უფრო ხშირად ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების საბაკალავრო და პოსტ-საბაკალავრო საფეხურებზე, ვიდრე მათი ტოლები, რომლებსაც უცხო ქვეყნებში ცხოვრების და სწავლის გამოცდილება არ აქვთ. როგორც წესი, საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება მათ აძლევს საშუალებას, მიიღონ ხარისხობრივად უკეთესი განათლება.

პროფესიული არჩევნის თვალსაზრისით, მესამე კულტურის მატარებელი ახალგაზრდები უპირატესობას განათლების სფეროს და პროფესიულ (ექიმის, იურისტის) პრაქტიკას ანიჭებენ. ამასთან ერთად, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია კერძო სექტორში, სადაც ისინი დამოუკიდებელ მენარმეებად ვითარდებიან.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საზღვარგარეთ ცხოვრების და სწავლის გამოცდილების მქონე ახალგაზრდები პროფესიულ კარიერას იწყებენ იმ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუტებში, რომელთა სპეციალიზაციას საერთაშორისო ურთიერთობები და კულტურათმშორისი კავშირები წარმოადგენს.

ზემოთ მოყვანილი კვლევების შედეგები მოწმობს, რომ მესამე კულტურის მატარებელი მოზარდები, რომლებსაც მიღებული აქვთ უცხო ქვეყნებში ცხოვრების და სწავლების გამოცდილება, წარმოადგენენ ლიბერალური ღირებულებების მატარებელ ფენას, რომელსაც აქვს უნარი, იქცეს პროფესიონალად. ეს კი, თავის მხრივ, არის იმ ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომელიც, გლობალიზაციის პირობებში, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და კულტურული განვითარების ტენდენციას.

ახლა, მით უნდა, ბავშვი ხშირ შემთხვევაში, ბავშვს დღოს ჰაბსიახში იღია მეოხა

■ მესამე კულტურის მატარებელი მოზარდები, რომლებსაც მიღებული აქვთ უცხო ქვეყნებში ცხოვრების და სწავლების გამოცდილება, წარმოადგენენ ლიბერალური ღირებულებების მატარებელ ფენას, რომელსაც აქვს უნარი, იქცეს პროფესიონალად.



ფოტო: მარიამ ლომიანი

ქ. სამტრედიის N15 საჯარო სკოლაში სწავლობს და ცხოვრობს 14 ბავშვი

სამტრედიის სპეცსკოლა ახალი საფხოსობა

სამტრედიის ყოფილი სპეცსკოლა ერთხელ უკვე ჰგავდა ციხეს. მალე ის სკოლის მოსწავლეების დასჯის ინსტანციად იქცევა.

თამარ ბაბუაძე



შელესილ ნაცრისფერ გალავანზე აბრაა გამოკრული: სამტრედიის №15 საჯარო სკოლა. სოფელ ეწერის განაპირას მდგარ ამ შენობას მალალი, ყრუ მესერი დანარჩენი სოფლისგან საგულდაგულოდ გამოყოფს.

ეს ერთადერთი სკოლაა საქართველოში, სადაც რთული ქცევის მქონე ბავშვები სწავლობენ.

სამტრედიის საჯარო სკოლა, სხვა სახელწოდებით, 1966 წლიდან არსებობს, თუმცა დღეს მის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება.

„ანარქია და უდისციპლინობა დასრულდა. ვისაც „ძველებიჭობა“ უნდა, პირველ ეტაპზე სკოლის შენობისა და

ეზოს დალაგება დაეკისრება, შემდეგ კი, სკოლის შინაგანაწესის დარღვევის განმეორების შემთხვევაში, სამტრედიის სპეცსკოლაში გადასვლა მოუწევს“, – განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ეს განცხადება სასწავლო წლის დაწყებამდე 1 დღით ადრე გააკეთა.

ეს ინიციატივა ორი წლის წინ დაწყებული „უსაფრთხო სკოლის“ პროგრამის ნაწილია. თუმცა, შაშკინის მინისტრობის პერიოდში ეს პროგრამა განათლების სამინისტროს პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად იქცა და ახალი კონტურებიც შეიძინა. სკოლის დერეფნებში მანდატურების გამოჩენასთან

ერთად, სამტრედიის სპეცსკოლა ახალ საფრთხობელად იქცა.

მინისტრმა სამტრედიის სკოლა მხოლოდ ერთხელ ახსენა. მისი განცხადება ყველა ნაციონალური არხით გადაიცა და ექოსავით მოედო საჯარო სკოლებს: კიდევ ერთხელ დააგვიანებ და სამტრედიის სკოლაში გაგიშვებ! – დღეში ერთხელ მაინც ისმის მსგავსი მუქარა.

კონკრეტულად რას ნიშნავს „სამტრედიის სპეცსკოლაში გადაყვანა“, არამარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ საჯარო სკოლების დირექტორების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვისაც არავის განუმარტავს.



ფოტო მარიამ კორიანაძე

ალსაზრდელთა ნაწილი ნარსულში ქურდობდა, ნაწილი ქუჩაში დაეხეტებოდა, ზოგი კი წებოს ყნოსავდა

„ეს, ალბათ, საშინელი სკოლაა, ალბათ, ძალიან ცუდი ბავშვები სწავლობენ, ყველაზე ცუდები. იქ, ალბათ, საპირფარეშოებს მოგვახეხინებენ და ისე ვიქნებით, როგორც ციხეში არიან ხოლმე“, – მეოთხეკლასელი ბავშვები სამტრედიის სკოლას თავიანთ წარმოდგენაში მას შემდეგ ხატავენ, რაც ერთ დღეს მასწავლებელმა გამოუცხადა – თქვენს შორის სამტრედიაში წამსვლელი

სამი კანდიდატი უკვე გამოიკვეთაო.

კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც დიმიტრი შაშკინის ამ განცხადების შემდეგ მოსვენება დაეკარგა, თავად სამტრედიის სკოლის დირექტორი გია მეიშვილია. მის კაბინეტში ხშირად ისმის სატელეფონო ზარი სხვადასხვა საჯარო სკოლიდან – დირექტორები მას რთულად ალსაზრდელი ბავშვის სასწრაფოდ მიღებას სთხოვენ.

მეიშვილი მათ მოთმინებით უხსნის, რომ მის სკოლაში ერთი დარეკვით მოზარდები ვერ მოხვდებიან. ამისთვის საჭიროა განათლების სამინისტროს სპეციალური კომისიის დასკვნა, თუმცა კომისია ორი წელია, რაც გაუქმდა. ახლა კი გადანყვეტილებას თითოეულ ბავშვზე მოსამართლე იღებს, ინდივიდუალურად.

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ სამტრე-



დიის სკოლა მართლა ჰგავდა ციხეს. იქ ხანდახან 150-მდე ბავშვი „იხდიდა სასაჯელს“. ლობეს მავთულხლართების ზოლი გასდევდა. ტერიტორიას დაცვა აკონტროლებდა. იყო კარცერი – ორმაგი კირით ჩამოსხმული კარით, რკინის გისოსებიანი პატარა ფანჯრითა და დაბეტონებული სანოლით. თუმცა, დღეს სკოლა-პანსიონის ეზოში ამ წარსულისგან მხოლოდ რამდენიმე

დანგრეული შენობა, დაჟანგული აბრები და ცენტრალური სახლის უსახური, ჩამონგრეული ფასადია დარჩენილი.

„პირველი, რაც მოსვლისთანავე გავაკეთეთ, ის იყო, რომ კარცერი მშობლების მისაღებ ოთახად გადავაკეთეთ. არც კი ვიცო, რა დანაშაული უნდა ჩაედინა ისედაც ოჯახისგან და გარესამყაროსგან მონყვეტილ ბავშვს, მისი კარცერში გამომწყვდევა რომ გამხდარიყო საჭირო“, – ამბობს გია მეიშვილი.

კარცერის დანგრევა და რკინის გისოსების ჩამოღება ყოფილი სპეცსკოლის ახალი დირექტორის პირადი გადაწყვეტილება იყო. ეს ახალი კონცეფცია, რომელიც განათლების სამინისტროს დახმარების გარეშე შემუშავდა, სადამსჯელო სანქციების ნაცვლად, რთულად აღსაზრდელ ბავშვებში ნდობის აღდგენას ეფუძნება.

„აქ მოსულ ბავშვებს ჩადენილ დანაშაულს არასდროს ვახსენებთ. ვეუბნებით, რომ საკუთარი წარსული უნდა დაივიწყონ. ვეუბნებით – დღეიდან შენ უდანაშაულო ხარ! შენ კარგი, განათლებული ბიჭი გახდები!“ – ამბობს ნინო, სამტრედიის სკოლის ერთ-ერთი პედაგოგი.

მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ, საქართველოში სკოლა-ინტერნატების დახურვის პროცესი დაიწყო, კარგა ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო, რომელი სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩებოდა სამტრედიის სკოლა. „რალაც ეტაპზე ჩათვალეს, რომ ქუჩის ბავშვები – ეს სოციალური პრობლემაა და რადგან ჩვენთან ბავშვები, ძირითადად, ქუჩიდან ხვდებოდნენ, სკოლაც, ნაწილობრივ, ჯანდაცვის სამინისტროს გადასცეს. ბიუჯეტი გაიხლიჩა – სასწავლო ნაწილს განათლების სამინისტრო იღებდა საკუთარ თავზე, პანსიონატორულს – ჯანდაცვა“, – ამბობს დირექტორი.

სკოლაზე პასუხისმგებელი დღეს მთლიანად განათლების სამინისტროა. თუმცა, დამნაშავე ბავშვების განვითარებისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო გეზს თავად ირჩევენ – ზემოდან დირექტივების გარეშე.

სამტრედიის სკოლაში დღეს 14 მოზარდი სწავლობს. უმცროსი 12 წლისაა, უფროსი – 17-ის.

მკვლელობა, წვრილმანი ქურდობა, მანანწალობა, მათხოვრობა, ტოქსიკომანია –

მიზეზები, რის გამოც, ამ სკოლაში მოხვდნენ, თითქმის ყველა ბავშვის შემთხვევაში მსგავსია. ზოგი აქ არასრულწლოვანთა რაიონულმა კომისიამ გამოგზავნა, ზოგიც რესურსცენტრის დასკვნის საფუძველზე მოხვდა.

კეთილმოწყობილი გარემო შესვლისთანავე გხვდება თვალში. კედლები, იატაკი, ჭერი – ყველაფერი შეღებილი და სუფთაა. ოთახები თბილია, კედლებზე ბავშვების ნახატებია გამოკრული. ცალკეა სასკოლო ლონისძიებებზე გადაღებული ფოტოები – ბავშვები საორტულ შეჯიბრებაზე, სასკოლო სცენაზე, ამერიკელ მოხალისეებთან ხელგადახვეულები, სანდრა რულოვსთან ერთად.

ერთი სართულით ქვემოთ ბიბლიოთეკა და კომპიუტერების ოთახია, სადაც ინტერნეტში ჩართული 4 კომპიუტერი დგას.

„ვცდილობთ, ბავშვებს ხელობა ვასწავლოთ, პურს ვაცხოვთ ერთად, თმის შეჭრას ვასწავლით. ზაფხულობით ზღვაზე მიგყავს დასასვენებლად“, – ყვება დირექტორი.

დერეფნებში სინყნარეა. „თავიდან გავრბოდი ხოლმე, აქ არავის ვიცნობდი, მაგრამ ახლა ყველანი მეგობრები ვართ“, – ამბობს მათე.

გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ ვრცელი კვლევა ჩატარა. გამოიკვეთა, რომ სასკოლო გარემოში ძალადობასთან ბრძოლა მხოლოდ დისციპლინის გამკაცრებით, სანქციებით და ახალი სადამსჯელო მეთოდების შემოღებით, წარმატებული ვერ იქნება. იუნისეფის რჩევით, რომელიც ამ ორგანიზაციამ განათლების სამინისტროს წარუდგინა, მოზარდებს პოზიტიური მაგალითი, პირველ რიგში, სწორედ მასწავლებლებმა და სკოლის სხვა პერსონალმა უნდა აჩვენოს. ძალადობის შემცველ ლექსიკასა და აგრესიას მოზარდებიც იყენებენ, თუ ურთიერთობის ასეთი ფორმა უფროსებშიც მიღებულია.

რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ სკოლებში უნდა მოხდეს პოზიტიური აღზრდის მეთოდების ნახალისება, ტოლერანტობისა და პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრის უნარების სწავლება და ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

იუნისეფის ეს რჩევები სავალდებულო არ ყოფილა. ამიტომ, განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი „უსაფრთხო სკოლის“ პროგრამაზე დღემდე თითქმის არ ასახულა.

დაჩაგვრას, ქურდულ მენტალიტეტს, ძველიჭობას, ნარკომანიას განათლების სამინისტრომ ბრძოლა დისციპლინის გამკაცრებით გამოუცხადა. ახალ წესებს თან არ მოჰყოლია მასწავლებელთა ტრენინგი, მოზარდებთან ძალადობაზე ღია საუბარი, სპეციალური პროგრამებით ან თამაშებით ძალადობის, როგორც ფასეულობის, დაგმობა. ამდენად, მოსწავლეებმა სასკოლო სიახლეები ძალადობად უფრო აღიქვეს.

„სკოლებში კამერები დაგვიყენეს. ეზოში გასვლა გვეკრძალება. ყველა ნაბიჯს მანდატურები გვიკონტროლებენ. ბარემ გისოსებიც დაგვიმონტაჟონ და ციხეში ვიქნებით“, – ამბობენ 55-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასელები და დასძენენ, რომ ერთადერთი, რაც მანდატურების სკოლაში გამოჩენის შემდეგ მათ სკოლაში შეიცვალა ისაა, რომ სკოლას ძველებურად ველარ აცდენენ. „იძულებულები ვართ, ყველა გაკვეთილზე ვისხდეთ“.

მანდატურები, რომელთა პიარისთვისაც ათასობით ლარი დაიხარჯა, „უსაფრთხო სკოლის“ ცენტრალური ფიგურები არიან.

ბევრ სკოლაში ისინი ჯერ არ გამოჩენილან, მაგრამ ყველგან ელიან. იქ კი, სადაც სასკოლო ცხოვრებას უკვე მანდატურები მეთვალყურეობენ, „ცივი ომი“ მიმდინარეობს.

მე-20 სკოლაში ყოველ კუთხე-კუნჭულს 16 სათვალთვალო ვიდეოკამერა აკონტროლებს – საპირფარეოების შესასვლელს, დერეფნებს, ეზოს. სამიდან ერთი მანდატური ყოველთვის სპეციალურ კაბინეტში ზის და მონიტორებს უყურებს, ორი – დერეფნებში მოძრაობს. ყოველ პარასკევს მანდატურები განათლების სამინისტროსთვის მოხსენებას წერენ, სადაც თითოეული წერილმანია აღნიშნული – ვინ დააგვიანა სკოლაში მისვლა, ვინ არ დარჩა გაკვეთილებზე ბოლომდე, რომელ მასწავლებელს რა შეეშალა მოსწავლესთან ურთიერთობაში. ამიტომაც სკოლაში რჩებათ შთაბეჭდილება, რომ მანდატურები მათ „ტიტორიაზე“ არა დამხმარებლად, არამედ

ზედამხედველად მივიდნენ. „თვითონაც ასეთი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე – ჩვენ, პირადად, პრეზიდენტის პროექტის ნაწილი ვართ“.

მანდატურები აკონტროლებენ არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მასწავლებლების ქცევასაც. ერთ-ერთ სკოლაში, სადაც შინაგანანესის მიხედვით, მასწავლებლებს მათი ვინაობის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშნის ტარება ევალებათ, მანდატურს უფლება აქვს, პედაგოგი ათი ლარით

– მათ შორის, რეზინის ხელკეტების შეძენას მოხმარდება.

სავარაუდოდ, ამ ძვირადღირებული პროექტის შედეგად აშკარად გამოხატული ძალადობის ფაქტები – ისეთი შემთხვევები, რომელთა დაფიქსირებაც ვიდეოკამერებზეა შესაძლებელი, – შემცირდება. ქუჩური გარჩევების ადგილი სკოლა მართლაც ველარ იქნება. მოსწავლეებს გაუჭირდებათ, სკოლის დერეფნებში ცივი იარაღით იარონ.



ბავშვებს ბურის ცხობას მცხოვრები ასწავლის. ამის ცოდნა მათ დასაქმებაში დაეხმარება

ფოტო: მარია ქორიანაძე

დააჯარიმოს. მასწავლებელი მანდატურისგან შენიშვნას იმ შემთხვევაშიც მიიღებს, თუ მოსწავლეს გაკვეთილის დროს საპირფარეოში გასვლის ნებას დართავს.

გაურკვევლობას მასწავლებლებისა და მანდატურების ბუნდოვნად გამიჯნული უფლება-მოვალეობებიც იწვევს. მე-20 სკოლის მასწავლებლის თქმით, განათლების სამინისტრომ დირექციას მანდატურების უფლებების ჩამონათვალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადასცა. „გადავხედეთ ამ ფურცელს და ვთქვით, კი, მაგრამ – ჩვენი უფლებები?“

მომავალი წლიდან მანდატურების პროგრამის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდება. პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი ბიუჯეტის პროექტში ამ პროგრამისთვის 7 მილიონ 688 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა 934 მანდატურის ხელფასსა და სპეციალური აღჭურვილობის

თუმცა, ხელის კვრის, თმის მოქაჩვის და დანის ტარების გარდა, „ძალადობა სკოლაში“ სხვა მნიშვნელოვან ნიუანსებს მოიცავს. „არსებობს არაფიზიკური, არავერბალური ქცევები, ყესტები და მიმიკები, რომელთაც მოზარდები ჩაგვრისა და ძალადობის მეთოდებად იყენებენ. ბავშვებში მსგავსი ქცევების შემჩნევა და გამოვლენა ყველაზე რთულია“, – ამბობენ ლოს ანჯელესის განათლებისა და საინფორმაციო მეცნიერებების ფაკულტეტის ექსპერტები. მათი თქმით, მოზარდზე ღრმა კვალს სწორედ ასეთი, უფროსებისთვის შეუმჩნეველი ჩაგვრა და შეურაცხყოფა ტოვებს და მომავალში რთულ ფსიქოლოგიურ კომპლექსებში მჭყანდება.

„ჩვენს კლასში ერთი გოგოა, რომელთანაც არავინ მეგობრობს და ყველა დასცილნი. მასწავლებლებს სულ უნდათ, მასთან დაგვსვან, მაგრამ ჩვენ არ გვინდა. რა-

ლაცნაირია, საერთოდ არ სწავლობს, სუნიანია, მგონი, თავი არასოდეს დაუბანია. რა უნდა მითხრას მანდატურმა, ამ გოგოსთან რომ ვიმეგობრო და სხვანაირად შევხედო“, – ამბობს მეთერთმეტეკლასელი გოგონა.

„ჩემი ერთი კლასელია, რომელსაც მაგრად „ვამორებთ“, მანდატურებმა არაფერი იციან და ვერც გაიგებენ იმიტომ, რომ ის ბიჭი ასი წელი ვერ იტყვის ამას, დაშინებული გვყავს და იცის, კიდევ უფრო

მაგრად ვცემთ“, – ამბობს იმავე სკოლის მეთერთმეტეკლასელი ბიჭი.

მას შემდეგ, რაც დიმიტრი შაშკინმა სამტრედიის სპეცსკოლის შესახებ განაცხადა, სოფელ ენერს განათლების სამინისტროდან სტუმრები უკვე 3-4 ჯერ ეწვივნენ.

შენობა გაზომეს, ნახაზები წაიღეს. როგორც თქვეს, მალე შეიძლება, სამტრედიისში 20-25 გოგონაც ჩაიყვანონ, ამისთვის დამატებითი ფლიგელი იქნება საჭირო.

დირექტორმა უკვე იცის, რომ მის სკო-


ლასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროში ახალი გეგმები აქვთ.

როგორ უნდა გარდაიქმნას სამტრედიის სკოლა გეგმის მიხედვით, ამის შესახებ განათლების სამინისტროში ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. გაეროს ბავშვთა ფონდის ცნობით კი, კონკრეტული სტრატეგიის შესამუშავებლად განათლების სამინისტროს მალე რეკომენდაციებს გაუგზავნიან, რომელშიც სამტრედიის სკოლაც მოიაზრება. კონკრეტულად რა დანაშაულისთვის გაგზავნიან სამტრედიის სკოლაში მოსწავლეებს და სპეციალისტთა რა ჯგუფი იქნება ჩართული თითოეული ბავშვის ბედის გადაწყვეტის პროცესში – ამ მნიშვნელოვან საკითხებზე კონკრეტული მსჯელობაც მხოლოდ სტრატეგიის გამოქვეყნების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

არასამთავრობო ორგანიზაცია Every Child-ის დირექტორი, ანდრო დადიანი ფიქრობს, რომ რეალური შედეგის მიღწევა მოზარდთა ძალადობის შესამცირებლად, იქვე, სკოლაშივე შეიძლება. ამისთვის კი, პირველ რიგში, სკოლების პერსონალის მომზადებაა საჭირო. „ჯერ მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ რთული ქცევის მართვის უნარ-ჩვევები. სკოლებში აქტიურად უნდა მუშაობდნენ ფსიქოლოგები. თუ ისიც ვერაფერს გაანცობს, მაშინ შეიძლება, მოსწავლეები მცირე ტიპის, მხოლოდ 50-60 ბავშვზე გათვლილ, ოჯახური ტიპის დანესებულებაში გადავიყვანოთ და არა სამტრედიის სკოლაში იმ ფორმით, როგორც იმ დღეს არსებობს“.

თუ სამტრედიის სკოლა, განათლების სამინისტროს მიერ აღებული გეზის შესაბამისად, ურჩ მოსწავლეთა დასჯის უმკაცრეს ინსტანციად გარდაიქმნა, მაშინ, იქ არა მხოლოდ შენობის ინფრასტრუქტურა შეიცვლება, არამედ სკოლის მთელი კონცეფციაც. სამტრედიის სკოლა უკვე იქცა ახალ საფრთხობელად. მის ამ ახალ იმიჯს კი უკვე ვეღარ მოერგება სკოლის დირექტორის იდეა, რომელიც „ლიბერალის“ ჟურნალისტებს გაუმხილა – არ მომწონს ეს ყრუ და მაღალი მესერი სკოლის გარშემო, მინდა, გამჭვირვალე ღობე გავაკეთოთ, თორემ ემინია ხალხს, ჰგონიათ, აქ ციხე გვაქვსო. 

■ „სკოლებში კამერები დაგვიყენეს. ეზოში გასვლა გვეკრძალება. ყველა ნაბიჯს მანდატურები გვიკონტროლებენ. ბარემ გისოსებიც დაგვიმონტაჟონ და ციხეში ვიქნებით“, – ამბობენ 55-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასელები.



ფოტო მარკაბა შინაშინელი

ნინა საუკუნის 60-იან წლებში ნანგრევებად ქცეული შენობა მალე გარემონტდება

სტატიაზე მუშაობდნენ მარიკა ქორიაშვილი, ნინო გოგუა.

ჩახომ ბეჭიხება ათასი ხუის ჩამოყვანა



მარკ მალენი

განათლების სამინისტროს ახალი პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მიზანია, საქართველოში ათასი ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი ჩამოიყვანოს. პროგრამა, რამდენიმე მიზეზის გამო, მართლაც შესანიშნავია. ხელისუფლება ნამდვილად არ ცდება იმაში, რომ ინგლისური მსოფლიოსთან დამაკავშირებელი ბილეთია. ინგლისურის სრულყოფილად ცოდნა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სამსახური გარანტირებული გაქვს, აუცილებლად საზღვარგარეთ იმოგზაურებ, ან მსოფლიოს უკეთ შეიცნობ. თუმცა, ეს აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. უკეთესი გზა საქართველოს და მის ხალხს დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად არ აქვს. ხალხისთვის სასარგებლო იქნება დასავლეთის გაცნობა ამ გზით, და არა ფილმების, მუსიკალური ვიდეოების და მეორადი ტანსაცმლის საშუალებით.

პროგრამა საქართველოს რეკლამასაც უწყობს ხელს. ჩამოსული ინგლისურენოვანი მოხალისეების დიდ ნაწილს საქართველო უყვარდება. ისინი უკვე რეკავენ სახლში, აგზავნიან წერილებს და ალბათ, როდესაც სამშობლოში დაბრუნდებიან, დარჩენილი ცხოვრება ილაპარაკებენ იმაზე, თუ როგორი დიდებული ქვეყანაა საქართველო.

როგორც გარდაქმნების მომტან სხვა პროგრამებს, ამასაც პირდაპირი, ხილვადი შედეგი მცირე ექნება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში განუზომელ სიკეთეებს მოგიტანს.

რუსულს რა ვუყოთ? მე რუსულზე ვენერვიულობ. დღეს რუსულის ცოდნა თითქმის გამქრალია. ზოგადად, ეს ენა სხვა საკავშირო რესპუბლიკებისგან განსხვავებით, საქართველოს ეროვნული პრიორიტეტი არასდროს ყოფილა. აქ საუკეთესო სკოლების უმრავლესობა ქართული იყო, მაშინ როდესაც სხვა რესპუბლიკებში, ძირითადად, რუსული სკოლები ლიდერობდა. გარკვეული თაობის რუსებს კი, ალბათ, ბევრი ანეკდოტი აქვთ ქართველების მიერ რუსული ენის ფლობაზე.

თუმცა, საქართველოში ახლაც ბევრი ოჯახი საუბრობს რუსულად, განსაკუთრებით ისეთ მხარეებში, როგორიცაა მარნეული, ახალქალაქი და თბილისშიც, რომ არაფერი ვთქვათ იმ ტერიტორიებზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს. რუსული ჯერ კიდევ საყოველთაოდ მიღებული ენაა სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. უკრაინა და თავად რუსეთიც, რასაკვირველია, ამ ენაზე საუბრობს. ასევე, რუსულად ბევრი რამის ნაკითხვაა შესაძლებელი. მაშინ, რატომ არ მოვიხმობთ ათას რუს მოხალისეს საქართველოში, იმისათვის, რომ დაეხმაროს ქართველ ახალგაზრდებს რუსულის სწავლაში?

თქვენ იტყვი, რუსეთიდან ხომ მოხალისეებად სინამდვილეში „ფსბ“-ს აგენტებს გამოგზავნიანო! მერე, კარგია! ახალგაზრდა „კგბ“-ს წევრის ადამიანურ ცხოვრებასთან დაბრუნების შანსი სხვა რა იქნება, თუ არა ქართულ სოფელში ერთი ან ორი წლის გატარება?

რამდენიმე თვის წინ ამერიკაში რუსი აგენტების „მიძინებული“ ჯგუფი გამოაშკარავეს. ისინი იქ ათი წლის წინ გააგზავნეს მისით – გამხდარიყვნენ ამერიკული საზოგადოების წევრები და დაენერათ მის შესახებ ანგარიშები. ისინი მაშინვე შეამჩნია გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და მათ 10 წელი უთვალთვალადა. ამ აგენტების კომუნიკაციის ჩანაწერი თავიანთ ბოსებთან – ლიუბანკაზე მსხდარ დინოზავრებთან ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი კულტურული დოკუმენტია, რაც ოდესმე წამიკითხავს. ეს აგენტები, უკლებლივ ყველა, გახდნენ ამერიკელები. დინოზავრები კი ვერაფრით იგებდნენ, თუ როგორ შეიძლება, რომ ამერიკული საზოგადოება ასეთი გახსნილი იყოს. ნუთუ, ამერიკელები მართლა ისეთი მიაშიტები არიან, რომ ყველაფერს პირდაპირ და თანაც დიდი სიამოვნებით ყვებიან?! თანაც, მოსაყოლიც დიდი არაფერი იყო – ამ ყველაფრის მოძიება ინტერნეტშიც შეიძლებოდა. როდესაც აგენტებს მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება დაუპირეს, მათ უკვე ამერიკიდან წასვლა აღარ უნდოდათ.

ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ შეიძლება საქართველომაც იგივე გააკეთოს. გაითვალისწინეთ, ძალიან ცოტა რუსს აქვს საქართველოზე პირველადი ინფორმაცია. ისინი, ვინც პროგრამის მონაწილე იქნებიან, ყველაზე მამაცი, ცნობისმოყვარე და ჭკვიანი ხალხი იქნება, რაც კი რუსეთში მოიპოვება. ისინი საკუთარი გამოცდილებიდან შეიტყობენ, რომ ის პროპაგანდისტული ნაგავი, რასაც მათ კრემლი მედიის მეშვეობით აწვდის, აბსურდია. ისინი გაიგებენ, რომ საქართველოში უფრო თავისუფალი საზოგადოებაა, ვიდრე მათ სამშობლოში.

გამოდის რომ, ჯერ ერთი, მოკრძალებული დანახარჯით, საქართველოს მთავრობა ახალგაზრდა აგენტების ნეიტრალიზებას შეძლებს. მეორეც, შეიქმნება რუსი მოხალისეების მთელი ჯგუფი, რომელიც საქართველოს შესახებ ობიექტურ ინფორმაციას გაავრცელებს – ისევე, როგორც სხვა უცხოელი მეგობრები, მაგალითად, ინგლისურენოვან პროგრამაში მონაწილეები. მართლაც, ჩინებული სახელმწიფო უსაფრთხოების პროგრამა გამოვა! ჩამოიყვანეთ ათასი რუსი მოხალისე! **!**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

კომენტარი

ნახიჩა მახჩვენა ზოჯინსხიმ მოძხოობამ მოისვა

თავიანთი მოძრაობის რადიკალური და ზოგჯერ - კომიკური პროგრამის მიუხედავად, „ჩაის მსმელები“, როგორც ჩანს, არ ხუმრობენ და გაჩერებასაც არ აპირებენ.

გიორგი ცხადაია



„ჩაის მსმელების მოძრაობის“ სახელი ამერიკის კოლონიური ეპოქიდან მოდის. ამერიკელები მაშინ ბრიტანეთის „ბოროტ“ იმპერიას ებრძოდნენ, რომელიც ბრიტანული კომპანია „ისტ ინდოეთისთვის“ სასათბურე პირობების შექმნას ცდილობდა. ამ კომპანიის ყველა კონკურენტს ბრიტანეთის კოლონიურმა მმართველობამ გადასახადები გაუზარდა, „ისტ ინდოეთს“ კი პირიქით – შეუმცირა. საპასუხოდ, მამაცი ბოსტონელი ამერიკელები ადგნენ და ჩაის ფუთები ოკეანეში გადაყარეს. ისინი ვაჭრობაში სახელმწიფოს უხემ ჩარევას აპროტესტებდნენ.

თანამედროვე „ჩაის მსმელებიც“, მათი თქმით, იმავეს ითხოვენ – „ნაკლებ სახელმწიფოს“. ისინი ამჯერად არა შორეულ იმპერიას, არამედ საკუთარი სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას ებრძვიან.

როგორც „ფოქს ნიუსის“ სკანდალურმა წამყვანმა და მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გლენ ბეკმა „ჩაის მსმელების“ შეკრებაზე განაცხადა – მათი მისიაა, დაიცვან ამერიკის „წინაპრებისგან ბოძებული“ სამი სინძინდე: რწმენა, იმედი და ქველმოქმედება. მიტინგი „ამერიკის აღსადგენად“ 2010 წლის 28 აგვისტოს ლინკოლნის მემორიალთან გაიმართა.

„ჩაის მსმელების“ კერპი – ყოფილი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი სარა პეილინი ამერიკული სინძინდეების დასაცავად „დედა გრიზლების“ („გრიზლი“ ჩრდილო-ამერიკული მურა დათვია) გააქტიურებით იმუქრება. მისივე სიტყვებით, „დედა გრიზლები“ უნდა „წამოიმართონ“, რათა თავიანთი ლეკვები დაიცვან.

თუ რისგან უნდა დაიცვან დედა „გრიზლებმა“ ამერიკა, ყველა რიგითი „ჩაის მსმელისთვის“ ცნობილია. მათ ამერიკა

სოციალიზმისგან უნდა გადაარჩინონ: ფედერალური მთავრობის კონსტიტუციით დადგენილი ლეგალური საზღვრები აღადგინონ, გადასახადები შეამცირონ, ახლახან მიღებული ჯანდაცვის აქტი გააუქმონ და გარემოს დაბინძურებაზე დაწესებული სანქციები მოხსნან. ამით ამერიკა მეცხრამეტე საუკუნის – ადრეული კაპიტალიზმის საზღვრებში უნდა აღადგინონ და ევროპული სოციალიზმის მავნე ზეგავლენებისგან დაიცვან.

სოციალიზმი „ჩაის მსმელებისთვის“ არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ლამის საბჭოთა კომუნიზმად და ანტიეროვნულ იდეად ითვლება. მათთვის დიდი განსხვავება არ აქვს, თუ როგორ სოციალიზმს უჭერენ ლიბერალები მხარს (და საერთოდ, უჭერენ თუ – არა) – ევროპულ სოციალ-დემოკრატიას, თუ საბჭოთა ავტორიტარულს. სოციალიზმი, ყვე-

ლა შემთხვევაში, ანტიამერიკული და რეპრესიული იდეაა.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, მთავრობებმა კატასტროფის წინაშე მდგარი ეკონომიკების მასობრივი გადარჩენა დაიწყეს. ამით ბუშის მემარჯვენე ამერიკაც კი ძალაუვნებურად „სოციალისტურ“ ევროპას დაემსგავსა. პრეზიდენტმა ბუშმა 2008 წელს თავად მოანერგა ხელი ამერიკული მსხვილი ინდუსტრიის და ბანკების გადარჩენის გეგმას, ე.წ. bail out-ს. მიუხედავად ამისა, „ჩაის მსმელების“ პირველი პროტესტი არა ბუშის, არამედ ობამას 2009 წლის „სტიმულის აქტს“ მოჰყვა. ეს აქტი თავისუფალი ბაზრის მუშაობაში უხეშ ჩარევად შეფასდა და მის გასაპროტესტებლად საერთო სახალხო მანიფესტაციები და შეკრებები გაიმართა.

სინამდვილეში, ფედერალური ხარჯვა სწორედ ბუშის ეპოქაში გაიზარდა, როდესაც ქვეყანა ორ საკმაოდ გრძელვადიან ომში ჩაერთო. „ჩაის მსმელები“ ამაზე თითქმის არასდროს საუბრობენ, რადგან ომი ეროვნული საკითხია. ისინი მხოლოდ ახალი ადმინისტრაციის მემარცხენე პერვერსიებს ებრძვიან.

ობამას ადმინისტრაცია პროტესტით ამკარად გაკვირვებულია. განსაკუთრებით იმით, რომ „დემოკრატებს“ „ჩაის მსმელები“ გადასახადების გაზრდაში ადანაშაულებენ. სინამდვილეში ობამამ მუშა და საშუალო კლასის ამერიკელებისთვის გადასახადები შეამცირა. გადასახადები მხოლოდ მდიდარი ამერიკელებისთვის გაიზარდა და ისიც – დაახლოებით კლინტონისდროინდელ ნიშნულამდე.

თუცმა, ფაქტები ცოტას თუ აინტერესებს – „ჩაის მსმელების“ რადიკალური რიტორიკა თანდათან მეტ პოპულარობას იძენს. ამაზე მეტყველებს დელავერის, ნიუ-იორკის, კენტუკის, არიზონას და ალასკას რესპუბლიკურ პრაიმერებში მათი გამარჯვება. ისინი არა მხოლოდ გადასახადების შემცირების და „ნაკლები სახელმწიფო ხარჯვის“ ლიბერტარიული ეკონომიკური პლატფორმით, არამედ კონსერვატორული და ნაციონალისტური გამოხატულებითაც გამოირჩევიან. მათთვის ლიბერტარიული ეკონომიკა ამერიკის ეროვნული მახასიათებელია და ფედერალური ხარჯვის

გაზრდა კონსტიტუციის მიერ ფედერალური მთავრობისთვის მინიჭებული როლის უგულვებელყოფაა. თავად სახელიც – „ჩაის მსმელების მოძრაობა“ სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ამ ორგანიზაციის წევრებისთვის ფისკალური კონსერვატიზმი უზენაესი ეროვნული საკითხის რანგშია აყვანილი.

ეკონომიკური ლიბერტარიანიზმის გარდა, „ჩაის მსმელებისთვის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორისაა ქრისტიანობა და რწმენა. მათი აზრით, „ლიბერალური ელიტები“ ამერიკას უღმერთობის და სოციალიზმის გზაზე დააყენებენ და საზოგადოება ძირითადი ქრისტიანული პრინციპებისგან გადაუხვევს. რელიგიური რიტორიკა გლენ ბეკის და სარა პეილინის გამოხატულებაში ზოგჯერ ეკონომიკური ლიბერტარიანიზმის რიტორიკასაც კი აჭარბებს და ხშირად აბსურდამდე მიდის ხოლმე.

ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა: გლენ ბეკმა 28 აგვისტოს მანიფესტაციის შესახებ საუბრისას „ღვთის გეგმა“ ასხენა. ბეკი, არც მეტი და არც ნაკლები, იმას ჰყვებოდა, რომ ხილვა ჰქონდა და ღმერთმა ღვთაებრივი გეგმა გააცნო. გეგმის მიხედვით, ამერიკელი ხალხი ლინკოლნის მემორიალთან, 28 აგვისტოს, გლენ ბეკთან ერთად უნდა შეკრებილიყო. ღვთაებრივი მისია დაეკისრა კაცს, რომელიც ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში საკუთარ თავს „როდგოს კლოუნი“ უწოდა. „ჩაის მსმელთა მოძრაობისთვის“ სიმბოლოები მნიშვნელოვანია – 28 აგვისტო ის თარიღია, როდესაც მარტინ ლუთერ კინგმა ლინკოლნის მემორიალთან თავისი ცნობილი სიტყვა – „მე მაქვს ოცნება“ წარმოთქვა.

უფრო რადიკალურ კონსერვატორულ პლატფორმაზე დელავერის შტატის რესპუბლიკური პრაიმერის გამარჯვებული ქრისტინ ო'დონელი დგას, რომელიც 90-იანი წლების ერთ-ერთ შოუში მასტურბაციის წინააღმდეგ გამოდიოდა და მშობლებს ბავშვებისთვის მასტურბაციის აკრძალვას სთხოვდა. დღეს ის „ჩაის მსმელების“ ახალ კერპი – ახალი „დედა გრიზია“

თავიდან ახალი, მასობრივი ულტრაკონსერვატორული მოძრაობის გამოჩენა რესპუბლიკური პარტიის „ახალ სუნთქვად“

მიიჩნეოდა. დღეს კი ჩაის მსმელების ამგვარი აღმასვლა უკვე „რესპუბლიკელებსაც“ აშფოთებთ. შემფოთების მიზეზი რადიკალური მოძრაობის რიტორიკაა, რომელიც შესაძლოა, ზომიერ ამომრჩეველზე უარყოფითად მოქმედებდეს. „დემოკრატებს“ „ჩაის მსმელების“ წარმატებები, პირიქით, ახარებთ, რადგან ამით „რესპუბლიკური პარტიის“ დისკრედიტაციის რეალური შანსი ეძლევათ. შემფოთებული „რესპუბლიკელები“, დისკრედიტაციის შიშით, გლენ ბეკის ეროვნულ შეკრებაზეც კი არ მივიდნენ.

„ჩაის მსმელების“ მოძრაობის სოციალური სურათის დადგენა ადვილია. მათი უმრავლესობა საშუალო ასაკის, თეთრკანიანი, საშუალო ფენის ამერიკელები არიან. ობამას მიერ საშუალო ფენის მხარდაჭერის პროგრამას თუ გავითვალისწინებთ, მათი პროტესტის მიზეზი ბუნდოვანია. როგორც ჩანს, „ჩაის მსმელები“ არა იმდენად ეკონომიკური, არამედ სიმბოლური კაპიტალის დაბრუნებისთვის იბრძვიან. ისინი გრძნობენ, რომ ამერიკის პოლიტიკაში მათ დომინანტური ადგილი დაკარგეს. ამიერიდან, მათ ადგილს ურბანული, კოსმოპოლიტი „ლიბერალური ელიტები“ დაიკავებენ.

ბარაკ ობამა ამგვარი ლიბერალური კოსმოპოლიტიზმის კლასიკური შემთხვევაა და მის მიმართ განსაკუთრებული სიძულვილიც აქედან ჩნდება. „ჩაის მსმელები“ ხშირად ასხენებენ, რომ თითქოს ობამა ამერიკაში დაბადებული არ არის, რომ ის მუსლიმი და არა – ქრისტიანი და ამასთან ერთად – სოციალისტიც. „ჩაის მსმელების“ რიტორიკაში გამოკვეთილად მხოლოდ რასობრივი ფაქტორი არ ჩანს, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, გლენ ბეკმა „ფოქს ნიუსის“ ერთ-ერთ შოუში განაცხადა, რომ ობამას თეთრკანიანების ღრმად გამჯდარი სიძულვილი ამოძრავებს.

თავიანთი რადიკალური და ზოგჯერ კომიკური ხასიათის მიუხედავად, „ჩაის მსმელები“, როგორც ჩანს, არ ხუმრობენ და გაჩერებასაც არ აპირებენ. „დედა გრიზლე“ მომავალი საარჩევნო ბრძოლისთვის მზად არიან. გამოდის, რომ „რესპუბლიკური“ და „დემოკრატიული“ პარტიების ბედს „ჩაის მსმელების“ მომავალი აქტიურობა განსაზღვრავს. ■

აშშ და ირანი

ირანის ფაქტობრივი

რა განაპირობებს ამერიკასა და ირანს შორის დაძაბულობას?

ემილ სულეიმანოვი

ირანს კასპიის ზღვასა და სპარსეთის ყურეს, კავკასიას, მცირე აზიის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ და შუა აზიას შორის უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული ადგილი უკავია. მისი მოსახლეობა 70 მილიონს აღემატება და უმრავლესობა შიიტი მუსლიმია.

უკანასკნელ წლებში ეს ისლამური სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. წამყვანი დასავლური სახელმწიფოების ოფიციალური პირების მტკიცებით, თეირანი რუსი სპეციალისტების დახმარებით ბირთვული იარაღის შექმნისათვის აუცილებელ ტექნოლოგიებს ავითარებს. სწორედ ამის გამო, ირანი ახლო აღმოსავლეთის საჭადრაკო დაფაზე უმნიშვნელოვანესი მოთამაშის – აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდა.

1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე ირანში მონარქია იყო. მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ქვეყნის სათავეში მოსული ფეხლეების დინასტიის ორი შაჰი სეკულარული მოდერნიზაციის პოლიტიკას ატარებდა. ეს კი მოსახლეობის ღრმად მორწმუნე ფენებში, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობას იწვევდა. კერძოდ, 30-იანი წლების საჯარო ადგილებში ჩადრისა და ჰიჯაბის ტარება აიკრძალა. ეს პოლიტიკა თითქმის ათ წელს გრძელდებოდა. შედეგად, ასობით ათასი ირანელი ქალი თევობით არ გამოდიოდა სახლიდან, რომ უცხოთა თვალწინ თავდაუზღუდავი არ შერცხვენილიყო.

თეირანის მიერ წარმოებულმა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ ქვეყანა, ფაქტობრივად, ორ ფენად გაყო: დიდ ქალაქებში თავმოყრილ, დასავლური ლი-

რებულებების მქონე და შეძლებულ მცირერიცხოვან ელიტად და სოფლებსა და პატარა ქალაქებში მცხოვრებ ჩამორჩენილ ტრადიციულ მოსახლეობად, რომელთაც ნავთობით ვაჭრობით მიღებული ქვეყნის უზარმაზარი შემოსავლებიდან მხოლოდ გროშები ხვდებოდათ. ირანის ამ ორ ფენას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო.

იმ წლებში ირანი რეგიონში ამერიკის მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო, ამიტომ ვაშინგტონი უპირობოდ მონარქიას უჭერდა და მხარს და პოლიტიკურ (უპირველეს ყოვლისა, ისლამურ) ოპოზიციასთან, რომელიც ირანში 60-იან და, განსაკუთრებით, 70-იან წლებში გააქტიურდა, სშირად საკმაოდ სასტიკი მეთოდებით გასწორებაზე თვალს ხუჭავდა.

შაჰის რეჟიმი 1979 წელს დაემხო. შაჰი,

■ არ არის გამორიცხული, რომ ირანის მიმართ რუსეთის ახალი პოლიტიკის სანაცვლოდ, ამერიკამ სამხრეთ კავკასიასა და, ნაწილობრივ, შუა აზიაში საკუთარი ინტერესებს გადახედოს.



ირანის სამხედრო ობიექტის თანამგზავრიდან გადაღებული ფოტო

მისი ოჯახი და რეჟიმთან დაახლოებული ათი ათასობით ირანელი ქვეყნიდან გაიქცა, ხოლო შაჰის რეჟიმისადმი სიძულვილი ამერიკელებისადმი სიძულვილში გადაიზარდა.

ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელი აიათოლა ალი ჰომეინი, მაგალითად, აშშ-ს „დიდ სატანას“ უწოდებდა (სსრკ-ს იგი „პატარა სატანად“ მოიხსენიებდა), ჯოჯოხეთის წარმონაქმნს, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ისლამურ ღირებულებებს ემუქრება და რომელიც, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არადემოკრატიულ რეჟიმებს უჭერს მხარს.

მთელი ამერიკული საზოგადოებისათვის უდიდესი შოკი გახდა ე.წ. „ირანის მძევალთა კრიზისი“, რომელიც 1979 წლის ნოემბრიდან 1981 წლის იანვრამდე – 444 დღეს გაგრძელდა. შპიონაჟში ეჭვმიტანილი ათობით ამერიკელი დიპლომატი თეირანში ამერიკის საელჩოში ირანელი ისლამისტების ჯგუფმა დააკავა. ისლამისტებმა მაშინ ვაშინგტონს პოლიტიკური ულტიმატუმები წაუყენეს.

თეირანის თეოკრატიულ რეჟიმსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომის დროს. თეირანს ახლა უკვე ისლამური რევოლუციის მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავრცელება სურდა.

ომის ინიციატორი ერაყის მაშინდელი მმართველი სადამ ჰუსეინი იყო. ჰუსეინმა ირანის შიდაპოლიტიკური ქაოსით და შაჰის არმიის დასუსტებით ისარგებლა და მდინარე შატ-ალ-არაბის სასაზღვრო აუზში რამდენიმე სადავო ტერიტორია დაიკავა. იარაღით ერაყს ამერიკა, ზოგი ევროპული სახელმწიფო და სსრკ ამარაგებდა. ისინი ჰუსეინში ნაკლებ საფრთხეს ხედავდნენ.

ირანის მხრიდან ომში მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, რაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ერაყის დანაკარგები. ალყაში მოქცეულ ირანელებს, რომლებიც რეგულარული ქიმიური თავდასხმის ქვეშ იყვნენ, არც საბრძოლო მასალები ყოფნიდათ, არც იარაღი და სურსათი.

ირანელებმა ასეთი დიდი ადამიანური მსხვერპლისათვის პასუხისმგებლობა

ამერიკელებს დააკისრეს (და დღემდე აკისრებენ), რომლებიც, მათი სიტყვებით, ისლამის წინააღმდეგ მსოფლიო ომს აწარმოებენ.

1991 წელს სსრკ-ს დაშლამ, ირანის ჩრდილო საზღვრებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებამ და სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის რეგიონში ვაშინგტონის პოლიტიკის გააქტიურებამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი დაძაბულობა შემოიტანა. უპირველეს ყოვლისა, ამერიკელებს ირანიდან აზერბაიჯანში და შუა აზიის სახელმწიფოებში ისლამური რევოლუციის გავრცელების შეეშინდათ. თავის მხრივ, ირანელებს ნავთობითა და ბუნებრივი აირით მდიდარ კასპიის ზღვის აუზში ამერიკელების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების გაძლიერება არ მოეწონათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ირანსა და რუსეთს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობა თავდაპირველად სწორედ კავკასიისა და შუა აზიის რეგიონში ამერიკული (და დასავლური) პოზიციების შესუსტებას ისახავდა მიზნად. ვაშინგტონი კი, ამავდროულად, ცდილობდა მოსკოვის გავლენის განეიტრალებას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაც ვაშინგტონის ამ გეგმის ნაწილი იყო.

ამერიკასა და ირანს შორის უთანხმოება ერაყთან დაკავშირებულ საკითხშიც გამოიყვანდა. ერაყის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეთნიკური არაბია, რომლებიც, სპარსი-ირანელების მგავსად, შიიტი მუსლიმები არიან. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს პოლიტიკურად დომინანტ სუნიტური ისლამის მიმდევრებსა და შიიტებს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. სექტანტური ძალადობა შიიტებსა და სუნიტებს შორის, რომელიც ერაყში 2003 წელს ჰუსეინის რეჟიმის დაშლის შემდეგ გამაფრდა, ნაწილობრივ თეირანის მოვლების მიერ იყო მხარდაჭერილი. მათ მეზობელ სახელმწიფოში შიიტების გაძლიერება სურდათ, რასაც ერაყს ტრადიციული მონინალმდეგიდან მოკავშირედ აქცევდა.

რაც შეეხება ავღანეთს, აქ აშშ-სა და ირანის ინტერესები უჩვეულოდ ემთხვევა. სალაფიზმზე დაფუძნებული თალიბების

რეჟიმი ირანისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. სალაფიზმი სუნიტური ისლამის მიმდევრობაა, რომელიც რწმენის შეურყევლობას ესწრაფვის და ურწმუნოთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს. სალაფისტები, ან ვაჰაბისტები, როგორც მათ მეორენაირად უწოდებენ, ურწმუნოებად შიიტებსაც მიიჩნევენ. ავღანეთთან მოსაზღვრე ირანის აღმოსავლეთი რეგიონები სუნიტებით არის დასახლებული. შესაბამისად, 9 წლის წინ კოალიციური ძალების მიერ თალიბების ლიკვიდაცია ირანის ინტერესებშიც იყო.

ბირთვული ფიზიკის დარგში ირან-რუსეთის თანამშრომლობის გააქტიურება ახალი სახიფათო ინიციატივაა. მოსკოვი ირანელებს ბუშერში, სამხრეთ ირანში ბირთვული რეაქტორის დაშლადედაში ეხმარება. წარმატების შემთხვევაში, ამ ინიციატივამ რეგიონში ძალთა განლაგება შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს. უპირველეს ყოვლისა, თუ თეირანს მართლა ექნება ატომური იარაღი, ეს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის მთავარი მოკავშირის – ისრაელის – უსაფრთხოებას, და ასევე რეგიონში თავად აშშ-სა და რამდენიმე სხვა დასავლური სახელმწიფოს პოზიციებს მკვეთრად შეასუსტებს. ამ რეგიონზე კი მსოფლიოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის 60 პროცენტი მოდის.

არც თელ-ავივს, არც ვაშინგტონს ამის დამეება არ შეუძლია. შესაბამისად, ისინი ერთობლივად ცდილობენ რუსეთზე ზემოქმედებას. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხმამაღლა განაცხადა, რომ აპირებს შეუერთდეს დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ ინიციატივას ირანის ემბარგოსთან დაკავშირებით. რუსეთმა სულ ახლახან ისლამური რესპუბლიკის „მინაჰაერი“ ტიპის ზენიტური კომპლექსებით მომარაგებაზე უარი თქვა.

რა დაათმობინა რუსეთმა ამის სანაცვლოდ ამერიკას, ჯერ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. არ არის გამორიცხული, რომ ეს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები და რეგიონები – მათ შორის სამხრეთ კავკასია და, ნაწილობრივ, შუა აზია იყოს. **■**

საპრაზიდიენტო არჩევნები ბელარუსში

ბელარუსი აჩვენებს ზღვაზე

რუსეთი ერთადერთი იყო, ვინც ბელარუსის არჩევნების ლეგიტიმურობას აღიარებდა. ამჯერად ალექსანდრე ლუკაშენკოს მოსკოვის მხარდაჭერის იმედი აღარ აქვს.

ირინა ხალიპი

19 დეკემბერს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნებია. მოქმედი პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მეოთხედ ეცდება პოსტის შენარჩუნებას.

არჩევნების ჩატარების თარიღი შემთხვევით არ შერჩეულა – წინასახალწლო პერიოდი ყველაზე შეუფერებელია ქუჩის პროტესტებისთვის: ხალხი მოახლოებული დღესასწაულებისთვის ემზადება. ზამთრის ყინვები კი, თავის მხრივ, მინსკის მთავარ მოედანზე დიდხანს დგომის პერსპექტივას აძნელებს. არადა, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ბელარუსის არჩევნების ბედი სწორედ ქუჩაში გადაწყდება.

მოვლენები პროტესტის გარეშე ვერ ჩაივლის, რადგან ევროპის უკანასკნელი ავტორიტარი მმართველის – ალექსანდრე ლუკაშენკოს პოზიციები ასეთი მერყევი არასოდეს ყოფილა.

16 წლის მანძილზე ერთი და იგივე უხეში, მუქართი და უხამსობით გამორჩეული სახის ყურება უკვე მათაც მობეზრდათ, ვინც წლების განმავლობაში ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ ლუკაშენკოს რეჟიმის ქვეშ ცხოვრება შესაძლებელი იყო.

ბელარუსში ცვლილებების დრო დადგა. ამ ცვლილებებს მოასწავებს არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, არამედ გარე ფაქტორებიც, რომლებიც, ამ ბოლო დროს, ამკარად ლუკაშენკოს საწინააღმდეგოდ აენციო.

გაძვირებული რუსული გაზის და ნავთობზე საექსპორტო ტარიფების შემოღების წყალობით (დიდი ხნის მანძილზე, სწორედ იაფი ნავთობი და გაზი უზრუნველყოფდა „ბელარუსის ეკონომიკურ საოცრებას“) ქვეყანაში მიძიმე ზამთარს ელიან. სამომხმარებლო ტარიფები ამ დრომდე მხოლოდ იმიტომ არ გაიზარდა, რომ დეკემბერში არჩევნებია. შემდეგ კი ეს უკვე გარდაუვალი იქნება.

დეკემბრის ბოლო ბელარუსისთვის მნიშ-




საპროტესტო აქცია მინსკში, 23 მარტი, 2006

ვნელოვანი პერიოდი – რუსეთთან გაზის მონოდებაზე ახალი კონტრაქტი უნდა გაფორმდეს. ლუკაშენკოსთვის ეს კონტრაქტი კრემლთან სპეკულაციის მთავარი თემა იყო. ის ყოველთვის მიაჩნებდა მოსკოვს, რომ თუ რუსეთი გაზზე არსებულ ფასებს არ შეინარჩუნებს, ბელარუსში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება და ხელისუფლებაში ანტირუსულად განწყობილი ძალები მოვლენ.

დღეს ყველაფერი შეიცვალა. კრემლმა, რომლის ხელმძღვანელობა პირადად ლუკაშენკოს მიმართ სიმპათიებით არასდროს გამოირჩეოდა, თუმცა მუდამ მისი რეჟიმის მხარდაჭერი იყო, პოზიციები მკვეთრად შეიცვალა. ნომერ პირველ ანტირუსულ ძალად კრემლში უკვე თავად ლუკაშენკო მიაჩნიათ.

დღეს კრემლს მეტი თავისუფლება აქვს მანევრირებისთვის. იმ პირობებში, როცა



რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი დაბრკოლების გარეშე საქართველოს ტერიტორიები დაიკავა, ქოტური უკრაინული ექსპერიმენტი დემოკრატიასთან დაკავშირებით კრახით დასრულდა, ხოლო აშშ-სთან და ევროპასთან კომფორტული „გადატვირთვის“ პერიოდი დადგა, კრემლი თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობს რეგიონში. სულ უფრო უფასურდება ლუკაშენკოს დესპოტური „სტაბილურობის“ მნიშვნელობაც. კრემლს აღარ უღირს არაპროგნოზირებადი ლუკაშენკოს გამო ვაშინგტონთან და ბრიუსელთან ჭიდაობაც.

2010 წლის დეკემბერში ლუკაშენკო, შესაძლოა, არც ისე დიდი მსხვერპლი აღმოჩნდეს, როგორც, მაგალითად, 2006 წლის არჩევნების დროს იქნებოდა, მაშინ, როცა უკრაინაში ნარინჯისფერები იყვნენ ხელისუფლებაში და საქართველოსაც უკეთ მისდიოდა საქმეები.

■ არჩევნები პროტესტის გარეშე ვერ ჩაივლის, რადგან ევროპის უკანასკნელი ავტორიტარი მმართველის – ალექსანდრე ლუკაშენკოს პოზიციები ასეთი მერყევი არასოდეს ყოფილა.

პრესკონფერენციაზე 1 ოქტომბერს ლუკაშენკომ კრემლისთვის ბელარუსის დაკარგვით გამოწვეული ლამის აპოკალიფსური სურათი დახატა.

„ჩვენ ვიპოვით გამოსავალს – ახლა ნავთობს ვაგონებით ვატარებთ და მომავალშიც ასე ვიზამთ, მაგრამ მუხლებზე არ დავდგებით,“ – თქვა ლუკაშენკომ.

2 ოქტომბერს ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ბელარუსი არ აპირებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და სხვა ქვეყნებსაც იმავე პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებდა. საქართველო და სააკაშვილი ის თემაა, რომლის მიმართ კრემლის ხელმძღვანელები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან. ეს განცხადება მათ რუსეთის ღალატად აღიქვას.

მედვედევს, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ლუკაშენკოს დასჯის საშუალება სწორედ დეკემბერში ექნება.

თეორიულად, საპრეზიდენტო მართობაში მონაწილეობის მიღება 17 კანდიდატს შეუძლია. სწორედ ამდენი საინიციატივო ჯგუფი დარეგისტრირდა ბელარუსის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. 29 ოქტომბრამდე მათ თავიანთი კანდიდატების დასარეგისტრირებლად 100 ათასი ხელმოწერა უნდა შეაგროვონ.

კანდიდატობისთვის იბრძობებენ: „ერთიანი ევროპული ბელარუსის“ თავმჯდომარის მოადგილე იაროსლავ რომანჩუკი, ბელარუსელი პოეტი, პრორუსულად განწყობილი ვლადიმირ ნეკლიაევი, ბელარუსის „მწვანეთა პარტის“ წარმომადგენელი იური გლუშაკოვი, სამოქალაქო კამპანიის „ევროპული ბელარუსის“ ლიდერი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, წამყვანი ოპოზიციური ინტერნეტ-გამოცემის „ქარტია 97“-ის კოორდინატორი ანდრეი სანიკოვი, ბელარუსის „ლიბერალურ-დემოკრატიული პარტის“ თავმჯდომარე.

კანდიდატმა ალექსანდრე მილინკევიჩმა გამარჯვების შემორიბლთან ყვავილების მიტანის შემდეგ სახლებში წასვლა და მეორე დღეს მისვლა შესთავაზა. ეს განცხადება ბევრისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. მეორე დღეს ორჯერ ნაკლები ხალხი გამოვიდა. მერე კი – უფრო ნაკლები. ოთხი დღის შემდეგ, როცა მოედანზე ათეულობით აქტივისტილა შემორჩა, ჩასაფრებულმა სპეცრაზმმა აქციაზე მისვლა გაბედა და უკანასკნელი მემობოხეები ციხეებში ჩამოარია.

მილინკევიჩი დეკემბრის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ქუჩის პროტესტების გარეშე ლუკაშენკოს დამარცხება, უბრალოდ, შეუძლებელია. 1996 წელს ლუკაშენკომ კონსტიტუციაში პირველად შეიტანა ცვლილებები, ხელისუფლების გადაწინააღმდეგებას ბოლო მოუღო და სრულ ძალაუფლებას დაეპატრონა. ამ დროიდან მოყოლებული, საერთაშორისო საზოგადოებას ბელარუსის არჩევნები არასოდეს უცნია ლეგიტიმურად.

ამდენად, არჩევნების პროცესში ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ხოლო, როცა საქმე ქუჩის საპროტესტო აქციებამდე მივა, ოპოზიციის რამდენიმე კანდიდატს მოედანზე ერთად გამოსასვლელად ხელს არაფერი შეუშლის. იქ კი უთუოდ გამოჩნდება ისეთი, ვინც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს.

რუსეთი ერთადერთი იყო, ვინც ბელარუსის არჩევნების ლეგიტიმურობას აღიარებდა. ამჯერად ალექსანდრე ლუკაშენკოს მოსკოვის მხარდაჭერის იმედი აღარ აქვს.


ასე რომ – შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, არჩევნების კანონიერების აღიარება მხოლოდ ლუკაშენკოს ახალ მეგობარს – მიხეილ სააკაშვილს თუ შეუძლებს, რომელიც ბელარუსს და რუსეთს შორის ჩამოვარდნილი გაზის, ნავთობის და საინფორმაციო ომის შემდეგ უმაღლეს ლუკაშენკოს მოკავშირე გახდა.

ფაქტი ერთია, ცვლილებების ასეთი დიდი მოლოდინი და რწმენა ბელარუსში არასოდეს ყოფილა. ამასწინათ, ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარესაც კი წამოსცდა, რომ ბელორუს ხალხს „მხიარულ და უჩვეულო არჩევნებს“ პირიბედა. ■

აზიური მონიხის ნახვანახვა

იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რაში დაიხარჯა ამერიკული დახმარება, შეუძლებელი გამოდგა. მთავრობამ მონიტორებს სათანადო მონაცემები არ მიაწოდა.

მოლი კორსო



რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკის კონგრესს მილიარდი დოლარი სთხოვა საქართველოს დასახმარებლად. სამი კვირის შემდეგ კონგრესმა გაიღო ეს თანხა.

მილიარდი დოლარი – თანხამ, რომელიც ნებისმიერი გაგებით, დიდია

და განსაკუთრებით გრანდიოზულია კარსმომდგარი ეკონომიკური კრიზისის ფონზე – საყოველთაო გაოცება გამოიწვია 2008 წლის სექტემბერში. ვაშინგტონის ხელგაშლილობის კვალდაკვალ, საქართველოს სხვა მოკავშირეებსაც მოუწიათ ფსონების გაზრდა. პატარა და დიდმა ქვეყნებმა საქართველოს 3,5 მილიარდი დოლარი

■ **პატარა და დიდმა ქვეყნებმა საქართველოს 3,5 მილიარდი დოლარი მოუგროვეს ომისშემდგომი რეაბილიტაციისთვის.**

მოუგროვეს ომისშემდგომი რეაბილიტაციისთვის.

თანხა ბოლო ცენტამდე ჯერ არ დახარჯულა. თუმცა, ამერიკული დახმარების განაწილება ქართულ პროექტებსა და პროგრამებზე დასრულებულია. შედეგის შეფასება კი საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა.

ერიკ ბარეტი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობის პროექტის“ ფარგლებში დახმარების სრული ოდენობის (4.5 მილიარდი) მონიტორინგს ახორციელებდა, ამბობს: „მართალია, საქართველოს მთავრობამ და საერთაშორისო დონორებმა გარკვეული ინფორმაცია გაუზიარეს „საერთაშორისო გამჭვირვალობას“, მაგრამ როდესაც ხარჯვის კონკრეტულ დეტალებზე მივსვამთ საქმე, მათ ინფორმაცია დაბლოკეს.“

დიდი ნაწილი მიეზღო კონკრეტულ მიზნებსა და პროექტებს, ამერიკული მილიარდი ჯერ სრულად არ ათვისებულია. რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი კი ჯერაც „დაბინავების“ მოლოდინშია.

თანხების ათვისება ეტაპობრივად ხდება, – განმარტავს ჯონ ბასი, – ეს მოიცავს ყველა ტიპის დახმარებას, კრიზისის შემსუბუქებიდან დაწყებული – გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროექტებით დამთავრებული.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი ვებ-გვერდი იძლევა ზოგად განმარტებებს იმის თაობაზე, თუ როგორ განაწილდა დახმარება პრიორიტეტების მიხედვით. საწყის ეტაპზე თანხის ნაწილი, კერძოდ კი 61.7 მილიონი

ამერიკული დახმარების მეოთხედი (250 მილიონი) საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის მხარდასაჭერად გადაეცა. თანხები პირდაპირ ბიუჯეტში შევიდა, თუმცა გარკვეული შეზღუდვებიც მოჰყვა. მაგალითად, იკრძალება ამ თანხების სამხედრო ხარჯებზე მიმართვა.

საქართველოს მთავრობას არ აქვს უკმაყოფილების საბაზი. მილიარდიანი დახმარების საშუალებით ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც საფუძველს უყრის ეკონომიკურ კეთილდღეობას მომავალში, – ამბობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია. „როდესაც ჩვენ მდგრადი განვითარების პროექტებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, რომ ფული დაიხარჯოს არა ნებისმიერი სახის პროექტზე,

■ საწყის ეტაპზე თანხის ნაწილი, კერძოდ კი 61.7 მილიონი აშშ დოლარი, ჰუმანიტარულ დახმარებას მოხმარდა. ამას დაემატა 276 მილიონი, რომელიც მიმდინარე დახმარების პროგრამების ფარგლებში დაიხარჯა.

მისი თქმით, უმეტეს შემთხვევაში, იმის გარკვევა, თუ რა ბედი ენია ამ თანხებს გაცემიდან დახარჯვამდე, შეუძლებელი გამოდგა, ვინაიდან სათანადო მონაცემები ხელმისაწვდომი არაა.

2008 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ საქართველოს მასშტაბით 2000-მდე რესპონდენტი გამოჰკითხა დონორების დახმარებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოლოდინის დასადგენად. რესპონდენტებს სრულიად განსხვავებული საკითხებისთვის ემეტებოდათ ეს თანხები. თუმცა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი შიშობდა, რომ თანხები არამიზნობრივად დაიხარჯებოდა.

საქართველოში ამერიკის ელჩის, ჯონ ბასის თქმით, მილიარდ დოლარიანი დახმარების შედეგიანობის სრულად შეფასებას კიდევ 6 წელი მაინც დასჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ თანხების

აშშ დოლარი, ჰუმანიტარულ დახმარებას მოხმარდა. ამას დაემატა 276 მილიონი, რომელიც მიმდინარე დახმარების პროგრამების („მილენიუმის“ პროექტი და აშშ-ს საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია) ფარგლებში დაიხარჯა.

დამატებითი 46 მილიონი 2008 წლის ომისა და წინა კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და სხვა სახის დახმარებას მოხმარდა. 25 მილიონი – დემოკრატიის განვითარებას.

შორს გამიზნულ პროექტებს შორის აღსანიშნავია 132-მილიონიანი ეკონომიკური ზრდის პროგრამა, რომელიც ინფრასტრუქტურის განვითარებას ისახავს მიზნად. მაგალითისთვის, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამხრეთ-დასავლეთ გაზსადენის გაგრძელება და ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია.

არამედ – გზების, წყალმომარაგების პროექტებზე და ა.შ., – განაცხადა მინისტრმა. „ეს ჩვენ სერიოზულად დაგვეხმარა და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენმა ეკონომიკურმა ზრდამ მდგრადი ხასიათი შეინარჩუნა ბოლო ორი წლის მანძილზე.“

ამერიკის ელჩი აცხადებს, რომ შედეგი, გარკვეულწილად, უკვე ჩანს. „მიმართა, რომ ჩვენ, ამ ეტაპზე, უკვე ვიხილეთ ჩვენი შრომის საკმაოდ კარგი რეზულტატი“, – ამბობს ბასი.

2009 წელს ჩატარებული აუდიტის შედეგად არანაირი დარღვევა არ გამოვლენილა და, ბასის თქმით, ამერიკის მთავრობა კმაყოფილია დახმარების ათვისების პროცესით.


თუმცა, ბარეტის აზრით, აუდიტის საშუალებით შეიძლება დადგინდეს, მიაღწია თუ არა თანხამ ადრესატ ორგანიზაციამდე, მაგრამ ვერ მოხდება თანხის ათვისების პროცესის ხარისხისა და შედეგის შეფასება. ■

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ

უბუნავს ჩხიდიკვამ

სად არიან მერობის ყოფილი კანდიდატები?

მაია ნიკლაური



ილუსტრაცია რუსლან ბირონიძე

„ეს არჩევნები ჩემთვის და ჩემი პარტიისთვის ტრამპლინია. გვინდა, შევცვალოთ ხელისუფლება და არსებული სიტუაცია ქვეყანაში“ – ასეთი გეგმა ჰქონდა მერობის კანდიდატს ნიკა ივანიშვილს თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე.

ივანიშვილმა, რომელიც შს სამინისტროს ყოფილი მალაჩინოსანი და სპორტკომპლექს „დინამოს“ ხელმძღვანელია, საარჩევნო კამპანიაში

400 000-მდე ლარი დახარჯა და 30 მაისის არჩევნებში 0,51 პროცენტი, ანუ 2313 ამომრჩევლის ხმა მიიღო.

არჩევნების შემდეგ მისი პარტია „სახალხო დემოკრატები“ არსებობას მხოლოდ საჯარო რეესტრის დოკუმენტებში განაგრძობს. პარტიის პრესმდივანი, რომელიც „ლიბერალის“ ზარით ცოტა გაკვირვებულია, ამბობს, რომ უკვე რამდენიმე თვეა, პარტიული საქმიანობა დასრულებულია. ამიტომ, პარტიას

ალარც პრესმდივანი ჰყავს. ის ნიკა ივანიშვილთან პირადად, მობილური ტელეფონის საშუალებით დაკავშირებას გვთავაზობს.

„ლიბერალთან“ საუბრისას „სახალხო დემოკრატების“ ლიდერი ამბობს, რომ მის პარტიას სამომავლო გეგმები ახლაც აქვს, უბრალოდ ზუსტად არ იცის როდის, ვისთან ერთად და რა საკითხებზე გააგრძელებს მუშაობას.

„არ ვიცი, რას აპირებენ ჩემი პარტი-

ნიორები. ახლა ისინი ისვენებენ და რომ ჩამოვლენ, დავილაპარაკებთ. ვერ დავასახელებ მათ ვინაობას, ვინც ჩემთან ერთად იქნება. ზოგიერთს შეიძლება, არ მოუხდეს პარტიული საქმიანობის გაგრძელება“, – გვითხრა ივანიშვილმა.

„სახალხო დემოკრატიების“ პრეზენტაციაზე, რომელიც 2010 წლის მარტში ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში გაიმართა, ივანიშვილის მხარდამჭერებს შორის იყვნენ – ბიზნესმენთა ფედერაციის ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე, ფეხბურთელები – რეზი და არჩილ არველაძეები, „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი ნიკა ტაბატაძე, პირველი არხის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან ყუბანიშვილი.

„ამ ადამიანებს დღესაც კარგი ურთიერთობა აქვთ ხელისუფლებასთან. როგორ აღმოჩნდნენ უცებ ოპოზიცია-

ცილების დასაგროვებლად“, თანაც, „პარტიამ ასე გადაწყვიტა“.

უგულავას მიმართ ახლაც თბილი დამოკიდებულება აქვს: „ხალხი არ ცდება! ქალაქს ეგ უნდა და ეგ აირჩია მერად. გიგი თბილისელების მერია. გამარჯვებული კაცია და იყოს გამარჯვებული!“ – ამბობს იაკობიძე.

გიგი უგულავას მიმართ სიმპათიებს არ მალავდა არც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მერობის კანდიდატი, შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი, გია ჭანტურია.

„მგონი, რაც კეთდება ქალაქში, არც ისე ცუდია ... თუ ვხედავთ, რომ კონკურენტი, ასე ვთქვათ, უკეთესად ხედავს პერსპექტივებს, მეტის გაკეთება შეუძლია, უნდა დავაფასოთ“, – ამბობდა არჩევნების წინ ჭანტურია „ლიბერალთან“ ინტერვიუში. ის მზად

ქრია, რომ მოვიგებდით, სამაგიეროდ, დაფიქსირდით, როგორც კვალიფიციური სუბიექტი და შევინარჩუნეთ პარტიული დაფინანსება“, – განაცხადა „მრენველების“ გენერალურმა მდივანმა ზურაბ ტყემალაძემ „ლიბერალთან“ საუბრისას.

თუმცა, როგორც ჩანს, პარტიული დაფინანსების გარდა, „მრენველებმა“ არჩევნებში მონაწილეობით სხვა სარგებელიც ნახეს.

ჯერ კიდევ მარტში პარტიის ლიდერი და კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელი ფინანსური პრობლემების გამო არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას ვერ იღებდა.

„ვნახოთ, როგორ მოგვარდება ფინანსური პრობლემები და ამის მიხედვით გადავწყვეტ, მივიღო თუ არა არჩევნებში მონაწილეობა“, – განუცხადა გოგი

■ არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, 7 სექტემბერს კომპანია „ყაზბეგს“, რომელიც „მრენველთა“

პარტიის საარჩევნო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი იყო, ფინანსთა სამინისტრომ ვალი გაუნახევრა.

ში, გაუგებარია. სამწუხაროდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და შეეცდება, ალასანიას ასეულობით ხმა წაართვას“, – ამბობდა მაშინ ივანიშვილის მეგობარი და ყოფილი პოლიტიკური პარტნიორი, „მემარჯვენე“ დავით საგანელიძე.

ივანიშვილის განმარტებით, მართალია, წინასაარჩევნო კამპანია ძვირი დაუჯდა, დამარცხების მიუხედავად, მერის არჩევნებში მონაწილეობას არ ნანობს.

არჩევნებში მონაწილეობას არ ნანობს არც დავით იაკობიძე. ყოფილი ფინანსთა მინისტრი და გია თორთლაძის პარტიის წევრი, ერთ-ერთი მერობის პრეტენდენტებს შორის, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდშიც კი მოქმედი მერის, ანუ მისი მთავარი კონკურენტის ქებით გამოირჩეოდა.

როგორც იაკობიძე ამბობს, არჩევნებში მონაწილეობდა არა გამარჯვებისთვის, არამედ „უბრალოდ, გამო-

იყო, არჩევნების შემდეგ გიგი უგულავას გვერდით დადგომოდა.

შედეგად, ჭანტურიას პარტიის 3 წევრი თბილისის საკრებულოში მოხვდა. თავისი წარმომადგენელი ქრისტიან-დემოკრატებს თითქმის ყველა რეგიონის საკრებულოში ჰყავთ. გია ჭანტურია არჩევნებში 10% პროცენტი მიიღო და პოლიტიკური სცენიდან გაუჩინარდა.

„გია საერთაშორისო პროექტებშია ჩართული. ის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ წევრი არაა, შესაბამისად, მისი დასწრება გადაწყვეტილებების მიღებისას არ არის აუცილებელი“, – ამბობს საკრებულოს წევრი ქედ-დან ინგა გრიგოლია.

თვითმმართველობის არჩევნებში საკუთარი პარტიის მონაწილეობით კმაყოფილია კიდევ ერთი დამარცხებული პარტია – „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“.

„პარტიულ და მერის არჩევნებშიც ჩვენი გეგმა შევასრულეთ. არ გვიფი-

თოფაქემ „ლიბერალს“. მაშინ კომპანია „ყაზბეგს“ სახელმწიფოს წინაშე 7 მილიონი ლარის დავალიანება ჰქონდა.

თოფაქემ საკუთარი კანდიდატურა ბოლოს მაინც წამოაყენა და წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში („მრენველთა“ კამპანიის ფარგლებში) („მრენველთა“) ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა არასოდეს გამოუთქვამს. მეტიც, „ლიბერალთან“ ინტერვიუში გოგი თოფაქემ კონკურენტი უგულავა „საქმიან“ და „მეურნე“ პოლიტიკოსად მოიხსენია.

„მრენველთა“ პარტიის 42 წარმომადგენელი სხვადასხვა რეგიონის საკრებულოებში მოხვდა, მათ შორის ერთი – გიორგი ტყემალაძე – თბილისის საკრებულოში.

თოფაქემ 5% მიიღო. არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, 7 სექტემბერს კომპანია „ყაზბეგს“, რომელიც „მრენველთა“ პარტიის საარჩევნო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი იყო, ფინანსთა სამინისტრომ ვალი გაუნახევრა. □

დაბა ხარაგაულის მუნიციპალური პრობლემახი წყალში ბაქტერიები ფუნი

ხარაგაულის წყალსადენის რეაბილიტაციის დასრულებისთანავე მოსახლეობისთვის ცხადი გახდა, რომ დაპირებულ 24-საათიან წყალმომარაგებას ვერ მიიღებდნენ. წყლის ახალი სისტემა ძველზე უფარგის აღმოჩნდა – დაბაში ისევ მღვრიე წყალი მოდის, კვლავ გრაფიკით და ძველი წყალსადენის გავლით.

მადლენა მაჭარაშვილი



2009 წლის 23 მარტს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, დაბა ხარაგაულში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. ტენდერის პირობებით მილიონ ექვსას ოცდაათხუთმეტიათას ლარიანი პროექტი 6 თვეში უნდა შესრულებულიყო. კონკურსში მონაწილეობა ხუთმა კომპანიამ მიიღო და მათ შორის გამარჯვებულად შპს „ელ-რიო“ დასახელდა, რომელმაც რეაბილიტაციის სამუშაოებში სულ 803468 ლარი მოითხოვა.

„სატენდერო კომისიამ უპირატესობა უდაბლესი ფასის მქონე კომპანია-შპს „ელ-რიო“-ს მიანიჭა. მისი ფასი საპროექტო ღირებულების ნახევარიც არ იყო.“ – განგვიმარტეს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

803 ათას ლარიანი წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „ელ-რიო“-მ 2009 წლის 15 აპრილს დაიწყო. მოგვიანებით, პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საკონტრაქტო ფასი დაახლოებით 158 ათასი ლარით შემცირდა. წყალსადენის პროექტის რეაბილიტაცია „ელ-რიო“-ს, ჯამში, 645 ათასი ლარი დაუფჯდა. კომპანიამ კუთვნილი თანხა მიიღო, ხარაგაულელებს კი წყლის მიწოდება არ გამოჰკეთებიათ – უხარისხოდ გაკეთებული ქსელიდან

წყალი მიწის ქვეშ იღვრება და ონკანებამდე ვერ აღწევს.

„წყალგაყვანილობა არასწორად არის მიერთებული და ამის გამო მიწებიდან ასხამს. რეაბილიტაციის პროექტი საკანალიზაციო ჭების მოწყობასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ისეთი ჭები გააკეთეს, სარემონტო სამუშაოებისთვის იქ კაცი ვერ ჩავა. წყლის მიწების მოწყობამდე წყლის სათავე ნაგებობის გამწმენდი სამუშაოები მიმდინარეობდა. გვიან გამოტყდნენ, რომ მუშებმა აქ შეცდომები დაუშვეს. ხელმეორედ გააკეთეს და ისევ ზერეულედ. ყოველ განვიმებაზე მღვრიე წყალი მოდის,“ – აცხადებს ნინა მოწვევის საკრებულოს წევრი, ხარაგაულის მკვიდრი იური ლურსმანაშვილი.

შპს „ელ-რიო“ იმავე პერიოდში ხარაგაულში ტროტუარების რეაბილიტაციის პროექტზეც მუშაობდა, რისთვისაც კომპანიას რეგიონული განვითარების ფონდმა 230 ათასი ლარი გამოუყო. დაბაში ბორდიურების პროექტიც სანახევროდ გაკეთდა.

ხარაგაულის წყალსადენისა და ბორდიურების პროექტებს, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლანდელი თავმჯდომარის, კაკო მაჭავარიანის სიძე ალექო ჭუმბურიძე ხელმძღვანელობდა. ჭუმბურიძე დღეს ხარაგაულის

მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის სამსახურის უფროსია.

„ელ-რიოსთან“ გაფორმებული კონტრაქტის ასლი ჩვენ ოფიციალური სტრუქტურებიდან გამოვითხოვეთ. იმერეთის გუბერნატორის აპარატიდან საერთოდ უპასუხოდ დაგვტოვეს. რეგიონული განვითარების ფონდიდან კი გვიპასუხეს: „ეს ქვეპროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა, მასთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, [თქვენ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი] არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, რის გამოც ვერ განვით დოკუმენტაციის ასლებს“.

ამ არგუმენტს იურისტები „აბსურდულად“ მიიჩნევენ. „საია“-ს იურისტის, ბექა დოჭვირის თქმით, „იმის მტკიცება, რომ მგფ-სა და კონკრეტულ კომპანიას შორის გაფორმებული კონტრაქტი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, უბრალოდ, სასაცილოა. მით უმეტეს, რომ პროექტისთვის საჭირო თანხის ნაწილი მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო, საბიუჯეტო თანხების ხარჯვა კი გამჭვირვალე უნდა იყოს.“

მგფ-სა და „ელ-რიო“-ს შორის გაფორმებული კონტრაქტის პირობებს ჩვენ, არაოფიციალურად, სანდო წყაროს მეშვეობით გავაცანით. კონტრაქტის თანახმად, პროექტის დეფექტებზე პასუხისმგებლო-

ბისთვის ერთწლიანი ვადა გათვალისწინებული, პასუხისმგებლობა საბანკო გარანტიით არის გამყარებული. პროექტის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში, რამე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, უფასოდ გამოასწოროს დეფექტი. ეს ვადა მიმდინარე წლის ნოემბერში იწურება.

„ელ-რიო“ – კომპანია, რომელმაც ხარაგაულის წლის სისტემის რეაბილიტაციის უფლება მოიპოვა, ტენდერის მოგების მომენტში პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის სიმამრს ეკუთვნოდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებიდან ორ კვირაში, „ელ-რიოს“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრება შედგა. შეხვედრას სამივე პარტნიორი – ლერი მეტრეველი (50%-ის წილის მფლობელი), რამაზ შალამბერიძე (45%) და დავით ჯაფარიძე (5%) – დაესწრო. კრების ოქმის თანახმად, პარტნიორებმა სამ ძირითად საკითხზე იმსჯელეს: ლერი მეტრეველს საკუთარი განცხადების საფუძველზე

თორნიკე ავალიშვილი, რომელიც წყლის შეფერვებულ მინოდებას არა ცუდად ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებით, არამედ მრიცხველების არარსებობით ხსნის.

წყლის მრიცხველების ჩვენების მიხედვით დღეს საქართველოში წყლის გადასახადს არც ერთი ფიზიკური პირი არ იხდის. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პრესსამსახურის წარმომადგენელმა, ნანა ვასაძემ, გვითხრა, რომ წყლის მრიცხველები ამ დროისთვის საქართველოში მხოლოდ 7 ქალაქში აქვთ, თუმცა ამ მრიცხველებს არავინ ამოწმებს, რადგან ფიზიკური პირებისთვის წყლის ტარიფი ჯერ სემეკ-ს არ დაუდგენია და ეს არც ახლო მომავალში იგეგმება.

ამ ფონზე კიდევ უფრო გაუგებარია „ელ-რიოს“ ყოფილი დირექტორისა და ხარაგაულის გამგებლის პასუხები, რომ წყალმომარაგების საკითხი ხარაგაულში წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთანავე გადაწყდება.

■ წყალსადენის პროექტის რეაბილიტაცია „ელ-რიოს“, ჯამში, 645 ათასი ლარი დაუჯდა. კომპანიამ კუთვნილი თანხა მიიღო, ხარაგაულელებს კი წყლის მიწოდება არ გამოჰკეთებიათ.

თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუწყვიტეს, შპს-ს დირექტორად ბექა დევდარიანი დანიშნეს და შპს „ელ-რიოს“ სახელწოდება შპს „ბელდ ინვესტი“ შეცვალეს.

მიუხედავად ამისა, „ელ-რიოს“ უკვე ყოფილი დირექტორი ლერი მეტრეველი ხარაგაულის წყალსადენის საკითხზე სასაუბროდ მარტივად დაგვთანხმდა.

„უბარისხოდ არაფერი გაკეთებულა. 24-საათიან წყალმომარაგებას ხელს მრიცხველების საკითხი უშლის. პაპანაქება სიცხეები რომ იყო, მოსახლეობა წყალს უკონტროლოდ მოიხმარდა. თუ ხალხს მრიცხველის მიერ დაწერილი თანხის გადახდა არ დაავალდებულეს, წყლის პრობლემა ყოველთვის იქნება.“ – გვითხრა მან.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი

როგორ უნდა გადაჭრას წყლის მიწოდების პრობლემა მრიცხველმა, როცა ახალი წყალსადენის მილებიდან იმაზე მეტი წყალი იღვრება, რამდენიც ძველი სისტემიდან იღვრებოდა, ან რა აზრი აქვს ხარაგაულში მრიცხველების ფორმალურად დადგმას, როცა ქვეყანაში წყლის ტარიფი ჯერ არავის დაუდგენია?

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, სინამდვილეში თორნიკე ავალიშვილმა პროექტის შესრულების დოკუმენტზე ხელი ისე მოაწერა, რომ იცოდა მისი ხარვეზები. 2009 წლის 30 ნოემბერს უკვე ცნობილი იყო, რომ თვითმმართველობის არჩევნები გაზაფხულზე გაიმართებოდა. ბაქრაძის სიმამრის კომპანიას რომ პრობლემები შექმნოდა, მას მეორედ გამგებლობა აღარ მოუწევდა. თანაც, ამ დროს უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

დავით ბაქრაძის ნათესავი, კაკო მჭავარიანი უნდა გამხდარიყო, რომლის სიძე, ალექო ჭუმბურიძე, უშუალოდ კურირებდა წყალსადენის პროექტის სამუშაოებს.

„პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები თავად მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეამონმა და მე, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, ჩვეულებრივად, მოვანერე ხელი.“ – გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა თორნიკე ავალიშვილმა.

„თუ განვიმდა, ონკანებში ტალახიანი წყალი მოდის. ბავშვებისთვის სასმელი წყალი სოფელ ისლარიდან ჩამოგვაქვს. სახლში, ონკანზე „ბინტი“ ავაკარით, ტალახი და ქვიშა ცოტათი მინც რომ გაიფილტროს“, – შემოგვიჩვენეს ხარაგაულელებმა.

“წყალი დიდი წვიმების დროს იმღვრება, ისე – არა. უფრო სწორად, კი არ იმღვრება, შეფერილი წყალი მოდის. გამოსაყენებლად ვარგისია. ყოველი კვირის ბოლოს ლაბორატორიულად მონმდება. ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის. ჩვენთან, საერთოდ, კასტრული წყლებია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ხარაგაულის ხელმძღვანელი ნოდარ ებანიძე იყო, ტყის მასობრივი ჭრა დაიწყო, „ურალი“ „ურალზე“ გამოდიოდა, ხე-ტყე გამოჰქონდათ, ამან გამოიწვია ეს შედეგი“, – პასუხობს ხარაგაულელების ჩვილს გამგებელი.

ხარაგაულის გამგებელი „ჩვეულებრივი“ პასუხებით საკუთარ პასუხისმგებლობას გაურბის. მის მიერ „წყლის ამღვრევაში“ დადანაშაულებული ნოდარ ებანიძე „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია, ამიტომაც წყლის პრობლემის მასზე გადაბრალება იოლიცაა და „მიზანშეწონილიც“. გაცილებით „რთულია“ იმის ახსნა, რატომ აქვთ ხარაგაულელებს წყალი გრაფიკით 2010 წლის სექტემბრის ბოლოს, როცა ცხელი ზაფხულიც გასულია და ბოსტნებსა და ნათესებსაც აღარავინ რწყავს. ■

პროექტს ახორციელებს „სტუდია მონიტორი“ ევროკავშირის წარმომადგენლობის, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ და „ლია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით



ფოტო თემო ბაჩიაშვილი

სიხვედრი ტახვიძის ბაიუმი

პალიატიური მზრუნველობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უამრავ მომაკვდავ ადამიანს ფიზიკურ და სულიერ ტკივილს უმსუბუქებს, საქართველოში ათასობით მძიმე პაციენტისთვის კი მშვიდად სიკვდილი ჯერ კიდევ ფუფუნებად რჩება.

ეკა ჭითანავა

„შვილიშვილები, ბაღში ფუსფუსი, მზის ამოსვლით ტკბობა და შოკოლადი – ადამიანი ამისთვის ცხოვრობს. მაგრამ ჩაატანდი შოკოლადს გემოს, თუ გეცოდინებოდა, რომ ეს ბოლოჯერ ხდება?“ – სვამს კითხვას ამერიკელი ექიმი.

მიმართულებას მედიცინაში, რომელიც მომაკვდავ პაციენტებს ასწავლის, როგორ მიიღონ სიამოვნება „უკანასკნელი შოკოლადის ფილით“, პალიატიური მზრუნველობა ჰქვია. ეს მკურნალობის

სპეციფიკური ფორმაა, რომლითაც პაციენტებს სიკვდილისწინა შიშის, ტკივილისა და დეპრესიისგან იცავენ.

ლონდონთან ახლოს, ორსართულიან სახლში ადამიანები ქოთნებს ყვითელ, წითელ და ნარინჯისფერ ფერებში ღებავენ, ზოგს მალე მუსიკის გაკვეთილი დაენწყება, ზოგს – აკუპუნქტურა, ნაწილს კი, ფოტოგრაფიისა და კინორეჟისურის კურსი. ეს ინგლისის სან-კრისტოფერის ჰოსპისია – დაწესებულება, სადაც მომაკვდავ პაციენტებს ფიზიკურ და სუ-

ლიერ ტკივილთან გამკლავებაში ეხმარებიან.

სან-კრისტოფერი მსოფლიოში პირველი თანამედროვე ტიპის ჰოსპისია, სადაც პალიატიური მზრუნველობის მეთოდები დაინერგა. ის 1967 წელს გაიხსნა და ყოველწლიურად ათასობით პაციენტს იღებს.

საქართველოში პირველი ჰოსპისი ონკოპრევენციის ცენტრის ბაზაზე, ჯერ კიდევ 6 წლის წინ გაიხსნა. ჰოსპისის სამსართულიან შენობაში 22 სანოლია.

ჰოლში თეთრხალათიანი ექიმები დადიან. პირველ სართულზე საექლესიო კუთხეა მოწყობილი. ფსიქოლოგი და სასულიერო პირი პაციენტებს დეპრესიის დაძლევაში ეხმარებიან. გაუსაძლის ტკივილს კი მათ ნარკოტიკული საშუალებებით უწყურებენ. „ჩვენი მიზანია, პაციენტს არ ეტკინოს“, – ამბობს ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის კლინიკის ხელმძღვანელი, იოსებ აბესაძე.

„პალიატიური მზრუნველობა უფრო მოვლის ფილოსოფიაა, ვიდრე მედიცინის დარგი“, – დასძენს ის, – „როცა სან დიეგოს ჰოსპისში ვიყავი, ერთ პაციენტს ძალიან უნდოდა სიკვდილის წინ შვილიშვილი სათევზაოდ წაეყვანა, მაგრამ სანოლიდან ვერ დგებოდა. ექიმებმა ჰიპნო-თერაპია ჩაუტარეს და როცა გაიღვიძა, ზუსტად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ითევზავა. ის წუთები მისთვის, ალბათ, ყველაზე ბედნიერი იყო.“

■ **„შვილიშვილები, ბაღში ფუსფუსი, მზის ამოსვლით ტკბობა და შოკოლადი – ადამიანი ამისთვის ცხოვრობს. მაგრამ ჩაატანდი შოკოლადს გემოს, თუ გეცოდინებოდა, რომ ეს ბოლოჯერ ხდება?“**



ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის კლინიკა, ოქტომბერი 2010

ასეთი ტიპის თერაპია ქართულ ჰოსპისებში ჯერ კიდევ ფუფუნებად რჩება.

ყოველ წელს საქართველოში დაახლოებით 42 000 ადამიანი კვდება. აქედან დაახლოებით 60 პროცენტს, ანუ 25 000 ადამიანს ტკივილის შემსუბუქება და პალიატიური მზრუნველობა სჭირდება.

25 წლის წინ ოდიშარიას ბებია თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში 3 წლის წინ გარდაიცვალა. სანამ საავადმყოფოში მიიყვანდნენ, იმეიური ინსულტის შემდეგ, თითქმის ერთი თვე იტანჯებოდა.

„ბოლოს, წამლების მიცემას უკვე აზრი აღარც ჰქონდა, მაგრამ მკურნალობის კურსს მაინც ვაგრძელებდით. თვითონ სულ გვეუბნებოდა, რატომ მანვალებთო, ვუყურებდით, როგორ კვდებოდა და ვერაფერს ვაკეთებდით“, – იხსენებს წინო.

წინომ და მისმა ოჯახმა მაშინ პალიატიური მზრუნველობის შესახებ არაფერი იცოდნენ, თუმცა ჰოსპისში მოხვედრა ნებისმიერ შემთხვევაში გაუჭირდებოდათ. თბილისის ორივე მთავარი ჰოსპისი ონკოცენტრის ტერიტორიაზე გახსნილი და ძირითადად, ონკოპაციენტებსა და რამდენიმე შიდსით დაავადებულს ემსახურება. ტუბერკულოზის, ინსულტის, ცერებრალური დამბლის ან სხვა ნევროლოგიური დაავადებების მქონე ბავშვები და ხანდაზმულები კი ხშირად ამ მზრუნველობის მიღმა რჩებიან.

დღეს საქართველოს ჰოსპისებს სტაციონარებში მხოლოდ 49 ავადმყოფის მოვლის საშუალება აქვთ. ძირითადი პრობლემა დაფინანსების სიმწირეა. თუკი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პალიატიური მზრუნველობა ყველასთვის უფასოა, ჩვენთან ჰოსპისის ხარჯებს სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს. პაციენტებს კი ჰოსპისის სტაციონარში მოსახვედრად ყოველდღიურად 22 ლარის გადახდა უნევთ. სადაზღვევო კომპანიები ხარჯებს რამდენიმე დღის განმავლობაში ანაზღაურებენ, კიბოს დიაგნოზის მქონე ადამიანებს კი ჰოსპისის სტაციონარში დასარჩენად საშუალოდ ორი კვირა მაინც სჭირდებათ.

გამონაკლისი თბილისის ფერიცვალების მონასტრის სასწრაფო სახლია, სადაც კიბოს დიაგნოზის მქონე 6 პაციენტი უფასოდ ცხოვრობს. მონასტრის გვერდით, წითელი აგურის სახლია აშენებული, ყველა პაციენტს თავისი ოთახი აქვს. თუმცა, იმის გამო, რომ აქ დედათა მონასტერია, ჰოსპისში მხოლოდ ქალებს იღებენ.

ონკოლოგიური საავადმყოფოს პალიატიური მზრუნველობის განყოფილებაში, თეთრ დაფაზე ლურჯი ფლომასტერით პაციენტების გვარებია ჩამოწერილი.

ბერძენიშვილი – „გაფუშვით და მოვა“, თაბაგარი – „გლუკოზა“, „მამულაშვილი – „გაკეთდა სისხლის ანალიზი“. სამივე გვარის გვერდით ყვითელი პლასტმასის „სმაილიკი“ – ღიმილის ნიშანია მიკრული.

„ეს ნიშნავს რომ კარგად არიან?“ – ვეკითხები ექიმ თოდაძეს, – „არა, ეს

ნიშნავს, რომ მათი დღეები დათვლილია, უბრალოდ, ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა. ეს იმიტომ ხდება, რომ პაციენტების უმრავლესობამ არ იცის, რა სჭირს“.

„ისიულებეა ეგ, აბა, ონკოლოგიურში რატომ წევს? კოლომ უკბინა? ამით ხომ თავს იტყუებ და ეს იგივეა, სიბნელეში ხელების ცეცებით რომ იარო. იცით, რას მადლევს დიაგნოზის ცოდნა? – სინათლეში დავდივარ“, – ამბობს 70 წლის გურამ სხირტლაძე, რომელსაც ექიმებმა 10 წლის წინ უთხრეს, რომ პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. როცა ტკივილები იმდენად გამწვავდა, რომ ვეღარ ინძრეოდა, ჰოსპისში გადაიყვანეს.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი ექიმს პაციენტისათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებს. გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა ექიმმა ამით პაციენტს შეიძლება ზიანი მიაყენოს, ან თვითმკვლელობისკენ უბიძგოს.

მიუხედავად ამისა, ქართველი ექიმები პაციენტებს დიაგნოზს ნათესავეების კატეგორიული მოთხოვნის გამო ვერ უმხელენ.

2008 წელს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, ბოლო სტადიის სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს, სიმართლის გაგების შემდეგ დეპრესია ნაკლებად ემართებათ და ხშირად იმაზე მეტხანსაც ცოცხლობენ, ვიდრე სიცოცხლის ბოლო წუთამდე ინტენსიური თერაპიის ოთახში საწოლს მიჯაჭვული ადამიანები.

ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში პალიატიური მზრუნველობის განყოფილების ექიმი ეკა თოდაძე ამბობს, რომ თუ პაციენტი მოითხოვს, მას დიაგნოზის დამალვის მორალური უფლება არ აქვს. „ერთხელ გვყავდა პაციენტი, რომელსაც ნათესავეები საკუთარ დიაგნოზს უმაღლედნენ, ის კი სულ ჩემგან ცდილობდა, გაეგო, რა სჭირდა. ბოლოს კედელთან მიმიმწყვდია და მითხრა, მამაჩემს კუჭის კიბო ჰქონდა და ვიცი, მეც იგივე მაქვს, ზუსტად ასე კვდებოდაო, ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ თავი დავექნიე. ამის შემდეგ, უფრო მობილიზებული გახდა, ნაკლებად აგრესიული, იქით ეფერებო-

და თავის ახლობლებს“, – იხსენებს თოდაძე.

თუმცა ფსიქოლოგები ამბობენ, რომ თითოეულ პაციენტს ინდივიდუალურად უნდა მიუდგე. „ზოგი ხვდება, რომ მძიმე ავადმყოფია, მაგრამ არ უნდა სიკვდილზე ფიქრი. ასეთ პაციენტს არ უნდა დავაძალოთ იმაზე მეტის გაგება, რაც თვითონ უნდა“, – ამბობს ჰოსპისის ფსიქოლოგი ნატა გელაშვილი.

თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტერში თავისი დიაგნოზი ყველამ იცის. დედა ანასტასია, უკვე შვიდი წელია, მონასტრის სასწეულო სახლში ცხოვრობს. სანამ აქ მოიყვანდნენ, ექიმებმა უთხრეს, რომ ძუძუს კიბო ჰქონდა, ბოლო სტადია.

„იმდენად სუსტად ვიყავი, ამბობდნენ, შესამოსელი მალე შევუკეროთ, აღკვეცა მოასწროს, ისე არ გარდაიცვალოსო, იმის მერე, ამდენი დრო გავიდა და ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ“, – ამბობს დედა ანასტასია.

განათლებით ისტორიკოსი, ოთხი წელია აბიტურიენტებს ისტორიაში ამეცადინებს. „ჩემი პირველი მომზადებული უკვე უნივერსიტეტში მეოთხე კურსზეა“, – ამბობს დედა ანასტასია და ახალი მოსწავლეების მისაღებად ემზადება.

2004 წლიდან დღემდე საქართველოში პალიატიური მზრუნველობის კურსი 2000-ზე მეტმა პაციენტმა გაიარა. საქართველოში კი ყოველ წელს კიბოს 7000-8000 შემთხვევა ვლინდება.

მომავალ წელს პარლამენტი პალიატიური მზრუნველობის განვითარების ხუთწლიან გეგმას დაამტკიცებს. ამ გეგმის მიხედვით, უნდა შეიქმნას 30-მდე ჰოსპისის განყოფილება და ბინაზე მზრუნველობის 35 მობილური გუნდიც. საუბარია იმაზეც, რომ ჰოსპისები ნევროლოგიის, ტუბერკულოზის ცენტრისა და ბავშვთა პედიატრიული კლინიკებისთვისაც გაიხსნას.

თუმცა, ამ მასშტაბური გეგმის განხორციელებას მსხვილ დაფინანსებასთან ერთად კადრების მომზადებაც სჭირდება. ჯერჯერობით, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის მხოლოდ ორი საერთაშორისო ექსპერტია. □



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბავშვური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსანერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ბარევაჭრობის აკრძალვა

ქუჩის ვაჭრობის მიხროჯონოიხა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, თბილისის ქუჩები უფრო სუფთა და მიმზიდველი გაეხადა, არა მხოლოდ გარემოვაჭრების, არამედ თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა. შესაბამისად, ამ ღონისძიებას მხოლოდ ესთეტიკური მნიშვნელობა თუ ჰქონდა.

ლიზავეტა ჟაჭინინა

ქუჩიდან გამყიდველების გაყრის გადაწყვეტილება ორი მთავარი მიზეზის გამო მიიღეს; პირველი – მუნიციპალიტეტს ჯანმრთელობა და უვნებლობა, ქუჩებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში მალფუჭებადი საქონლის გაყიდვისათვის საჭირო სანიტარული ნორმების დაუცველობა აღელვებდა. მეორე – გამყიდველებით გადაჭედული ქუჩები ესთეტიკურად ნაკლებად მიმზიდველი იყო, რაც, საკრებულოს წევრის, კოკი იონათამიშვილის განცხადებით, „ღია ბაზრების სიახლოვეს მცხოვრებთ, ფეხით მოსიარულეებს, ქალაქის მცხოვრებთ და სტუმრებს უხერხულობას უქმნიდა“. ამ ღონისძიების გატარების დროს, თბილისში 4000 ქუჩის გამყიდველი იყო, რომელთა რიცხვი წინა წლებში განუხრელად იზრდებოდა.

ავისტოს დასაწყისში ქალაქის მუნიციპალიტეტმა გამყიდველები ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვის გადაწყვეტილების შესახებ გააფრთხილა. თითოეულ გამყიდველს ქალაქში მოქმედი 30 დახურული ბაზრიდან ერთ-ერთში ალტერნატიული ფართი შესთავაზეს. მსგავს ბაზრებში დაახლოებით 6000 ადგილი იყო თავისუფალი.

„ჩვენ არა მხოლოდ ცენტრალური ბაზარი შევთავაზეთ, არამედ ბაზრები თბილისის ყველა უბანში, და 2-3 ისეთ ადგილასაც კი, სადაც ბაზრები მანამდე არ არსებობდა“, – აცხადებს იონათამიშვილი. 3000-ზე მეტმა გამყიდველმა ამ დახურულ ბაზრებში კუთვნილი ადგილი უკვე დაიკავა.

ზოგადად, ამ გადაწყვეტილებას თბილისის მოსახლეობაც და გამყიდველე-

ბიც მიესალმნენ. „თვით ქუჩის გამყიდველები საკმაოდ დადებითად შეხვდნენ ამ ცვლილებებს და ჩვენ არსად არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვდებოდა“, – განუცხადა „ლიბერალს“ იონათამიშვილმა. „მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარდა.“

მომხმარებლები

ზოგადი მხარდაჭერის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილებამ როგორც ქუჩის გამყიდველების, ასევე მათი კლიენტების ჯიბეს საკმაო ზიანი მიაყენა.

„ერთი მხრივ, ვეთანხმები, რომ ქუჩები უფრო სუფთა გახდა,“ – ამბობს დილოში მცხოვრები ირინა ქემოკლიძე. „მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ფაქტმა იმ ხალხს, ვინც სახლიდან გასვლასა და იქვე, კარებთან, სურსათის 5 წუთში ყიდვას იყო მიჩვეული, გარკვეული სიძნელეები შეუქმნა“. უნინ, მეტროსადგურთან მოკლე გასეირნება საკმარისი იყო, რომ თბილისელებს პროდუქტი იაფად ეყიდათ. მაგრამ ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ, ბევრ ასეთ მყიდველს მოუწია, სულ ცოტა, რამდენიმე კვირის განმავლობაში, საქონელი სუპერმარკეტებსა და პატარა მაღაზიებში შეეძინა – იქ კი ახალი პროდუქტი უფრო მაღალ ფასად იყიდება.

„დასაწყისში, როცა ხალხმა არ იცოდა, სად წავიდნენ ქუჩის გამყიდველები, ჩვენი მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა“, – განაცხადა „პოპულის“ სუპერმარკეტების ქსელის ახალი საქონლის სექციის ხელმძღვანელმა ეკა ფილაურმა. „მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. შემდგომ ხალხ-

მა ბაზრის ადგილსამყოფელს მიაგნო და ჩვენ ისევ ჩვენი ძველი კლიენტების ამარა დავრჩით.“ ავისტოს ამ დღეების დროს „პოპულმა“ ახალი ბოსტნეულისა და ხილის შესყიდვის მოცულობა გაზარდა, რათა მზარდი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

მათ კი, ვისაც სუპერმარკეტისა და ბაზრის ფასებს შორის არსებული სხვაობის გადახდა არ სურდა, 30 დახურული ბაზრის ძებნა დაიწყო – მათი ადგილმდებარეობა კი ბევრი პოტენციური მყიდველისათვის ან ძალიან მოუხერხებელია, ან კვლავ ამოუცნობი რჩება.

„არ ვიცი, სად წავიდა ყველა ეს გამყიდველი, მაგრამ აქ არსად არ არიან. ახლა შემიძლია ეს ვთქვა, რადგან მათი მოძებნა ვცადე“, – ამბობს შელა ზოსმეიერი, ვაკის მაცხოვრებელი. „მე ტაბიძის ქუჩის მახლობლად ვცხოვრობ და 10-12 კვარტლის გაყოლებაზე აქ არცერთი ბაზარი არ არის.“

თავისი ყოველკვირეული საყიდლებისათვის ირინა ქემოკლიძეს ახლა დიღმის დატოვება უწევს – თუ მას საქონლის იაფად შეძენა სურს. „თუ მთელი კვირის მარაგს ვყიდულობ, ახლა ბაზარში უნდა წავიდე, ტრანსპორტში ისედაც დაახლოებით ერთი ლარი მეხარჯება და, თუ ბევრი რამე ვიყიდე, ტაქსს ვქირაობ და ეს დამატებით 5 ლარი მიჯდება. ეს კი მოსახერხებელი სულაც არ არის“, – ამბობს იგი.

ერთი შეხედვით, ტრანსპორტის ხარჯები და ბაზარსა და სუპერმარკეტებში გაყიდულ საქონლის ფასს შორის სხვაობა უმნიშვნელოა, მაგრამ ერთად აღებული, ისინი მანც საკმაო თანხას



ფოტო: გარისა, კოჩიაშვილი

აღწევს, განსაკუთრებით, საქართველოში ინფლაციის ბოლოდროინდელ მაჩვენებელს თუ გავითვალისწინებთ. საქსტატის მონაცემებით, ყოველწლიურმა ინფლაციამ აგვისტოს ბოლოს ბოლო 24 თვის განმავლობაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 9.5%-ს მიაღწია.

ბარემოვპაჭრაძე

„ქუჩაში გასვლა და იქ საქონლის გაყიდვა მათი (ქუჩის გამყიდველების) შობი სულაც არ არის“, - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ზურაბ აბაშიძე. „ისინი ამას მძიმე ცხოვრებისეული მდგომარეობის გამო აკეთებენ. ისინი ამ შემოსავალზე არიან დამოკიდებულები, იმაზე, თუ დღეში რა რაოდენობის საქონელს გაყიდვან; ისინი რაღაც მინიმალურ შემოსავალს იღებენ და ამით საკუთარ ოჯახებს არჩენენ.“

რკინიგზის სადგურთან არსებულ ბაზარში გადაყვანილმა გამყიდველებმა „ლიბერალს“ გაუმხილეს, რომ ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილები არ იყვნენ.

ახალი ფართისათვის მათ დღეში მინიმუმ 2 ლარი უნდა გადაიხადონ. გამყიდველები ასევე მყიდველთა ნაკლებობას უჩივიან და ამბობენ, რომ ისინი, ვინც ვაგზლის მოედანს იაფი საქონლის საყიდლად სტუმრობდა, ახალ და მათთვის უცნობ ბაზრამდე ჯერ გზა ვერ გაიკვლია.

ერთ-ერთი გამყიდველი, ლალი, ამბობს, რომ მათ არ იცინან, თუ რატომ მოუწიათ ჩვეული ადგილის დატოვება.

„ყველაზე პრობლემური საკითხი მთავრობის დამოკიდებულებაა, თუ როგორ მიუდგნენ ისინი ამ საკითხს“, - განაცხადა აბაშიძემ. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების განმავლობაში ხელისუფლების პარტიის წარმომადგენლები ქუჩის გამყიდველებს დაჰპირდნენ, რომ მათ არ შეეხებოდნენ. როგორც კი არჩევნებმა ჩაიარა, ძველი დაპირება ყველას დაავიწყდა.

აბაშიძის აზრით, ხელისუფლებას მეტი დრო, თვეებიც კი, უნდა დაეთმო ქუჩის გამყიდველებისთვის იმის ასახსნელად, თუ რატომ იყო საჭირო მათი გადასვლა. ასევე ცვლილებების გან-

ხორციელებისათვის საკმარისი დრო უნდა გამოეყო. უფრო ნელი, თანმიმდევრული მიდგომა გამყიდველებს ამ ცვლილებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების და იმ შემოსავლის შენარჩუნების საშუალებას მისცემდა, რომელიც მათ აგვისტოში ნაუცბათევი გადასვლის გამო დაკარგეს.

„აქ დამოკიდებულებაზეა საუბარი“, - ამბობს აბაშიძე. „ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ამ ხალხზე“.

ქალაქის საკრებულოს ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილებამ ბაზრის ყველა გამყიდველისათვის პირობები გაათანაბრა. „დახურულ ბაზრებში მოვაჭრეები თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ“, - ამბობს იონათამიშვილი, - „ისინი იხდიდნენ გადასახადებს, და მათ ნაკლები მოგება ჰქონდათ, რადგან გამყიდველების საკმაოდ დიდი ნაწილი ქუჩაში ვაჭრობდა.“

„დროთა განმავლობაში, ეს პოზიტიურ შედეგს გამოიღებს, მიუხედავად იმისა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“, - აცხადებს იონათამიშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას. **□**

ბავშვთა სახლები

უფხითხილით სხუნლოვანებას!

მაღე 18 წლის 30 ახალგაზრდა ბავშვთა სახლს დატოვებს და დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს. ეს ეტაპი არავისთვისაა იმხელა შიშთან და გაურკვეველობასთან დაკავშირებული, როგორც მათთვის.

მარია ქოჩიაშვილი



„მომავლის სახლის“ აღსაზრდელი 18 წლიდან ქუჩაში აღმოჩნდება, 2010

ჭიშკარი ღამით ბოქლომით იკეტება. დილით ნაცრისფერ, რკინის კარს დარაჯი ალებს. ბავშვები სკოლაში მიდიან და საღამოს უკანვე ბრუნდებიან. ეს რუტინა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება, ვიდრე ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს 18 წელი არ შეუსრულდებათ.

18 წელი – ეს ის ზღვარია, რომლის შემდეგაც მოზარდი ზრდასრული ხდება, ბოქლომით დაკეტილი ჭიშკრის გაღება კი სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ის მათ უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებაში გასასვლელად უხსნის გზას და დიდ საბჭოთა ტიპის ინსტიტუციაში აღზრდილ ახალგაზრდებს აბსოლუტურად ახალ უფლებებსა და მოვალეობებს აკისრებს.

რას აკეთებს სახელმწიფო იმ ახალგაზრდების დასახმარებლად, რომელთა დახმარებაზეც ბიოლოგიური მოშობლები

უარს ამბობენ?

20 ოქტომბერს ვანო 18 წლის გახდება. ბავშვთა სახლიდან მას არ გააგდებენ, მაგრამ, კანონის მიხედვით, ის იქ უკვე აღარ უნდა დარჩეს. ვანო ვერც მოშობლებთან დაბრუნდება, რადგან მათ შვილი ბავშვთა სახლში ჩააბარეს და საცხოვრებლად რუსეთში გადავიდნენ.

„სად წავალ, როგორ ვიშოვი ფულს, ელემენტარულად, სად დავიძინებ, ჯერ ისიც არ ვიცი, იქნებ, მოვახერხო და მოშობლებთან წავიდე. მათ არ ვიცნობ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს“, – ამბობს ვანო.

თბილისში 5 ბავშვთა სახლია, სადაც 400-მდე ბავშვი ცხოვრობს. წელს, დაახლოებით 30 მათგანს თავშესაფრის დატოვება მოუწევს. არც ერთი ახალგაზრდისთვის არ არის სრულწლოვანების ასაკს მიღწევა იმხელა შიშთან და

■ „სწავლა მე-9 კლასის მერე შევწყვიტე. აქედან რომ გავალ, თუ არ ვიმუშავე, კი ვიცი, რაც მელოდება – გალოთება, მათხოვრობა, ჯიბეგაფხეკილი სიარული“, – ამბობს 17 წლის ვანო.

გაურკვეველობასთან დაკავშირებული, როგორც – მათთვის.

სახელმწიფოს ბიუჯეტში დღემდე არ არის გათვალისწინებული თანხა, რითაც ვანოსნაირ ახალგაზრდებს ბავშვთა სახლიდან გასვლის შემდეგ დაეხმარებიან. გამოდის, რომ ერთადერთი, რასაც სახელმწიფო ამ ადამიანებს დამოუკიდებე-

ლი ცხოვრების დაწყებისას აძლევს, მოქალაქის პირადი ნომერია. სამსახურის პოვნა და ამისთვის საჭირო განათლების მიღება, საცხოვრებლის მოძებნა და ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული უნარების გათავისება – ეს ყველაფერი მათ დამოუკიდებლად, პირდაპირ „პრაქტიკაში“, უნდა ისწავლონ.

როგორ აწყობენ ბავშვთა სახლიდან გამოსული, აბსოლუტურად უსახსროდ დარჩენილი ახალგაზრდები ცხოვრებას – კვლევა ამ თემაზე საქართველოში არ ჩატარებიათ. თუმცა, ერთ-ერთ კვლევაში თვითონ სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ქუჩაში მათხოვრობას ან პროსტიტუციას იწყებს, ალკოჰოლს ეძლევა და სხვა ინსტიტუტებში – ციხეში ამოჰყოფს თავს.

„სწავლა მე-9 კლასის მერე შევწყვიტე. აქედან რომ გავალ, თუ არ ვიმუშავე, კი ვიცი, რაც მელიოდება – გალოთება, მათხოვრობა, ჯიბეგაფხეკილი სიარული. მაგრამ მინანქარზე მუშაობა ვიცი და იქნებ, სადმე მოვეწყო“, – ამბობს ვანი, რომელსაც ხელობა ძმამ ასწავლა.

„მირჩენია, აქ, ბავშვთა სახლში დავრჩე, ვიდრე უცხო ქალაქში გავიდე, სადაც არავის ვჭირდები და არც ადამიანი მეგულება, ვისაც დაველაპარაკებ“, – ამბობს „მომავლის სახლის“ სხვა ახალგაზრდელი და ბავშვთა სახლში დარჩენას აპირებს.

18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც კვლავაც თავშესაფარში რჩებიან, „გადაზრდილებს“ უწოდებენ. „მომავლის სახლში“ 4 „გადაზრდილი“ ცხოვრობს. მათგან ყველაზე უფროსი 21 წლისაა.

„არც ერთი ბავშვთა სახლი არ ამზადებს ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ყველაფერი ორგანიზებულია ახალგაზრდებისთვის, მაგრამ არა ახალგაზრდების მიერ“, – აცხადებს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ბავშვთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, აარონ გრინბერგი.

UNICEF-შიც, ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებშიც და ჯანდაცვის სამინისტროშიც იციან, რომ მთავარი პრობლემა საბჭოთა ტიპის, დიდი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, სადაც პატარებს ახლაც ე.წ. კოლექტიური აღზრდის მეთოდით ზრდიან.

ამ სისტემაში არავინ ზრუნავს იმაზე, რომ ვანოსნაირ ბავშვებში ძლიერი და სუსტი მხარეები გამოავლინონ; მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული უნარ-ჩვევები ასწავლონ. ისინი მიჩვეულები არიან, რომ მუდმივად უმზადებენ საკვებს, ამიტომ არ იციან საჭმლის მომზადება, ურეცხავენ ტანსაცმელს, ამიტომ საკუთარ ჰიგიენაზე ზრუნვა უჭირთ. არც ფულის სწორად ხარჯვა და დანაზოგის შენახვა იციან.

მსგავსი გამოწვევები, რაც ამ ახალგაზრდებისთვის თვითგადარჩენისთვის ბრძოლად იქცევა, მინიმუმამდე მცირდება, როცა ობოლი ანდა მიტოვებული ბავშვი მცირე, საოჯახო ტიპის სახლში იზრდება.

ერთადერთი დაწესებულება, რომელიც საქართველოში თავის ახალგაზრდებზე ამ საერთაშორისო სტანდარტით ზრუნავს ავსტრიული არასამთავრობო ორგანიზაცია – „SOS ბავშვთა სოფელია.“ 14-15 წლამდე ბავშვები მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ცხოვრობენ. შემდეგ ისინი ახალგაზრდულ საცხოვრებელში გადაჰყავთ, სადაც უფრო მეტი თავისუფლება ენიჭებათ და აღმზრდელები და პედაგოგები უმაღლესი სასწავლებლისთვის მომზადებაში ეხმარებიან. 18-19 წლიდან ბავშვები უკვე ნახევრად დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. ორგანიზაცია მათთვის ბინას ქირაობს, სადაც ახალგაზრდა მარტო ცხოვრობს და ყოველთვიურ ჯიბის ფულს იღებს. თუმცა, ამ თანხის ნაწილს ბანკში ინახავს.

„ყველა ეტაპის გავლის შემდეგ, ჩვენი ახალგაზრდების უმეტესობას უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს და დასაქმებულია. ზოგი, ბიოლოგიურ ოჯახში ბრუნდება, ან სახლს ყიდულობს. ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ხდებიან“, – ამბობს „SOS ბავშვთა სოფლის“ ბავშვზე ზრუნვის ხარისხის უზრუნველყოფის მრჩეველი ნინო ჭითანავა.

ორგანიზაცია ამჟამად 200-ზე მეტ ბავშვს ეხმარება. თითოეული ბავშვის რჩენადღეში 35 ლარამდე უჯდებათ. თუმცა, ეს ბიუჯეტი თითქმის მთლიანად „მშპ ბავშვთა სოფლის“ ავსტრიული ოფისიდან იგება. სახელმწიფო კი დღიური, 12.5 ლარით მხოლოდ 24 ბავშვს აფინანსებს.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, დავით ლომიძის ინფორმაციით, 1 იანვრიდან სახელმწიფო ბავშვთა სახლების ყველა ახალგაზრდელს უკვე ინდივიდუალური მომსახურების გეგმით აღზრდიან. ეს ამ ეტაპზე ერთადერთი კონკრეტული გეგმაა, რომელიც ბავშვთა სახლებიდან გამოსულ ახალგაზრდებს რეალურად დაეხმარება დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში.

18 წლის ახალგაზრდების ფინანსურ დახმარებაზე კი ჯანდაცვის სამინისტრო ჯერ ფიქრსაც ვერ იწყებს. თუმცა, სახელმწიფო „უახლოესი მომავლისთვის“ ინსტიტუციიდან გასულ ბავშვებს სამსახურის პოვნაში დახმარებას ჰპირდება. უფრო „შორეული მომავლისთვის“ კი ობლების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პრობლემას დებს.

თუმცა, კონკრეტულად როდის დასხდებიან სამინისტროს წარმომადგენლები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საერთო კონცეფციის შექმნის მიზნით, სამინისტროში ვერ აკონკრეტებენ, მაგრამ ამბობენ: „მთავარია, მოქმედება და ამას დავენიშნებთ.“

ბავშვთა უფლებების დამცველები აცხადებენ, რომ რეალურად სახელმწიფოს გაცილებით უფრო იაფი დაუჯდება 18 წლის ახალგაზრდებზე დროებით ზრუნვა, ვიდრე – მთელი ცხოვრების მანძილზე მათი შენახვა.

„თუკი, ამ ახალგაზრდებს სწორად გაზრდი და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში დაეხმარები, მიიღებ მოქალაქეს, ვინც მუშაობს, გადასახადებს იხდის, ეკონომიკის ზრდაში შეაქვს წვლილი და არა პირიქით – ადამიანს, რომელიც იპარავს, ციხეში ხვდება, მეძავი ხდება, შიდასით ავადდება, შვილს აჩენს და იმიტომ, რომ მასზე ზრუნვა არ შეუძლია, ისევ ბავშვთა სახლში აბარებს და საბოლოო ჯამში, მანაც შენი – სახელმწიფოს სარჩენი ხდება“, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია Every Child-ის დირექტორი – ანდრო დადიანი.

ვანოსთვის კი მომავალ წელს შემუშავებულ კონცეფციას აზრი ღარ ექნება. მას არც სწავლას დაუფინანსებენ და არც ბინით უზრუნველყოფენ. ის, ამ დროს უკვე ჭიპკის მიღმა იქნება – აბსოლუტურად უცხო ქალაქში. ■



ჯანდაცვა

თანამედროვე მედიცინის ანახორთა

მომდევნო 10 წლის განმავლობაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ, დეპრესია ყველაზე გავრცელებული დაავადება და მსოფლიოში სიკვდილიანობის გამომწვევი რიგით მეორე მიზეზი გახდება.

დიანა ჩაჩუა

ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში 53 წლის ნანი კეკელიძე ზურგის გაუსაძლისი ტკივილებით მივიდა.

მანამდე, რამდენიმე კვირის მანძილზე, შეტევებს სახლში ძლიერი გამაყუჩებლებით ებრძოდა.

ზურგის ტკივილებს თან მშფოთვარე, უსიამოვნო ფიქრები ახლდა.

ერთი წლის წინ ნანიმ სამსახური დაკარგა და ექიმთან ვიზიტისა და მკურნალობისთვის საჭირო თანხა მანამდე ვერ გამოიხატა, ვიდრე ერთ დღეს ლოგინიდან წამოდგომაც კი ვერ მოახერხა.

გამოკვლევები თითქმის ორ კვირას გაგრძელდა. როცა პასუხებში საგან-

■ მეგობრებთან ურთიერთობები საქართველოში დეპრესიიდან გამოსვლის ყველაზე გავრცელებული მეთოდია, თუმცა კლინიკურ დეპრესიას არაპროფესიონალ მოსაუბრესთან ლაპარაკი ვერ შევლის.

გამო არაფერი აღმოჩნდა, პაციენტი ონკოლოგიურ საავადმყოფოში გააგზავნეს. ნანის არც ონკოლოგიური დაავადება არ აღმოაჩნდა.

„მერე ერთმა ნევროპათოლოგმა დეპრესიის დიაგნოზი დამისვა. ზურგის ტკივილმა გამოიწვია ეს დეპრესია, თუ დეპრესიამ ზურგის ტკივილი, დღემდე არ ვიცი. ფაქტია, ანტიდეპრესანტებით მკურნალობამ მიშველა. თითქოს, ზურგის ტკივილი არც მქონია,“ – ჰყვება ნანი.

ეს შემთხვევა რამდენიმე წლის წინ რომ მომხდარიყო, უჩვეულოდ ჩაითვლებოდა, მაგრამ არა – დღეს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ, დეპრესია რიგით მეორე დაავადება იქნება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მეტ სიკვდილიანობას გამოიწვევს. WHO-ს ინფორმაციით, მსოფლიო მოსახლეობის 25 პროცენტმა საკუთარ თავზე უკვე გამოსცადა, რა სიმპტომები აქვს დაავადებას, რომელსაც „21-ე საუკუნის შავ ჭირსაც“ უწოდებენ.

დარდი, უბედურების და უიმედობის განცდა, სუიციდური ფიქრები და სიამოვნების მიღების უუნარობა – თუ ამ სიმპტომებიდან რამდენიმე ერთსა და იმავე დროს შეგეყარათ, ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა და ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოგაგდოთ, „უბრალოდ ცუდ ხასიათზე“ კი არ ხართ, შესაძლოა, ნამდვილი კლინიკური დეპრესია გაქვთ.

სტატისტიკა, რომელიც საქართველოში დეპრესიით დაავადებულთა მიახლოებით რაოდენობას მაინც დაადგენდა, არ არსებობს.

ხშირად საქართველოში დეპრესიულობა და მელანქოლიურობა არა დაავადებად, არამედ სისუსტედ, ხასიათის გამოვლინებად მიიჩნევა. დაავადებულთა ნაწილი საერთოდ არ უკავშირდება ექიმს, უცოდინრობის ან სირცხვილის გრძნობის გამო.

ანტიდეპრესანტი პრეპარატები იმაზე ნაკლებად ინიშნება, ვიდრე საჭი-

რობა ითხოვს.

ნევროპათოლოგ გოგიტა გეგელაშვილის თქმით, ანტიდეპრესანტების ნაცვლად ბევრი დაავადებული არაეფექტური პრეპარატებით თვითმკურნალობის ჩატარებას არჩევს. ამის მიზეზი, გეგელაშვილის აზრით, დეპრესიის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა.

დეპრესიის გამოვლინება ხშირად ფიზიოლოგიური დაავადებებით ხდება და ასეთ დროს მკურნალობა სწორედ ამ დაავადებებისათვის ინიშნება, ფსიქოლოგიური აშლილობა კი უკანა პლანზე გადადის. კლინიკური დეპრესიის შემთხვევების 30-50 პროცენტი პირველადი სამედიცინო დახმარების დროს გამოუვლენელი რჩება.

მეცნიერები კი მთელს მსოფლიოში ცდილობენ, დაარწმუნონ ადამიანები, რომ დეპრესია არა სისუსტე, არამედ დაავადებაა.

2009 ოქტომბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ნევრი ქვეყნების სახელმწიფოები გააფრთხილა, რომ ფინანსური კრიზისის ფონზე, საზოგადოებაში ფსიქიკური აშლილობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები გაიზრდებოდა.

ორგანიზაციის დირექტორმა მარგარეტ ჩენმა ნევრი ქვეყნებს საგანგებო რეკომენდაცია მისცა, რომ მენტალური ჯანმრთელობა ჯანდაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილად ექციათ.

საქართველოში ფსიქიატრიული მომსახურების მინიმალურ პაკეტზე ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტის 8 პროცენტი იხარჯება, რაც ერთ სულ მოსახლეზე 6 აშშ დოლარია. თუმცა, ადამიანს, რომელსაც დეპრესიის დიაგნოზს დაუდგენენ, ამ დაავადებისგან განკურნება ბევრად უფრო ძვირი დაუჯდება.

ნევროპათოლოგის და პაციენტთა უსაფრთხოების საქართველოს ალიანსის თავმჯდომარის გოგიტა გეგელაშვილის თქმით, ყოველ მესამე პაციენტს, რომელიც მას ფიზიკური ტკივილის და აშლილობების სიმპტომებით მიმართავს, დეპრესია

აქვს. როგორც ნესი, ფსიქოსომატური პრობლემის სიმძიმის ცენტრი ყოველთვის ის ორგანო ხდება, რომელიც ინდივიდის წარმოდგენაში უფრო დაუცველი და მნიშვნელოვანია ორგანიზმის მოქმედებისათვის.

ფსიქიკურ აშლილობებსა და ფიზიკურ ტკივილს შორის უწყვეტი კავშირის არსებობას მეცნიერები, უკვე დიდი ხანია, აღიარებენ.

მაგალითად, შაქრის დიაბეტმა შეიძლება, გამოიწვიოს დეპრესია, რადგან როცა ადამიანს დიაბეტი აქვს, მისი როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული და ვეგეტატიური ნერვული სისტემა ზიანდება.

თავის მხრივ, დეპრესიასაც შეუძლია შაქრის დიაბეტის გამოწვევა, რადგან დეპრესიისთვის ჩვეული ნერვული აშლილობა და მონელების სისტემის პათოლოგიები შაქრიანი დიაბეტით დაავადების შანსს ზრდის.

ამერიკაში ყოველ წელს დაახლოებით 30 ათასი ადამიანი ამთავრებს

ექსპერტის სიმპტომები:

- ▶ სტაბილურად სევდიანი ან გალიზიანებული განწყობა;
- ▶ ძილის, მადის და ენერჯის მკვეთრად გამოხატული ცვლილებები;
- ▶ აზროვნების, კონცენტრაციის და მესხიერების უნარის დაქვეითება;
- ▶ ფიზიკური უხალისობა, ან ზედმეტად აგზნებადობა;
- ▶ ინტერესების ნაკლებობა და გულგრილობა იმ საქმიანობის მიმართ, რომელიც ადრე სასიამოვნო იყო;
- ▶ დანაშაულის, უსარგებლობის, უიმედობის და სიცარიელის განცდა;
- ▶ პერიოდულად განმეორებადი აზრები სიკვდილისა და თვითმკვლელობის შესახებ;
- ▶ სტაბილური ფიზიკური სიმპტომები, რომლებიც არ ემორჩილებიან მკურნალობას, მაგალითად, თავის ტკივილები, მონელებასთან დაკავშირებული აშლილობები და ქრონიკული ტკივილები.

სიცოცხლეს თვითმკვლევლობით. მათ შორის დიდი ნაწილი თვითმკვლევლობის მომენტში დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თუმცა, დეპრესიის მსხვერპლთა რაოდენობა ბევრად მეტია. მეცნიე-

რებმა დაადგინეს, თუ არსებულ ფიზიოლოგიურ დაავადებას დეპრესიაც დაერთო, ლეტალური შედეგის ალბათობა 4-6-ჯერ იზრდება. ეს განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს ეხება.

სხვა მრავალი დაავადებისგან განსხვავებით, დეპრესია განვითარებული ქვეყნების პრობლემა უფროა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დასავლეთის ქვეყნებში ადამიანთა ემოციური მდგომარეობა მათი ეკონომიკური კეთილდღეობის უკუპროპორციულია.

საშუალო შემოსავლის გაორმაგების პარალელურად, სულ უფრო ნაკლები ადამიანი აღიქვამს თავს ბედნიერად. თუ 1957 წელს თავს ბედნიერად ბრიტანელების 52 პროცენტი თვლიდა, 2006 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 36 პროცენტია. ბედნიერების აღქმის დაკარგვა კი დეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმპტომია.

„ვესტერნიზაცია“ შეუჩერებელი მელანქოლიის და დარდის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მეცნიერების მტკიცებით, კოლექტივისტურ და ტრადიციულ საზოგადოებებს დეპრესიის საფრთხე ნაკლებად ემუქრებათ, ვიდრე ინდივიდუალიზმზე და ლიბერალიზმზე დამყარებულ ქვეყნებს.

„ვესტერნიზებულ“ საზოგადოებებში ადამიანების როლი ნაკლებად განსაზღვრულია, ურთიერთობები მეტად მიდრეკილია ნგრევისკენ, დასაქმება არასტაბილურია, ჩნდება პიროვნული კავშირების დეფიციტი. ასეთ საზოგადოებაში ადამიანს მეტი ინფორმაცია და არჩევანი აქვს, რაც ცალკეულ პიროვნებებში დაბნეულობას იწვევს.

იელის უნივერსიტეტის პროფესორი რონალდ დუმანი თავის ნაშრომებში ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების პროცესიც ასევე დეპრესიის გამომწვევი მიზეზი ხდება.

ყოველ წელიწადს ამერიკელი ექიმები ერთ მილიონამდე რეცეპტს მხოლოდ ბავშვებისა და თინეიჯერებისთვის წერენ. ექსპერტების გაანგარიშებით, 20-დან ერთ ამერკელ თინეიჯერს კლინიკური დეპრესია აქვს.

დასავლურ ქვეყნებში დეპრესიასთან ბრძოლა უკვე კულტურის ნაწილი გახდა.

ახალი თაობის ანტიდეპრესანტები ჯერ კიდევ 70-იან წლებში გაჩნდა. ამერიკაში 20-30 წლის ადამიანებს უკვე „პროზაკის თაობას“ („პროზაკი“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ანტიდეპრესანტია) უწოდებენ. ანტიდეპრესანტების მოკლევადიანი ეფექტი სახეზეა – ის აღადგენს ქიმიურ ბალანსს ტვინში და ამცაფრებს ბედნიერების აღქმის შეგრძნებას. მაგრამ, ამ აბების გრძელვადიანი ეფექტი ჯერაც უცნობია.

მედიკამენტური მკურნალობის გარდა დასავლეთში ადამიანები 21-ე საუკუნის ამ დაავადებას ფსიქოლოგებთან ვიზიტებით, ჯგუფური სეანსებით, დიეტით, სპეციალური ლიტერატურით, იოგით, ფიზიკური ვარჯიშებით ებრძვიან.

სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც დეპრესიაში მყოფ ადამიანებს უნდა დაეხმაროს, ცალკე თავი ეძლევა ადამიანური ურთიერთობების აუცილებლობას – „დღეში ერთ ადამიანს მაინც ესაუბრეთ თქვენი განცდების შესახებ, დაურეკეთ მეგობარს ან ოჯახის წევრს, რომელსაც ენდობით, იკონტაქტეთ ადამიანებთან, რომლებთანაც საერთო ინტერესები გაქვთ“.

მეგობრებთან, ახლობლებთან ურთიერთობები საქართველოში დეპრესიიდან გამოსვლის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი მეთოდია, თუმცა კლინიკურ დეპრესიას არაპროფესიონალ მოსაუბრესთან ლაპარაკი ვერ შევლის. გარდა იმისა, რომ დეპრესიული მდგომარეობა თქვენი ცხოვრების ჩვეულ რიტმს მნიშვნელოვნად არღვევს, იგი ბევრი სხვა დაავადების კლინიკურ სიმპტომებსაც საგრძნობლად ამძიმებს. თუ სევდის, უიმედობის, სიცარიელის, უსარგებლობის, თავის ტკივილის, ენერჯის კარგვის და უძილობის ნიშნები რამდენიმე კვირის მანძილზე გრძელდება, ნევროპათოლოგთან ვიზიტი აუცილებელია. **■**

ფაქტები:

- ▶ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, დღეს მსოფლიოში 121 მილიონ ადამიანს აქვს დეპრესია.
- ▶ დეპრესია შეზღუდული შესაძლებლობების გამომწვევ მიზეზთა სამეულში შედის.
- ▶ დეპრესიის 4-დან 3 შემთხვევა შეუმჩნეველია და მკურნალობას არ ექვემდებარება.
- ▶ დეპრესიაში მყოფთა დიდი ნაწილი თინეიჯერია. ფსიქიკური აშლილობა 14 წლის ასაკიდან იჩენს თავს.
- ▶ მსოფლიოს ბავშვებისა და მოზარდების დაახლოებით 20 პროცენტს ფსიქიკური აშლილობები ან პრობლემები აწუხებთ.
- ▶ ყველაზე დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში 4 მილიონ ადამიანზე ერთი საბავშვო ფსიქიატრი მოდის.
- ▶ დღეს დეპრესია მსოფლიოში დაკარგული DALY-ის (უუნარობის გამო შემცირებული სიცოცხლის წლები) მიზეზთა შორის მეოთხე ადგილზეა. 2020 წლისთვის დეპრესია მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. უკვე დღეს DALY-ის 15-44 ასაკობრივ კატეგორიაში დეპრესია მეორე ადგილზეა.
- ▶ წელიწადში 850 ათასი სუიციდი ხდება. მათი 86 პროცენტი - დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. თვითმკვლელთა ნახევარზე მეტი 15-44 ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.
- ▶ 1992 წლიდან დღემდე საქართველოში ფსიქიკური აშლილობებით გამოწვეული დაავადებების სამმაგი ზრდა აღინიშნება.
- ▶ დეპრესიისადმი მიდრეკილი ადამიანები უმეტესად ზამთარში ავადდებიან.

"იმედის" სალაშრობი ბიოხიბი ახვანაძესთან ერთად



ნინია კაკაბაძე

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართველი კინორეჟისორის - დიმიტრი მამულიას მხატვრულმა ფილმმა მიიღო მთავარი ჯილდო. „სხვა ცა“ – ასე ჰქვია ფილმს. ბუნებრივია, ახლა ფილმის შეფასებას არ ვაპირებ, მხოლოდ ერთ დეტალზე მივითითებთ. მამულიას ფილმში ხშირად ჩანს ოთახის ინტერიერი, სადაც მამა-შვილი ცხოვრობს. ბინაში მუდმივად ტელევიზორია ჩართული და ის მუდმივად სხვადასხვა რუსული არხის საინფორმაციო გამოშვებას აჩვენებს. საერთოდ, ძალიან იშვიათად ხდება, რომ ფილმში ტელევიზორის ხმა, ე.წ. „შუმი“ სუბტიტრებული ან გახმოვანებული იყოს. ვფიქრობ, დიმა მამულიას ფილმში ტელევიზორის „ხმაური“ სპეციალურად არის თარგმნილ-სუბტიტრებული. და რა ისმის ამ ტელევიზორიდან? მუდმივად ერთი და იგივე. რუსული ტელეარხები რუსეთის მოსახლეობას გამუდმებით უამბობენ იმ არეულობის, გასაჭირის, პრობლემების, დაავადებების შესახებ,


რომელიც დასავლურ ქვეყნებში მძვინვარებს.

„მასობრივი გამოსვლები იტალიაში სილვიო ბერლუსკონის წინააღმდეგ“ და მიტინგის კადრები. მასობრივი საპროტესტო აქციები საფრანგეთში საპენსიო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით, პროტესტს საფრანგეთის პენსიონერები გამოთქვამენ. არჩევნები და თანმდევი არეულობა ლატვიაში, (ან ლიტვაში, ზუსტად აღარ მახსოვს), ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ბრაზილიაში და ა.შ. ეს ჩამონათვალი უკვე ქართული ტელევიზიის, „იმედის“ „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტების ქრონოლოგიას აღწერს. 3 ოქტომბრის „ქრონიკის“ ყურებისას გამახსენდა დიმა მამულიას ფილმი „სხვა ცა“, სადაც რეჟისორის მიერ, ვფიქრობ, სპეციალურად არის პედალირებული და გამოაშკარავებული რუსულ ტელევიზიაში ასახული „დასავლური კრიზისი.“ ალბათ, „იმედის“ მესვეურების მიზანიც ეს არის, გვითხრან – რომ მხოლოდ ჩვენ არ ვართ „ცუდი დღეები.“

თუმცა „იმედს“ ერთი თვითმყოფადი ნიშანიც აქვს, რომელიც, ვფიქრობ, მას ყველა სხვა ქართული, რუსული და მით უმეტეს, დასავლური ტელევიზიებისგან გამოარჩევს.

გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და გადააღწეოთ თვალი გასული კვირის „ქრონიკის“ ქრონიკას.

1 ოქტომბერს 8 საათის გამოშვებაში მეორე სიუჟეტი სასტიკი მკვლელობის შესახებ გადის. 15 წლის გოგონამ, მისი 20 წლის ქმარი გულში დანის ჩარტყმით მოკლა. ბუნებრივია, გვაჩვენებენ ახლად გარდაცვლილს (ოპერატიულად მიუსწრო გადაძვება ჯგუფმა) და წარმოგვიდგენენ ინტერვიუს დამნაშავესთან, რომელმაც დანაშაული აღიარა. 15 წლის გოგონას ნერვული შოკი აქვს და სულმოუთქმელად ყვება, როგორ სცემდა ქმარი და როგორ გამოასალმა ის სიცოცხლეს. საინფორმაციო სიუჟეტს მოჰყვება ე.წ. ანალიტიკური სიუჟეტი, სადაც „პროფესიონალები“, ფსიქოლოგე-



ბი საუბრობენ ახალგაზრდებში ოჯახური ძალადობის მიზეზებსა და შედეგებზე. საერთო პათოსი ამგვარია - ოჯახები სექსისთვის იქმნება და სექსისთვის შექმნილი ოჯახი ძალადობის მაპროვოცირებელია.

ამ სიუჟეტს მთელი კვირის განმავლობაში მოჰყვება ასოციაციური სიუჟეტები, ყოველთვის პირველ ბლოკში და ყოველთვის პირველ ან მეორე ადგილზე. მით უმეტეს, რომ საგნობრივი მასალაც არსებობს – დააკავეს არალეგალური აბორტმახერი, რომელიც ორსულ ქალბატონებს დიდი ნაყოფის მოცილებაში ეხმარებოდა. ამ საინფორმაციო სიუჟეტს, რომელიც პირველ ნომრად მოხვდა დღის ნიუსებში, ისევ ანალიტიკური რეპორტაჟი მოჰყვა, სადაც ვიზუალურად, გრაფიკულად წარმოგვიდგინეს აბორტის პროცესი – დააცლით ცოცხალ ბავშვს ხელებს მუცლად ყოფნის ჟამს, შემდეგ წააცლით

მიზეზები – „ქალი ორსულობის ჟამს არ უნდა ეწოდეს პაპიროს“, – გვეუბნება ექიმი; „მამაკაცი აქტის დროს არ უნდა იყოს ნასვამი“, – გვასხენებს ჟურნალისტი, სასურველია პარტნიორებს არ ჰქონდეთ სოკო, ტრიქომონი თუ სხვა ვენერიული დაავადებები.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, არ დაიზაროთ და გადახედეთ გასული კვირის „ქრონიკას“.

ახლა ვწერდი ჩამონათვალს და მეცინება, რომ ეს ყველაფერი წამყვანი არხის საინფორმაციო გამოშვების ტომიუსებია, გავრცობილი ე.წ. ანალიტიკური დანამატებით. ნეტავ, რა ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ ეს ახალი ტალღა თუ მიმდინარეობა „იმედზე“? მედიცინა? კრიმინალი? რელიგია? მენტალიტეტი? ტრადიცია? მართლმადიდებლობა? თავისუფლება? ვფიქრობ, ნებისმიერს, გარდა „ნიუსისა“, გარდა საინფორმაციო გამოშვებისა, სადაც საქალწულე აპკს 5-6

სურს. მისი და კობა დავარაშვილის მიზანი „რუსთავი 2“-ზე „შევექმნათ ახალი ადამიანი“ ჯერ ისევ შექმნის, შენების პროცესშია, მაგრამ ამჟამად „იმედის“ მეშვეობით.

არხის საინფორმაციო სამსახურს აღარ ხელმძღვანელობს ძველი კადრი ნანა ინწკრველი და ხელმძღვანელობს კიდევ უფრო ძველი მათე კირვალიძე, რომელიც ვარდების რევოლუციის წინ თავისი ჟურნალისტის ბილეთის დახვევით გვემუქრებოდა. გიორგი არველაძის და გიორგი თარგამაძის რჩეულმა (ის თარგამაძის დროსაც „იმედის“ საინფორმაციოს შეფი იყო) საბედნიეროდ, ეს ბილეთი დღემდე არ დახია. მაგრამ ასეთ ადგილებზე ეს კარგი შემსრულებელი, იქნება ეს კირვალიძე, ინწკრველი თუ ალექო ფარულავა, სამშინი არ არიან, სამში ქართულ სატელევიზიო სივრცეში მოსული ნოვატორია.

გიორგი არველაძის სატელევიზიო კარიერის შეფასება (მის პოლიტიკურ მიღწევებს ნუ დავთვლით) ძალიან მარტივად არის შესაძლებელი. მას აქვს ამბიცია და ღიად აცხადებს, რომ სურს ქართული სტერეოტიპების დანგრევა, ეთერში გამოჰყავს პროფესორი ჰომოსექსუალი, საქართველოს პატრიარქის დაუძინებელი „მტერი“ თეა თუთბერიძე და ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი დოლო გუგუშაშვილი. თუთბერიძეს „იმედის“ მართლმადიდებელი კოლექტივი „ქვას ესვრის“, გუგუშაშვილს კი კვერს უკრავს. ამიტომ, ნოვატორულ ტელეტალღაზე გმირი ისევ მებრძოლი ქალი გამოდის, რომელსაც ომი ენატრება და დღესაც საბრძოლო განწყობაზეა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია, სადაც ნოვატორობის ამბიციის მქონე დირექტორი ორი პარტიის მსახურად გვესახება – საპატრიარქო და ნაციონალური მოძრაობა. სიუჟეტი აბორტზე ერთს ეძღვნება, კრიზისი საფრანგეთში მეორეს. საქალწულე აპკისადმი მიძღვნილი სიუჟეტი და მოდელირებული ქრონიკა კი ერთი პათოლოგიური, სექსუალური თუ კარიერისტული ვენებებით შეპყრობილი ადამიანის ალუზიებია, რომლის მსხვერპლი ისევ და ისევ ერთი, საქართველოს მოსახლეობაა. **■**

■ გიორგი არველაძის სატელევიზიო კარიერის შეფასება ძალიან

მარტივად არის შესაძლებელი. მას აქვს ამბიცია და ღიად აცხადებს, რომ სურს ქართული სტერეოტიპების დანგრევა.

თავს, შემდეგ ფეხებს და მოკლავთ მას! ასეთი სიმწვავის იყო აბორტისადმი მიძღვნილი სიუჟეტი, რომელიც პირდაპირი ძალადობა, ტერორია არა მხოლოდ ორსულ ქალბატონებზე, ან უბრალოდ ქალებზე, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობაზე. ამას ხომ საფრანგეთის საპენსიო ფონდის ბიუჯეტში გარღვევა სჯობს.

ამ ორი საინფორმაციო სიუჟეტით შთაგონებულმა „იმედმა“ (აბორტმახერი და ცოლის მიერ მოკლული ქმარი), მთელი კვირის განმავლობაში ასეთი ტომიუსები ატრიალა: 1. საქალწულე აპკი – როგორ გავიკეროთ ის? ვინ იკერავს მას და რატომ? გამოკითხვა სტუდენტებში. 2. დამოუკიდებელ სიუჟეტად „სექსი ქორწინებამდე“. 3. რა არის კონტრაცეპტივი და რა სარგებლობა მოაქვს მას. 4. ჩვილთა სიკვდილიანობა საქართველოში.

წუთიანი სიუჟეტს უძღვნიან და ავლანეთში დაღუპულ ჯარისკაცებს მხოლოდ რამდენიმე წამს.

რასთან გვაქვს საქმე? ტელეარხი „იმედი“ ქართულ ტელევიზორებში ეგზოტიკურობით გამოირჩევა. ეს არხი გიორგი არველაძეს მივებარეთ. არველაძემ საკუთარი ეგზოტიკური იდეების განხორციელების შირმად არხზე „რადიო თავისუფლების“ პროფესიონალი ჟურნალისტი ეკა წამალაშვილი მიიყვანა მოადგილედ. სამწუხაროდ, წამალაშვილი ისე გამოეთხოვა არხს, რომ მისი სახელი დღეს მხოლოდ „მოდელირებულ ქრონიკასთან“ ასოცირდება და სატელეფონო საუბართან სახელად „გიო“. „გიო“ გიორგი არველაძეა, საქალწულე აპკის მრისხანება! აპკის მონინალმდეგეს ქართული ტელემედიის საშუალებით ქართული საზოგადოების განათლება და განვითარება

ნიბნებო, ნინ!



შოთა იათაშვილი



ფოტო: შოთა იათაშვილი

უკვე საკმაო ხანია, რაც მიდის პოლემიკა ბუკინისტების ქალაქიდან აყრისა და მათი ერთ ადგილას გადასახლების გამო. აზრი გამოთქევს მწერლებმა, გამომცემლებმა, საკრებულოს თავმჯდომარემ (ამავე დროს, მწერალმა, თუ – პირიქით), და რაც მთავარია, სხვადასხვა სოციალურ ქსელებსა თუ ფორუმებზე – უბრალოდ, მკითხველებმა. მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები თითქოს ერთნაირად მყარი და დამაჯერებელი იყო, თუმცა – სხვადასხვა ტიპის. ბუკინისტების აყრის მომხრენი ხშირად იურიდიული ენით საუბრობდნენ და მოკამათებებს ემოციურობასა და რომანტიზმში სდებდნენ ბრალს. თითქოსდა ორივე მხარემ ყველაფერი თქვა, და აწი მხოლოდ „კი“-ს ან „არა“-ს თქმით, პოზიციის დაფიქსირებითა უნდა შემოიფარგლონ ისინი, ვინ საკუთარი აზრის გამოხატვა დაავგვიანა.

თითქოს... მაგრამ, მგონი, არც მთლად ასეა. კვლავ მორიგ რომანტიკულ ჩანახატად რომ არ ჩათვალონ ჩემი ნაწერი, შევეცდები, იურიდიული ენით მოლაპარაკებებს მათივე ენით დაველაპარაკო და საკუთარი არგუმენტები უკან შევუტრიალო. რამდენად გამომივა, თავად განსაჯეთ.

პოლემიკაში ხშირად ტრიალებდა კარტოფილის თუ პომიდვრის თემა. „კანონმორჩილნი“ ამბობდნენ, თუ გარევაჭრობა აიკრძალა და კარტოფილის თუ პომიდვრის ყიდვა აღარ შეიძლება, მაშ, წიგნის ყიდვა რატომ უნდა შეიძლებოდესო, „რომანტიკოსები“ კი გაიძახოდნენ, წიგნი კარტოფილი და პომიდორი ხომ არ არის, ერთ პირობებში რომ დავაყენოთო. „კანონმორჩილნი“ ესთეტიკურ საკითხებსაც აყენებდნენ: აბა, რა ლამაზი სანახავია ცელოფანგადაფარებული უსახური სტენდები ქუჩებშიო.

მოდი, შევეშვათ წიგნისა და ხილ-ბოს-

ტნეულის ერთმანეთთან შედარებას, მით უმეტეს, რომ შესადარებლად შინაარსით გაცილებით ახლოს მყოფი რაღაცები მოგვეპოვება. ლაპარაკია სხვა ბეჭდურ პროდუქციაზე – ჟურნალ-გაზეთებზე, და პრესის იმ სტენდებზე, რომლებიც დღემდე თბილისის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ერთი გამაგებინებთ, თუ ის გარეევაჭრობაა, ეს არაა გარეევაჭრობა? და თუ ბუკინისტების სტენდები, სადაც მსოფლიო ლიტერატურის შედეგებია გამოფენილი, აუშნოვებს ქალაქს, ის სტენდები ათასჯერ უფრო არ აუშნოვებს, სადაც ათასობით ყვითელი გამოცემაა გამოფენილი? მით უმეტეს, რომ წვიმასა თუ ქარში მათ სტენდებსაც ისეთივე ცელოფნები აქვს გადაფარებული?

შეიძლება მავანმა თქვას, ყვითელი პრესის გვერდით ხომ სოლიდური პრესაც იყიდებაო, შეიძლება, სხვამ დაამატოს, პრესა ყოველდღიურია და ამიტომ ყველგან უნდა იყიდებოდეს, წიგნის საყიდლად კი მიზრძანდით წიგნის მაღაზიებში ან დედაენის ბაღშიო, მაგრამ თუკი კანონი უზენაესია, განა ეს არგუმენტია? გამოდის, რომ ვილაცები კანონს, როგორც უნდათ, ისე იყენებენ და ირგებენ. თავისთავად ჩნდება ეჭვი, რომ ბუკინისტების აყრა გამომცემლების მიერაა ლობირებული, ვინაიდან ქუჩაში წიგნების არსებობა მათ ბიზნესს რაღაცნაირად ხელს უშლიდა.

არიან თუ არა ისინი ბუკინისტები? – ამ კითხვას სვამდნენ გამომცემლები საკუთარ წერილებში და ამტკიცებდნენ, რომ დიდი ნაწილი ვითომბუკინისტებისა, სინამდვილეში გადამყიდველია. ალბათ, ისინი, ასე თუ ისე, მართლებიც არიან, ნამდვილი ბუკინისტი სხვაა და სასკოლო სახელმძღვანელოების გადამყიდველი – სხვა. მაგრამ, რადგანაც აქ თითქოსდა

ზღვრის გავლება საკმაოდ ძნელია, მათი აზრით, ყველა უნდა აიყაროს. ცხადია, უფრო მეტად ვერ გავავლებთ ზღვარს „ლიბერალის“, „24 საათის“ და „სარკე“-ს გამყიდველს შორის, რადგან ყველა გამოცემა ერთ სტენდზე დევს. რა ვქნათ ახლა: მათაც გამოფუყოთ ერთი პარკი და ვისაც პრესის შეძენა მოუნდება, იქით გაეშუროს? თუ იქნებ, მაინც ვცადოთ და დავანანევროთ ისინი? მაგალითად, ყვითელი პრესა „ბლიადსკი პარკში“ გაიყიდოს, სახელისუფლებო პრესა – „ვარდების პარკში“, ლიბერალური კი, ვთქვათ – ვერის ბაღში?


გასაგებია, რომ უკვე ვხუმრობ, ვხუმრობ, რათა „კანონმორჩილებს“ მათი არათანამიმდევრულობა დავანახო და ის, რომ უფრო მეტად საკუთარი ინტერესებიდან ამოდიან, ვიდრე – სახელმწიფო ინტერესებიდან. და, ალბათ,

გესმით, რომ არანაირად არც პრესას და არც პრესის გამყიდველ სანყალ ხალხს არ ვერჩი, პირიქით, თუ საჭირო გახდა, მათაც ბოლომდე დავიცავ.

აი, ესაა. სულ ესაა ჩემი „არარომანტიული“ ხედვა ამ საკითხისა. თუმცა თავს, ალბათ, მაინც ვერ შევიკავებ, და ნერილის ბოლოს „რომანტიულადაც“ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას:

წიგნი ყველგან უნდა იყოს და არა მხოლოდ რამდენიმე წიგნის მაღაზიაში და დედაენის ბაღში. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ყოფამ და ხალხის მიზანმიმართულმა გამოტვივებამ თითქმის საერთოდ დაავიწყა მოსახლეობის 99%-ს წიგნის არსებობა. ჰო, ასეა, ქუჩაში უაზროდ რომ გაბოდილდება, ყველგან უნდა შეეჩხიროს ასეთ ადამიანს თვალში წიგნი! იქნებ, რომ მობეზრდება ეს უაზრო არსებობა, მივიდეს

ერთ-ერთ დახლთან და დახედოს... მერე რომელიღაც წიგნი აილოს ხელში, გადაფურცლოს... და საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობას უნდა ახსოვდეს წიგნის არსებობა. ვიზუალურად მაინც უნდა ახსოვდეს, როგორც კი იგი ამას დაივიწყებს, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ქვეყანა დაშლილი, დანგრეული და უპერსპექტივოა. იარალის ჟღარუნით სახელმწიფო ვერ აშენდება!

ვიზუალურად მაინც უნდა ახსოვდეს-მეთქი, ვთქვი... ჰო, მესმის, ეს ბოლო ეტაპია, თითქოს არც არაფრის მომცემი, მაგრამ ოდნავ მაინც რაღაცის იმედს რომ გიტოვებს, ისეთი... წიგნებიც ცოტა აგრესიულები უნდა იყვნენ ამ სამყაროში, კი არ შეიყუჟონ ფრთხილად და დაიმალონ, არამედ ხანდახან შეტევაზეც უნდა გადავიდნენ ხოლმე... წიგნებო, წინ! 



რადიო თავისუფლება

უსმინე...
უყურე...
იკითხე...



ახლა უკვე გაზეთიც!

radiotavisupleba.ge

ფერუხო სოლერი - მახალი ახალი



დავით ბუხრიკიძე

უდარდელი, მხიარული და გონებაბამხვილი არლეკინი სამსაათიანი გარჯისა და ქანც-გამწყვეტი სირბილის შემდეგ მიზანს მაინც აღწევს. ყველა შეცდომა გამოსწორებულია: მამაკაცების სამოსში გადაცმული ქალები საკუთარ სქესს და სიყვარულს დაიბრუნებენ, დამწყვეტი მსახურები ყველა კერძს გასინჯავენ, შეყვარებულები ქალების გულსაც დაიპყრობენ, ხოლო საყოველთაო მსუბუქი ფლორტი სპექტაკლის ფინალში ნამდვილ სიყვარულად გადაიქცევა.

მთელი ეს თავშესაქცევი, ლირიკული ბალაგანი, რომელიც სამოცი წლის წინ, „კომედია დელ არტეს“ ნიღბებითა და კარლო გოლდონის პიესის ფანრის გათვალისწინებით შეთხზა ფერუხო სტრელერმა, უეცრად შეიცვლება პუბლიკის გულწრფელი აღფრთოვანებით... რადგან არლეკინი ნიღბს მოიხსნის და ოცი წლის ახალგაზრდის ნაცვლად თქვენ წინაშე 80 წლის ჭალარა და დაღლილი მსახიობი აღმოჩნდება!

ამ კაცს ფერუხო სოლერი ჰქვია და მისი ხელოვნების, ისევე როგორც „პიკოლო თეატრის“ სანახადად, ნამდვილად ღირს თუნდაც მარჯანიშვილის თეატრის წინ აღმართული რკინის ჯებირების გადალახვა, შესასვლელთან მდგარ პოლიციელებთან საქმის ლირიკულად „გარჩევა“ და 25-ლარიანი ბილეთის გამო წუნუნის დავიწყება. მთავარია, წლებადედი თეატრალური აქცია სწორედ მაღალ არტი-ისტულ დონეზე დარჩეს და არ გადაიზარდოს გარკვეულ სოციალურ ისტორიაში, თუნდაც ბილეთებზე მაღალი ფასის, ან ფესტივალის დღეებში თეატრში „შეუღწევლობის“ გამო. როგორც უკვე გაირკვა, რამდენიმე სპექტაკლზე ბილეთები, კარგა ხანია, აღარ იშოვება... მაგრამ ეს სხვა საუბრის თემა!

არსებობენ მსახიობები, რომელთა დიდება ერთ კონკრეტულ როლს უკავშირდება.

სწორედ ასეთია იტალიელი თეატრალური მსახიობი ფერუხო სოლერი – არლეკინის როლის შემსრულებელი ჯორჯო სტრელერის ლეგენდარულ სპექტაკლში „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“. უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია, ის არლეკინის ნიღბს ირგებს თითქმის სამსაათიან სპექტაკლში, რომელსაც აღფრთოვანებით უყურებს მყურებელი. რასაკვირველია, ასაკოვან ფერუხო სოლერის რამდენიმე ათეული როლი უთამაშია სტრელერის სხვა სპექტაკლებში, პირანდე-

როცა ფერუხო სოლერის ეკითხებიან, როგორ ახერხებს, ასაკის მიუხედავად, შეინარჩუნოს შესანიშნავი აქტიორული ფორმა და ენერჯია, იგი ოდნავ გალიზიანებული პასუხობს: „თქვენ ხომ არ ეკითხებით ქორეოგრაფს, ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, როგორ ინარჩუნებს სკალპელის ფლობის ხელოვნებას!“

1961 წლიდან მოყოლებული, როცა მან არლეკინის როლში პირველად შეცვალა სახელოვანი მსახიობი, სტრელერის ფავორიტი




ფერუხო სოლერი არლეკინის როლში

ფოტოგრაფია: კონსტანტინე

ლოს, მოლიერის, ბრეტისა თუ იბსენის პიესებში, მაგრამ სახელი სწორედ არლეკინის როლით გაითქვა.

თუ კაჩალოვსა და ჯონ გილგუდზე, საბოლოოდ, მაინც „ჰამლეტი“ მსჯელობენ, ინოკენტი სმოკტუნოვსკიზე „ივანოვი“, ანა მანიანიზე „ძუ მგელი“, რამაზ ჩხიკვაძეზე „კავკასიური“, ან ზინაიდა კვერენჩილაძეზე – „ანტიგონე“, ფერუხო სოლერი თეატრის ისტორიაში, ცხადია, არლეკინის როლით შევა, რადგან ამ როლის დიდი შემსრულებელია.

მასიმო მორეტი, ფერუხო სოლერიმ 2000-ზე მეტჯერ ითამაშა ეს როლი. ამის შესახებ უკვე ასობით სემინარი და მასტერკლასიც ჩატარა. რამდენიმე თვის წინ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2010 წელს ტოვებს „პიკოლო თეატრს“ და დროს მთლიანად ქვემოქმედებას დაუთმობს (სოლერი 2005 წლიდან „იუნისეფის“ კეთილი ნების ელჩია). ასე რომ, თბილისის თეატრალურმა ფესტივალმა კარგი შანსი მოგვცა, ეს დიდი სპექტაკლი-ექსპონატი და შესაბამისად, დიდი მსახიობი – ფერუხო სოლერი გვენახა. 

სხეულები და ექსპერიმენტები

დავით ბუხრიკიძე

თეატრალურ ფესტივალზე ქართული პრემიერების ჩავარდ-
ნა და კოლექტიური უპასუხისმგებლობა ალბათ, ცალკე მსჯე-
ლობის საგანი გახდება. დაუმთავრებელი „დეკამერონის“ შე-
სახებ ის ვიცი, რომ რეჟისორმა ლევან წულაძემ, უბრალოდ,
ვერ მოასწრო სპექტაკლი, თუმცა ექვსი თვით ადრე ცნობი-
ლი იყო, რომ ფესტივალზე ქართული პროგრამა სწორედ მას
უნდა გაეხსნა.

ამ გაუგებრობას ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და
დრამის თეატრში გათამაშებული „თეთრი დრამაც“ დაერთო.
ზურა ყიფშიძის ვარსკვლავობამ მასაც და თეატრსაც მხო-
ლოდ ცუდი სამსახური გაუნია და დავით დოიაშვილის რეჟი-
სურა, მურაზ მურვანიძის თეთრი პარიკები და ასევე ქათქათა
დეკორაციები სამწუხაროდ, სადღაც სანყოფებში დარჩა. ამას
დაემატა ბესო კუპრეიშვილის საპრემიერო „ჩემი ჰამლეტიც“,
რომლის 35-წუთიანი ფრაგმენტი არასაკმარისი პირობაა
დაუსრულებელი თეატრალური წარმოდგენის აღქმისთვის.

ვიდრე ქართული „შოუ-კეისის“ ამბები დრამატულად ვი-
თარდებოდა, თუმანიშვილის სახელობის თეატრში „შვიდი პა-
ტარა პიესა“ (რეჟისორი ზურაბ გენაძე) და „ხალხის მტერი“
(ჰენრიკ იბსენის პიესის მიხედვით, რეჟისორი გოგი ქავთა-
რაძე) წარმოადგინეს. ნოდარ მგალობლიშვილისა და გიორგი
ნაკაშიძის მთავარ როლებში გამოჩენა უკვე საინტერესო იყო,
თუმცა კონკრეტული მოვლენებისაგან აბსტრაგირებულმა და
პოლიტიკურ რეალიებთან „შეჯვარებულმა“ სანახაობამ უფრო
აენო საინტერესო ჩანაფიქრს, ვიდრე პირიქით.

პიესის უმთავრესი პრობლემა – რამდენად მნიშვნელოვანია
საზოგადოებაში ზნეობრივი პოზიციის შენარჩუნება, როცა
ირგვლივ მოჩვენებითი კეთილდღეობისა და კომპრომისის
ხარჯზე ყველაფერი ინგრევა – უდავოდ დროულია. თანაც
გოგი ქავთარაძის არჩევანი უკვე გარკვეულ პოლიტიკურ სი-
მწვავეს და პუბლიცისტურობას ნიშნავდა.

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე კი პუბლი-
კამ გიო მგელაძის პიესა („გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება!“)
მისივე რეჟისურით შეაფასა. როგორც ჩანს, ტიპური თბილი-
სური ისტორიები საბოლოოდ დაინგრა. „უბნურ-მეგობრული“
სამყაროს ნგრევა კი ლამის ყოფილი საბჭოთა ინტელიგენციის
განადგურების ტოლფასია. არანორმატიული ლექსიკა ყურს
გვჭრის, ხოლო ახალი თაობის მიერ „სექსუალური რევოლუ-
ციის“ მოხდენის მცდელობა გულწრფელობის მიუხედავად,
უფრო ირონიულ-კულტურულ მოვლენად აღიქმება.

იმავე ექსპერიმენტულ სცენაზე, თითქოს საგანგებო „რეჟი-
ში“, დაიდგა თანამედროვე გერმანელი დრამატურგის, რო-
ლანდ შიმელსპენიგის „ქალი წარსულიდან“, რომელსაც აშკა-
რად ნაჩქარევი და დაუმთავრებელი იერი აქვს. თანაც მსახიობ
ლელა ალიბეგაშვილის ავადმყოფობის გამო პიესა შემოკლე-
ბული ვარიანტით უჩვენეს. ქართული პროგრამის ერთ-ერთი
ყველაზე საინტერესო სპექტაკლი აღმოჩნდა დათა თავაძის
მიერ სამეფო უბნის თეატრში დადგმული მარიუს ფონ მაიენ-
ბურგის პიესა „მახინჯი“, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის შე-
მოქმედებით-წამახალისებელი პროექტია „ახალი გერმანული
დრამის“ ასათვისებლად.

რეჟისორ დათა თავაძის აშკარა ქორეო-რეჟისორული იმ-
პულსები და „ფიზიკური თეატრისკენ“ გენეტიკური მიდრეკი-
ლებანი ნათლად ჩანს მიზანსცენების აგებაში. ტექსტის
პლასტიკური ფორმით მოთვინიერება აშკარად საინტერესოა,
მაგრამ ის ზუსტად იმას „შეინიწავს“, რისი კომპენსაციაც
რეჟისორს მოძრაობით სურდა. სხეულის სიმახინჯის „აღმო-
ფხვრის“ თემი ინდივიდუალიზმისა და პიროვნების დაკარგვის
ხარჯზე ძალიან აქტუალური, ზუსტი და განზოგადებულია.
თანაც ეს სწორედ ქორეოგრაფიულ დრამასთანაა ახლოს.

კარგი იქნება, თუ ნორჩი რეჟისორი სხეულებსა და ექსპერი-
მენტებზე ძიებას ისევ გააგრძელებს. **□**



სცენა სპექტაკლიდან „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება!“



სცენა სპექტაკლიდან „მახინჯი“

ფოტოგრაფია: შურაბაიშვილი

არტისტერიუმი 2010

სიფხუნი ავოჩის მომავალი - ღმრ-სივხსის ნაშენი ბაჩიჩაბი ხელოვნებაში

ნინო ჩიმაკაძე



არტისტერიუმის გახსნა, თბილისი, ოქტომბერი 2010

ფოტო: ნინო ჩიმაკაძე

ცვლილებებისა და განვითარების ტემპი, რომელიც დღევანდელმა სამყარომ აიღო, იმდენად მაღალია, რომ უახლოესი მომავალიც კი ძნელი განსასაზღვრელი გახდა. დღევანდელი ინოვაცია მალევე ძველდება და მას ახალი ანაცვლებს. რა გველის მომავალში და როგორ იცვლება ფასეულობათა ის სისტემა, რომელიც აქამდე ძალიან მნიშვნელოვანი გვეგონა? „არტისტერიუმი 2010“ სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა და მონაწილე არტისტებიც მომავლის საკუთარ ინ-

ტერპრეტაციას გვთავაზობდნენ. თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტისტერიუმი“ თბილისში, უკვე მესამე წელია, ტარდება და მისი მასშტაბები სულ უფრო იზრდება. თუ 2008-ში ფესტივალს 80-მდე მონაწილე ჰყავდა და მასში 20 ქვეყანა მონაწილეობდა, წელს ქვეყნების რიცხვი 30-მდე გაიზარდა, მონაწილეების რაოდენობამ კი 120-ს გადააჭარბა. წელს ფესტივალში მეტი ადგილობრივი პარტნიორი იყო ჩაბმული და ნამუშევრები, ქარვასლის

გარდა, უკვე ლიტერატურის მუზეუმში, გალერეა „გალაში“, „ევროპის სახლში“ და სხვა ადგილებშიც იყო წარმოდგენილი. რაკი ქართული საგამოფენო სივრცეების უმეტესობა არ შეესაბამება თანამედროვე ხელოვნებისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტებს. გარკვეული პროექტების განხორციელება ვერც წელს მოხერხდა: „შარშან ვერ ვუმასპინძლეთ პომპიდუს ცენტრის ახალი მედიის დეპარტამენტის ვიდეო-კოლექციებს.



ვაჟიკო ჩაჩხიანიანის გამოფენა „გაკვეთა“



ფრანგი როკ-ფოტოგრაფის რიჩარდ ბელიას გამოფენა

ფოტოები შოა ბუბაბაძე/ილია

■ **თუ 2008–ში ფესტივალს 80–მდე მონაწილე ჰყავდა და მასში 20 ქვეყანა მონაწილეობდა, წელს ქვეყნების რიცხვი 30–მდე გაიზარდა, მონაწილეების რაოდენობამ კი 120–ს გადააჭარბა.**

წელს კი, უარი ვთქვით ცნობილი ებრაელი ვიდეოარტისტის ნამუშევრის ჩამოტანაზე, რომელიც შავკედლებიან ოთახს და ისეთ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებდა, რაც ჩვენ არ გვქონდა.– ამბობს მაგდა გურული, „არტისტერიუმის“ კურატორი და ერთ–ერთი ორგანიზატორი.

ის, რისი დატევაც თბილისის საგამოფენო სივრცეებმა მოახერხა, ხელოვნების მოყვარულთთვის დიდი

ინტერესის საგნად იქცა. არცთუ კომფორტული გარემოს მიუხედავად, გამოფენები, პერფომანსები თუ სხვადასხვა მულტიმედია პროექტები მაყურებლის ნაკლებობას არ უჩიოდა.

წინა წლებისგან განსხვავებით, წელს ფესტივალზე პოლიტიკა ნაკლებად აქტუალური იყო. ძირითადი აქცენტი პერსონალურ გამოცდილებებზე და სხვადასხვა სოციალურ თუ კულტურულ პრობლემაზე გაკეთდა.

მომავლის კვლევისა და მისი წარმოსახვის მცდელობის მხრივ, საინტერესოა ახალგაზრდა ქართველი არტისტის, ზურა ჯიშკარიანის პროექტი „დილა“. პროექტი ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით მომავლის ადამიანის შექმნის ექსპერიმენტია. „თუ გამოვიყენებ ინტერნეტს, როგორც ციფრულ დროის მანქანას, შევძლებ მომავალზე გავლენის მოხდენას? შემიძლია, დღევანდელი მონაცემები მომავალში გავგზავნო და შევქმნა ჰიპოთეტური სხეული, რომელიც მომავალში გაცოცხლდება?“ – ვკითხულობთ პროექტის ანოტაციაში.

შთამბეჭდავი იყო ფესტივალის პირველ დღეს, ამერიკელი მულტიმედია არტისტის, ლედოპის პერფორმანსიც, რომელიც, ასევე, ციფრული ტექნოლოგიებისა და ადამიანის ურთიერთობას ეხებოდა. ამ შემთხვევაში, ავტორი კომუნიკაციების მეთოდების ცვლილებაზე აკეთებს აქცენტს და გრძნობების ვირტუალიზაციას უსვამს ხაზს.

მომავლის თემას არ ეხებოდა, მაგრამ, ასევე, ძალიან საინტერესო იყო ცნობილი ფრანგი როკ-ფოტოგრაფის, რიჩარდ ბელიას გამოფენა, სადაც სხვადასხვა დროს მის მიერ გადაღებული ისეთი ცნობილი როკ-შემსრულებლებისა და ჯგუფების ფოტოები იყო წარმოდგენილი, როგორებიც არიან: Nirvana, David Bowie, Robert Smith, Iggy Pop და სხვა.

ფესტივალი, უკვე მესამე წელია, სხვადასხვა კულტურისა და ბექგრაუნდის მქონე არტისტების თავშეყრის მთავარი ადგილია თბილისში, რაც ძალიან კარგი შანსია ახალგაზრდა ქართველი ხელოვნებისთვის, გაიფართოვონ კონტაქტები და თავი საერთაშორისო მასშტაბით წარმოაჩინონ. თუ მომავალში საქართველოში სათანადო საგამოფენო სივრცეებიც მოეწყობა, „არტისტერიუმის“ ავტორები გაცილებით მასშტაბურ და საინტერესო პროექტებსაც გვპირდებიან. **■**

ისევ ისინი



გიო ახვლედიანი

აბა, ამ ინგლისში ყველაფერი ძველებურადაა, ლუდიც, წვიმაც და ჩელსიც პრემიერ-ლიგის ცხრილის სათავეში.

სამაგიეროდ, გერმანიაში და საფრანგეთშია სხვანაირად: იქაურ საფეხბურთო ჩემპიონატებს სათავეში უდგანან „მანჩესტერ“ და „რენი“. ორივე კლუბი კი გაგვიგონია, მაგრამ რამეს რომ სათავეში სდგომოდნენ, დაბალი ლიგების გარდა, ვინ გაიხსენებს, ძნელი სათქმელია.

ჰოდა, „მანჩესტერ“ მეთაურობს 37 წლის ტომას ტუხელი, ვისზეც ამბობენ, ნამდვილი მეორე მაურინიოაო, ოღონდ იმ დროებისა, როცა სახელოვანი ჟოზე „პორტოს“ თავკაცობდაო. ახლა იმას ნუ მომაყოლებთ, მაურინიო ვინ არის. დაახლოებით ისაა, ზოგიერთ კინოში რომ მაგარი კაცია გამოყვანილი და ბოლომდე ვერ გაიგებს, სიანვე მეტი აქვს, თუ სიკეთე. ჰოდა, ტუხელი აშენებს „მანჩესტერ“, თუმცა უკვე გვარინად აუშენებია. წლეულს მადრიდის „რეალის“ სარეზერვო გუნდიდან მოუყვანია 21 წლის უნგრელი მეგოლე ადამ შალაი, „შალკედან“ კი უთხოვია ყველასგან დაწუნებული ნახევარმცველი ლუის ჰოლტბი, რომელმაც წინა კვირაში, „მანჩესტერის“ „ბაიერნის“ დამარცხებაში დიდი წვლილი დაიდო. ჰოდა, ბიჭები ბრდღვნიან ყველაფერს, როგორც ერთ ძველ ქართულ კინოში იტყოდნენ. ჰოლტბის, ალბათ, გერმანიის ნაკრებში მიიწვევენ, ინგლისელებს კი ეს უჩანთ საშფოთად, რომ ჰოლტბი, ინგლისელია. უფრო სწორად, მამა ჰყავს ინგლისელი, მერსისიდელი, ჩვენ რომ ლივერპულს ვეტიყვით. ჰოდა, ჰოლტბიც ევერტონის თავგადაკლული ფანი ყოფილა, ვითარცა მამამისი, ოღონდ გერმანიის იუნჩორთა ნაკრებში უკვე ნათამაშებს, სადიდოდაც გერმანია აურჩევია.

ჰოდა, მანჩესტერს წელს ქულა არ დაუკარგავს. ანუ ორი ქულა. მიდის ასე, ასი პროცენტით.

საფრანგეთისკენ რომ მივბრუნდეთ, „რენს“ ჩემპიონატის ცხრილის პირველი სტრიქონი ბოლოს ზუსტად 40 წლის წინათ ეჭირა. ძველი ამბავია. ახლანდელ „რენს“ მაგარი მეკარე, ნიკოლა დუშე და ძლიერი დაცვა ჰყავს, ოღონდაც, ისევე როგორც მანჩესტერს, იქიდანაც ეროვნულ ნაკრებში ჯერჯერობით არავინ მიუწვევიათ. ისევე როგორც მანჩესტერს, იქაც მოლოდინია. ლორან ბლანი ჯერჯერობით „რენში“ ფაქსების გზავნას ერიდება, თუმცა ყოველთვის ასე არ იქნება.

სასიამოვნო ამბავია, რომ გერმანია-სა და საფრანგეთშიც, სადაც საკლებო ფეხბურთის აგებულება სულ სხვანაირია, ვიდრე ინგლისში, პატარა კლუბები ასე ყოჩალობენ. დღევანდელ პრემიერლიგაში ეს გამორიცხულია. მაგალითად, „ბირმინგემ სიტი“ ანდა „ბოლტონი“ ვერასოდეს შეიმაგრებენ თავს ცხრილის პირველ საფეხურზე ერთ საღამოზე მეტხანს, თუმცა ეს ერთი საღამოც სად არის? „მანჩესტერ სიტიმ“ ამ ზაფხულს 500 მილიონი ფუნტი დახარჯა ახალ ფეხბურთელებში და წინა კვირას მეორე ად-

გილზე აცოცდა. სრულიად გაუგონარი ამბავია და არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს, თუმცა, მსოფლიოში არავინ იმდენ ფულს არ ხარჯავს ფეხბურთელებში, რამდენსაც „სიტის“ შეიხები. ანუ, ისეთი ტიტულნაკლები კლუბისთვის, როგორც „სიტია“, საკუთარი ისტორიის გამოკეთების ერთადერთი გზა გრანდიოზული ინვესტიციაა. ასე იყო ჩელსიც, როცა ის რომან აბრამოვიჩმა იყიდა და თავისი უამრავი მილიონები ამ კლუბს უკვე დახარჯული აქვს, ტიტულებიც იმდენი მოუგია ბოლო ხუთ წელიწადში, რომ მთელი ასწლოვანი ისტორიის მონაგარს გადაუსწრო.

მოკლედ, დიდი გამარჯვება მხოლოდ ფულის ამბავია? ასეა. ინგლისში მანჩესტერს უკეთესად ამბობენ, არაო, დიადი წარსულსაცო. მაგრამ, როცა ერთიც ცოტა გაქვს და მეორეც და მანჩესტერის სათავეში ხარ? თუმცა, ეს ინგლისს არ ეხება. ინგლისის ბოლო უცნაური ჩემპიონი „ბლექბერნი“ იყო, იმის მერე, ჩემპიონი სულ სამია.

აბა რამდენი წლის წინ იყო ეგა? ეგრეა და რას ვიზამთ. □



ბაიერნი-მანჩესტერის საფეხბურთო მატჩი, 2010

"აფხაზეთი" - ჩვენი ტერიტორია?



კაბა თოლორდავა

ვერასდროს ვახერხებ იმ შენობისთვის თვალის არიდებას. უფრო მეტიც, ვაჭა-ფშაველას პროსპექტზე მოვხვდები თუ არა, წინასწარ ვემზადები ხოლმე მისთვის თვალის შესავლება. ნუთუ, ის ისე იქაა? ნუთუ, ის მართლა ისე იქაა და იქ ისე ვინმე ცხოვრობს? მერე კი... ჰო, აქ ყოფილა, ისევე აქ ყოფილა! აი, მისი გამომწვარი, გადაბუჯული შესასვლელი, აი, მისი ნაცემი, კბილებჩამსხვრეული ფასადი, აი, ადამიანები მის ერთმანეთზე გადაკერებულ აივნებზე, აი, მოთამაშე ბავშვები მის გამჭვარტლულ კიბეებზე. „ამოდი, დედა, სახლში, გვიანაა უკვე, დასაბანი ხარ!“ სახლში? ჰო, ყოფილი სასტუმრო „აფხაზეთი“, მე რომ „აჩრდილი“ შევარქვი, ისევე აქაა, ვაჭაზე, და თექვსმეტი წლის წინ იქ მოხვედრილი ადამიანები დღეს მას უკვე „სახლს“ ეძახიან.

ოქტომბერია. „აჩრდილის“ მოპირდაპირე ტროტუარზე ვდგავარ და შენობას ფოტოს ვუღებ. კამერას რომ თვალიდან ვიცივლებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ თბილისის ამ ყველაზე გამომწვევად სამარცხვინო შენობისადმი წლების განმავლობაში დაგროვილი სიბრაზე არასდროს გამინელდება. ის ჩემი პირადი მტერია! ბევრი ფული რომ მქონდეს, შევისყიდდი და დავანგრევდი, ქალაქის მესვეური რომ ვიყო, დავანგრევივინებდი, ტერორისტი რომ ვიყო, ავაფეთქებდი, ძალიან ცუდი ჟურნალისტი რომ ვიყო, ცრემლსაყრელ სტატიას დავნერდი მასზე და მის იქაურ ბინადრებზე; ჰუსარი რომ ვიყო, დუელში გამოვიწვევდი, მასებზე ზემოქმედების უნარი რომ მქონდეს, ათასობით ადამიანს მოვუყრიდი თავს მის წინ და ჩვენი დაუინებელი მზერით გავასწორებდით მიწასთან. ზოგჯერ მგონია, რომ „აჩრდილმა“ იცის ჩემი მისდამი დამოკიდებულება და ჩემს ყოველ ავლაჩავლაზე შეურაცხმყოფელ სიურპრიზებს მიმზადებს ხოლმე, – „ამოდი, დედა, სახლში, გვიანაა უკვე, დასაბანი ხარ!“ ჰო, ვიცი, სერიოზულ მონინალმდეგედ არ მივაჩნივარ!

სიმართლე რომ ითქვას, ასეთი შენობა-აჩრდილები და მათი ბინადრები ასე დამორგუნველად უკვე აღარ უნდა მოქმედებდეს სხვების (საკუთარი თუ მათი გულების გასამაგრებლად „ჩვენებს“ რომ ვეძახით) გასაჭირის ყურებით გადაღლილ და გაგულგრილებულ თბილისელებზე. ბოლოს და ბოლოს, ორი დაკარგული რეგიონის და უამრავი იძულებით გადაადგილებული პირის პატრონები ვართ. დროც თავისას შვრება. მარტო დედაქალაქი რომ ავიღოთ, კარგად მიმოხედავც არ გჭირდება კაცს, იმდენ მახინჯ და ნახევრად დანგრეულ საცხოვრებელ შენობას მოჰკრავ თვალს. მაგრამ „აფხაზეთი“ მაინც განსაკუ-



თრებულია. წლების განმავლობაში ის, როგორც, ახერხებდა მის წინააღმდეგ მიმართული გეგმების ჩაშლას და დღეს უკვე შეკითხვა – როგორ მოხდა ისე, რომ ასეთი მომცრო ზომის, ნარმოუდგენლად მახინჯი და თბილისისათვის სრულიად სამარცხვინო შენობა ასე დიდი ხნით დარჩა ქალაქში – მას აღარ ალღევებს. ზოგჯერ ისიც მგონია, რომ „აფხაზეთი“ ვიღაცის არტ-პროექტია, დეკორაცია, კიდევ ერთხელ რომ შეგვახსენოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ, მისი ბინადრები კი – მსახიობები, ხელფასს რომ იღებენ იქ გასაჩერებლად. ასე მეთამაშება „აჩრდილი“ პერიოდულად. ასეა თუ ისე, ამდენი წლის შემდეგ ის ერთადერთია, რომელიც ამაყად დგას სწრაფად ცვალებად ქალაქურ გარემოში, ხელშეუხებელი, დაუმარცხებელი, და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის სამუდამოდ იქ დარჩება. მგონია, რომ მასაც ასე ჰგონია. ის ხომ აჩრდილია. მას ხომ ვ ე რ ხედავენ!

ნამდვილად არ ვიცი, რამდენმა ხიფათმა ჩაუქროლა „აფხაზეთს“. არ ვიცი რამდენჯერ მიმართეს „აფხაზეთის“ ბინადრებმა ვიღაც-ვიღაცებს დახმარებისთვის და საერთოდ, მიმართეს თუ არა. არ ვიცი, რამდენი სტატია დაინერა მასზე და ისიც არ ვიცი, ქალაქის მესვეურებს ან დეველოპერებს რა გეგმები აქვთ „აფხაზეთთან“ დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი - ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი (თუ ისინი მართლა დაქირავებული მსახიობები არ არიან) ასეთ ნაგებობებში არ უნდა ცხოვრობდნენ. არც თბილისში და არც სადმე სხვაგან.

„აფხაზეთი“ ერთადერთი შენობაა თბილისში, რომლის დანგრევასაც ჭიქა ღვინით აღვნიშნავ. აუცილებლად.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

